

ՈՒՅՈՒՆԻ ՎՄԵՐԱՆՅՈՒՆ

**ՆՈՅՔԱՆԻՆ ԵՎ
ՊՈԼԻՏԻԿԱԿԱՆ ԴԵՄՈԿՐԱՏԻԱ
ԿԱՅԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ
ՊԱՅԽԱՆԻ ՎՈՐ ԳՐԱԴԱՐԱՆԻ ՎԵՐԱՆՅՈՒՆ**

**ԹՅՈՒՆՈՒՆ
2020**

იზაბელა ქობალავა

**სივრცისა და მოძრაობის
ენობრივი
რეპრეზენტაცია**

(მეგრული ენის მონაცემთა ანალიზი)



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2020

Izabela Kobalava

**SPACE AND MOTION IN
LANGUAGE REPRESENTATION**
(Analysis of Megrelian Linguistic Data)



Ilia State University
2020



აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი N217344). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

This Project has been made by financial support from shota Rustaveli National Science Foundation (Grant N217344). All ideas expressed herewith are those of the author and may not represented the opinion of the Foundation itself



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ilia State University

იზაბელა ქობალავა
სივრცისა და მოძრაობის ენობრივი
რეპრეზენტაცია

უფასო გამოცემა

რედაქტირება: ნინო წულაია

© იზაბელა ქობალავა

ISBN 978-9941-18-357-7

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა ქაქუცა
ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS

3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	6
დინამიკა და სტატიკა სივრცის ენობრივ ასახვაში	9
სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი	12
მორფოსინტაქსური ანალიზი.....	20
ჰორიზონტალური სივრცე	22
ვერტიკალური სივრცე	35
ასპექტი.....	43
ულ-ა (სვლა) ზმნის სემანტიკა მეგრულში	48
სივრცითი ზმნისართები.....	72
ჰორიზონტალური სივრცე	74
ვერტიკალური სივრცე.....	88
დროის სემანტიკა მეგრულში.....	95
ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი	95
დროითი მიმართებების ენობრივი სტრუქტურა მეგრულში.....	110
მეტრიკული დრო.....	130
რეზიუმე	143
დანართი ცხრილები.....	153
ლიტერატურა	167

შესავალი

სივრცე, როგორც ის წარმოგვიდგება ენობრივ ასახვაში, არის ადგილი ჩვენი ინდივიდუალური საცხოვრისი გარემოდან, ანუ ჩვენი მზის სისტემის მესამე (ერთადერთი დასახლებული) პლანეტიდან – დედამიწიდან, შორეულ გალაქტიკებამდე. ეს არის ერთიანი სამყაროს ნაწილი, რომელშიც განთავსებულია მისი შემადგენლები: ხმელეთი, დედამიწა (მეგრ. დიხამანგარი, წყალი (მეგრ. წყარი), ჰაერი (მეგრ. ჰავა), მათ წიაღში მცხოვრებ ცოცხალ ბინადართა (ადამიანთა, ფაუნის, ფლორის წარმომადგენელთა), ან არაცოცხალ ბუნებრივ წარმონაქმნთა (მთების, ზღვების, ტბების, მდინარეების...) ერთობლიობა.

ადამიანთა, და საერთოდ ცოცხალ ორგანიზმთა, ფიზიკური არსებობა დაკავშირებულია სივრცესთან. ეს ბუნებრივია, რამდენადაც სწორედ სივრცე უზრუნველყოფს იმ გარემოს შექმნას, რომელიც აუცილებელია ორგანიზმთა სასიცოცხლო აქტივობისათვის. ეს არის მოძრაობა (მეგრ. გილულა) – მატერიის არსებობის დინამიკური ფორმა. მისი ყველაზე გავრცელებული სახე, გადაადგილებითი მოძრაობა, წარმოდგენილია ბუნებაში გავრცელებულ მოძრაობათა ძირითადი სახეებით: ხმელეთზე ეს არის – სიარული (მეგრ. გილულა), სირბილი (მეგრ. რულა), ხოხუა (მეგრ. ხოხვა), ა-სვლა / ჩამო-სვლა (მეგრ. ეშ-ულ-ა / გილულ-ა), შესვლა / გამოსვლა, (მეგრ. მინულა / გიმულა და ა.შ. წყალში – ცურვა (მეგრ. ნჩურუა), ყვინთვა (მეგრ. ყვინთუა), ჰაერში – ფრენა (მეგრ. ფურინი).

ხმელეთზე გადაადგილება ადამიანებისა და ცხოველების დიდი ნაწილისათვის მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია დედამიწის რელიეფზე ანუ მისი ზედაპირის ფორმებზე, რომელთა სტრუქტურირება ძირითადად მიმდინარეობს დედამიწის წიაღში ან მის ზედაპირზე მიმდინარე გეომორფოლოგიურ ცვლილებათა და ატმოსფერულ მოვლენათა გავლენით.

თავის მხრივ, სიარულიც რთული პროცესია. თუ იგი, ერთის მხრივ, დამოკიდებულია აღნიშნულ გარე ფაქტორებზე, მეორე მხრივ, განპირობებული ჩანს თვით მოძრავი სუბიექტის ფიზიკური აგებულებითაც, რაც უშუალოდ აისახება მისი გადაადგილების საერთო ხასიათზე. იგულისხმება *სინესთეზიის (თანაშეგრძნების)* გავრცელებული შემთხვევები:

ძვაძვალი – მსუქნის სიარული (შდრ. დათვის ძუნძული);

ცვაცვალი – პატარა არსების მოკლე, მსუბუქი ნაბიჯებით სიარული (შდრ. თავის ცუნცული) და მისთ.

დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვები, განსხვავებულ ენებში ქმნიან რა მრავალრიცხოვან და სემანტიკურად მრავალფეროვან ლექსიკურ ჯგუფებს, განსაზღვრავენ თუ რა ვითარებაში ან რა ნიშნებით მიმდინარეობს ზმნით გამოხატული მოქმედება. ამით ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც საერთოდ სივრცულ მიმართებათა ენობრივ ასახვაში, ისე *ლექსიკალიზაციისა და კონცეპტუალიზაციის* პროცესებში. ეს როლი თვალსაჩინოდ იკვეთება ენებში, რომლებიც *ლ.ტალმის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის* მიხედვით შედიან *სატელიტურ (Satellite-framed)* ენათა ჯგუფში. ზმნური წყობის (*Verb-framed*) ენებისაგან განსხვავებით, სადაც მოძრაობის მიმართულებები და ლოკალიზაციის ადგილები აღნიშნულია უშუალოდ ზმნის ძირითვე, სატელიტურ ენებში ისინი გამოხატულია ზმნური ძირის გარეთ, დამხმარე საშუალებებით – *სატელიტებით* (Talmy, 1985:85). შდრ. ფრანგ. *monter* – „ასვლა“ / *descendre* „ჩამოსვლა“, რუს. *При-ходит* მო-დის, *γ-ходит* გა-დის, *За-носит* შე-აქვს შდრ. ქართ. „ჩამო-სვლა“ / „ა-სვლა“...

მეგრული (*resp.* ქართველური ენები), ლექსიკალიზაციის ტიპის მიხედვით, განეკუთვნებიან *სატელიტური ენებს* (ბოედერი 2004: 88-94). მაგრამ მასში, როგორც აგლუტინაციური ტიპოლოგიის ენაში, სატელიტური კომპონენტების ანალიზი აყენებს სპეციფიკურ საკითხებს, რომელთა გარკვევა აუცილებელი ხდება ზმნისართა სემანტიკის დადგენისას (დანვრ. იხ. ქვემოთ).

მეგრულში, როგორც ქართველურ ენათა შორის აგლუტინაციურობის ინდექსის ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ენაში (მელიქიშვილი 2010), მრავალკომპონენტიან ფუძეში განსხვავებული მორფების რაოდენობა (ობლიგატორული და ემფატიკური ხმოვნების გარეშე) ხშირად 10-ს და შესაძლებელია მეტსაც აღწევდეს (მდრ.ვე-შ-მო-ღალ-აფ-უან-დ-ეს-კო-ნი-ა-ვა „რომ არ აეტანინებინათო“ („ნება რომ არ მოეცათ მაღლა ამეტანაო“) ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას გამოხატავს ზმნური ძირი. ძირებით გამოხატული მნიშვნელობები აღნიშნავენ მოძრაობისათვის ისეთ აუცილებელ მახასიათებლებს, როგორიცაა -დინამიკურობა / სტატიკურობა (მოძრაობა / უძრაობა), მოძრაობის სუბიექტი (ცოცხალი/არა-ცოცხალი), ასპექტი (სრული / უსრული) და დრო (ანმყოფი, ნამყოფი, მყოფადი). მაგრამ ძირები არსებითად ნეიტრალური არიან მოძრაობა/ უძრაობის ლოკატიური ნიშნებით დახასიათების თვალსაზრისით. ამ შინაარსის ინფორმაცია გამოხატულია ძირის გარეთ: ფუძეში – *ზმნისწინებით* და ფუძის გარეთ – დამოუკიდებელი *სიტყვებით*: *სივრცითი ზმნისართებითა და გარემოებითი სახელების ბრუნვიანი ფორმებით*. აღნიშნული საშუალებები სხვადასხვა რაკურსით ასახავენ სივრცით მიმართებებს და წარმოგვიდგენენ ამ მიმართებათა სისტემის ენობრივ დახასიათებას. მათ შორის ასახვის სემანტიკურ შესაძლებლობათა მრავალფეროვნებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ სივრცითი ზმნისართები.

დინამიკა და სტატიკა სივრცის ენობრივ ასახვაში

ბოლო ათეული წლების ლინგვისტურ კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამყაროს სივრცული მიმართებების ენობრივ ასახვას. ეს უკანასკნელი ემყარება მოძრაობა-უძრაობის ანუ დინამიკისა და სტატიკის, როგორც ერთიანი პროცესის შემადგენელთა, ურთიერთმიმართებას. ამ ასპექტით ყოველი ენა თავისი სპეციფიკური და უნივერსალური ნიშნებით მნიშვნელოვანია როგორც კონკრეტულ-ენობრივი, ისე ზოგად-ტიპოლოგიური პრობლემატიკის კვლევათა თვალსაზრისით. მოცემული სტატია არ განიხილება როგორც ტიპოლოგიური ხასიათის ნაშრომი. ამ ეტაპზე იგი წარმოდგენილია მხოლოდ როგორც კონკრეტული ენობრივი მასალა აღნიშნული ხასიათის კვლევებისათვის.

0. ოპოზიცია დინამიკურობა vs. სტატიკურობა ანუ მოქმედების, როგორც დროში მიმდინარე, და უძრაობის, როგორც ერთ მდგომარეობაში მყოფობის, პროცესთა (შანიძე 1973: 313) ენობრივი გამოხატვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართველურ ზმნათა გრამატიკულ-სემანტიკური სტრუქტურების ფორმირებაში. იგი ქართველურ ენათმეცნიერებაში ფართო განხილვის საგანს წარმოადგენს და ამ მიმართულებით არაერთი საყურადღებო მოსაზრებაცაა გამოთქმული¹. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სტატიკურობის რაობის, სტატიკურ ზმნათა ისტორიისა და წარმოების, მათ კლასში განსხვავებულ სემანტიკურ ჯგუფთა გაერთიანებისა და მისთანა საკითხები. მნიშვნელოვანია აღნიშნული ოპოზიციის როლი მეგრულისათ-

¹ ქართველურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზმნათა დინამიკურობა-სტატიკურობის საკითხისათვის იხ. სუხიშვილი 1976. საკუთრივ მეგრულისათვის იხ. ლომთათიძე 1946; ჩიქობავა 1948; ჩიქობავა 1950; როგავა 1953; ჭუმბურიძე 1986; შეროზია 1996; დანელია 2006; კარტოზია და ავტ. 2010.

ვისაც, სადაც აორისტის ჯგუფის ფორმებში ზმნათა ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულად, ნაცვლად გარდამავლობა – გარდაუვალობისა, დინამიკურობა – სტატიკურობა გვევლინება (ჩიქობავა 1936: 105).

წინამდებარე ნაშრომის მიზანია დინამიკურ და სტატიკურ ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სივრცულ მიმართებათა ენობრივი ასახვის თვალსაზრისით. ანალიზის პროცესში გამოყენებულია აგრეთვე დინამიკურ და სტატიკურ ფორმათა მორფოსინტაქსური ანალიზის მონაცემები.

დასმული ამოცანის შესაბამისად, ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი ემყარება მოძრაობის ყველაზე გავრცელებული და თვალსაჩინო სახის – მოძრაობა/გადაადგილების აღმნიშვნელ დინამიკურ და უძრაობა/მდებარეობის აღმნიშვნელ სტატიკურ ზმნათა მონაცემებს. კერძოდ, გამოყენებულია როგორც საკუთრივ მოძრაობა-გადაადგილების (იგულისხმება მოძრაობა მოძრაობისათვის), ისე ტრანსფერული შინაარსის (წაღება/წაყვანის) აღმნიშვნელი დინამიკური ზმნები ² მათ პარალელურად განხილული სტატიკური ზმნები წარმოდგენილია სტანდარტული მდებარეობა – მდგომარეობის აღმნიშვნელი – -რინა „ყოფნა, დგომა“, -ხენა „ჯდომა“, -'ნ'ჯირა „წოლა“, -ძენა „დება“, დგვენა/დგუმა „დგმა, დგომა (არაცოცხალ საგნებთან) და მისთ. ზმნათა ფორმებით.

0.1 მეგრულში დინამიკური და სტატიკური (ისევე როგორც საერთოდ ქართველური) ზმნური ძირები (სხვა სემანტიკურ მახასიათებლებთან ერთად) გამოხატავენ მოძრაობა-უძრაობის სახეებს: ულ-ა „სვლა“, ფურინ-უა „ფრენა“, ნჩურ-უა „ცურვა“, რულ-ა „სირბილი“, ხოხ-უა „ხოხვა“, ძე-ენა „დება“, 'ნ'ჯირა „წოლა“, ხე-ენა „ჯდომა“ და ა.შ., მაგრამ არსებითად ნეიტრალურნი

² ამ კლასში შემოდის განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი სინესთეზიური შინაარსის (მი-ცვაცვალუ „პატარა არსება მიცუნცულებს“, ასევე ორმაგი მოქმედების (მე-კუსანს „კვნესით მიდის“) გამომხატველი ზმნები.

არიან მათი რაიმე სახის ლოკაციური ნიშნით დახასიათების თვალსაზრისით³. ამ სახის ინფორმაციას გადმოსცემენ ზმნურ ფუძეში შემავალი ზმნისართული შინაარსის წარმომქმნელი ფორმანტები – ზ მ ნ ი ს ნ ი ნ ე ბ ი, რომელთა დართვით მოძრაობა – უძრაობის (საერთოდ, ნებისმიერი ქმედების) აღმნიშვნელ ზმნურ ძირებზე წარმოიქმნება ახალი, სემანტიკურად განსხვავებული, ზმნური ფუძეები⁴.

ზმნისწინები ზმნის ფუძეში იკავებენ სტაბილურ პოზიციას და, ჩვეულებრივ მეორდებიან ყველა საუღლებელ ფორმაში (გამონაკლისისათვის იხ. 2.2). ამასთანავე, ორივე აღნიშნული ტიპის ზმნები, უმეტესწილად იდენტური (ზოგჯერ შეცვლილი) მნიშვნელობებით იყენებენ ერთსა და იმავე ზმნისწინებს, რაც აუცილებელს ხდის, პირველ ყოვლისა, ამ უკანასკნელთა, როგორც ნეიტრალური ძირის პირობებში სივრცულ მიმართებათა ასახვის ძირითად საშუალებათა, სტრუქტურისა და ფუნქციონირების დაწვრილებით განხილვას. ზმნისწინთა მნიშვნელობის დადგენისას გათვალისწინებულია სივრცულ მიმართებათა ენობრივ ასახვაში ვიზუალური ფაქტორის მნიშვნელობაც.

დასახული ამოცანის შესაბამისად კვლევის შედეგად დადგენილია:

- აღნიშნულ ზმნურ ფორმებში კოდირებული მოძრაობის მიმართულებისა და ორიენტაციის ტიპები;
- მოძრაობა/უძრაობის სივრცული ლოკაციის თავისებურებები;
- დინამიკურ და სტატიკურ ფორმათა სემანტიკური მახასიათებლები.

³ ამ ნიშნით ქართველური ენები ლ. ტალმის კლასიფიკაციის მიხედვით განეკუთვნებიან ე.წ. სატელიტურ ენათა ჯგუფს.

⁴ ზმნისწინთა დანიშნულება არ იფარგლება მხოლოდ ახალ ფუძეთა წარმოქმნით: მათგან გე-, გო-, დო-, მე-, მო- მიმართულებით ზმნისწინები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ასპექტური ფორმების წარმოქმნაში (დანგრ.2.2....).

სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

1. მეგრულში წარმოდგენილია ზმნისწინთა რთული სისტემა, როგორც მათი რაოდენობისა და აგებულების, ისე სემანტიკური და ფუნქციური მრავალფეროვნების თვალსაზრისით. მოცემულ სტატიაში განხილულია მოძრაობა – გადაადგილების აღმნიშვნელ ზმნისწინთა შემდეგი სტრუქტურული და ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები: *სტრუქტურა, ფუნქციები, ორიენტაცია*.

1.1 სტრუქტურა. აგებულების მიხედვით განსხვავებულია მარტივი, ერთმარცვლიანი – V, CV და რთული, ორმარცვლიანი – VCV, CVCV სტრუქტურის მქონე ზმნისწინები⁵. მარტივი ზმნისწინები – ე-, გე-, გო-, დო-, მე-, მო- ძირითადად გამოხატავენ მოძრაობა-გადაადგილების მიმართულებას. მათ შეიძლება ვუწოდოთ *მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ ი ზ მ ნ ი ს წ ი ნ ე ბ ი*⁶.

რთული ზმნისწინები წარმოიქმნებიან მარტივებზე სპეციალური ზმნისართული ნაწილაკების (თო-, ლა-, ნო-, შა-, ...) დართვით, რომლებიც დამოუკიდებლად არ არსებობენ (გუდავა,

⁵ სპეციალისტები აღნიშნავენ მეგრულში ე.წ. *ზერთული ზმნისწინების* არსებობასაც, რომლებიც ერთიან დერივაციული ზმნისწინებით უკვე გაფორმებულ ზმნებს, მაგრამ მათ სემანტიკას არ ცვლიან (ი.ყიფშიძე, ი. ასათიანი, კ.დანელია, ო.ქაჯაია...). ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, საქმე გვაქვს სრულასპექტიან ფორმათა მანარმოებელი ზმნისწინების დართვასთან (ქობალავა 2010:238).

⁶ ზმნისწინებს ფუძის პრეფიქსულ მორფემათა თანმიმდევრობაში უკავიათ დასაწყისიდან – პირველი ან მეორე (მტკიცებითი ან უარყოფითი ნაწილაკების შემდეგ), ხოლო ძირიდან მარცხნივ – მეოთხე პოზიცია (ყიფშიძე 1914:117; გუდავა, გამყრელიძე 2000:190-191). მორფემათა ასეთ რთულ გარემოცვაში ზმნისწინები, სხვა პრეფიქსებთან ერთად, ბუნებრივია, განიცდიან მრავალმხრივ კომბინატორულ ცვლილებებს, რომელთა შედეგად თავკიდურის ფონემური შედგენილობის (განსაკუთრებით ხმოვნური კომპონენტების) სურათი მკვეთრად იცვლება, მაგრამ თანხმოვნური კომპონენტების შედარებითი მდგრადობა უზრუნველყოფს ზმნისწინთა იდენტიფიკაციას.

გამყრელიძე 2000:192-193), მაგრამ (განსხვავებული ფონეტიკური ვარიანტებით) გვხვდებიან ადგილის ზმნიზებათა ფორმებში (გაბუნია 1993: 66-67). რთულ ზმნისწინთა შემადგენლობაში (ელა, მი-თო-...) ისინი დამატებით იძლევიან გარკვეულ ინფორმაციას მოძრაობა / უძრაობის ადგილის შესახებ. ამგვარად, ეს უკანასკნელები ორმაგი სემანტიკის მატარებელი ერთეულებია, მაგრამ მეორე, სპეციფიკური, კომპონენტის მიხედვით მათ შეიძლება ვუნოდოთ **ლოკაციური ზმნისწინები**.

აღნიშნული განსხვავება მარტივ და რთულ ზმნისწინებს შორის, ჩვეულებრივ, გამოყენებულია ზმნისწინთა ფუნქციური ჯგუფების მახასიათებლებად. გამონაკლისები არსებობს ორივე ჯგუფში: რთული ზმნისწინები გამოხატავენ მხოლოდ მიმართულებას, მარტივები კი – მიმართულებასთან ერთად ლოკაციის ადგილსაც (დანვრ. იხ. ქვევით).

1.2 ფუნქციები. ზმნისწინები, როგორც სადერივაციო ფორმანტები, მოძრაობა – გადაადგილების ზმნურ ძირებთან გამოხატავენ: 1. მოძრაობის მიმართულებას (და ორიენტაციას); 2. ახასიათებენ მოძრაობა/უძრაობის ადგილს. ზმნისწინთა კონკრეტული ფუნქციები დგინდება იმ მნიშვნელობათა საფუძველზე, რომელთაც ისინი ავლენენ სივრცულ მიმართებათა ენობრივ ასახვაში. აქ, პირველ ყოვლისა, ნაგულისხმევია მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელ ერთსა და იმავე ზმნურ ძირებზე დართულ განსხვავებულ ზმნისწინთა მნიშვნელობები, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალური სიზუსტის მიღწევას კონკრეტული მნიშვნელობების დადგენაში. მეგრულ ზმნისწინთა დამახასიათებელი პოლისემიურობისა და ომონიმის არსებობის პირობებში თითოეული მათგანის მნიშვნელობა განხილულია მხოლოდ მათში შემავალი იმ სემანტიკური კომპონენტების მიხედვით, რომლებიც რელევანტური არიან კონკრეტულად სივრცეში სხეულთა გადაადგილების მიმართულებისა და მათი შესაძლო მყო-

ფობა-მდებარეობის ადგილის განსაზღვრისათვის.⁷ ასევე, გათვალისწინებულია ზმნისწინთა მნიშვნელობები განსხვავებულ ზმნურ ფუძეებში, რომლებიც უშუალოდ, მართალია, არ გულისხმობენ მოძრაობა-გადაადგილებას, მაგრამ აღნიშნავენ აშკარად გამოხატული მიმართულებით შესრულებულ ქმედებას (შდრ. მე-ჯინა „შეხედვა“, მინო-ჯინა „შიგ შეხედვა“, დინო-ჯინა, „შიგ ჩახედვა“, ელა-ჯინა „გვერდიდან შეხედვა“ და ა.შ.), ან წარმოდგენილი არიან მეტყველების სხვა ნაწილებში – ზმნიზედებში, არსებით სახელებში (შდრ. ეკოულა „აღმართზე ასვლა“ – ზმნზ. ეკი „მაღლა, ზევით“, არს.სახ. ეკობონი „აღმართი“...).

მოძრაობის ფიზიკური თავისებურებებიდან და მათ ენობრივ ასახვაში წარმოჩენილი სპეციფიკიდან გამომდინარე, ცალცალკეა განხილული ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სივრცეებში ენობრივად კოდირებულ მოძრაობათა მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინებიც.

1.2.1 ჰორიზონტალურ სივრცეში მოძრაობა-გადაადგილების, როგორც დინამიკური პროცესის, სრულ სქემაში ლოგიკურად მოსალოდნელია სამი სემანტიკურად დამოუკიდებელი ფაზის⁸ არსებობა. ერთის მხრივ, ეს არის მოძრაობის ძირითადი ფაზა – მიმდინარეობა,⁹ მეორე მხრივ, მარგინალური ფა-

⁷ VCV ტიპის ზმნისწინთა პირველი ხმოვნური კომპონენტი მეტყველებაში გვხვდება თავისუფალ მონაცვლეობაში მყოფი ა/ე/ი ხმოვნებით (ა-კო/ე-კო/ი-კო). მოცემულ სტატიაში თითოეული ზმნისწინი წარმოდგენილია იმ ხმოვნური კომპონენტით, რომელიც დასტურდება შესაბამისი სემანტიკის ზმნიზედებში ან მეტყველების სხვა ნაწილებში.

⁸ რამდენადაც მოძრაობის სამივე შემადგენელი რეალურად გულისხმობს არათანაბარი მნიშვნელობის, მაგრამ მაინც პროცესს, მათ აღსანიშნავად უფრო ადეკვატურად მიმაჩნია ტერმინი „ფაზა“ (მოსკოვის სემანტიკური სკოლის პრაქტიკაში მიღებული მნიშვნელობით).

⁹ „მიმდინარეობა“ მოცემულ ნაშრომში გამოყენებულია იმავე მნიშვნელობით, როგორითაც ინგლ. Path (ტალმი 1985; რუს. Маршрут (პლუნგიანი 2002)). ქართულში ა.შანიდის მიერ მოძრაობის მიმართულების აღსანიშნავად შემოღებული ტერმინი „გეზი“ ვერ ფარავს იმ მნიშვნელობას, რომელიც მიენერება ზემოაღნიშნულ ტერმინს მიმდინარეობა. ეს უკანასკნელი

ზები – მოძრაობის დასაწყისი და დასასრული. მეგრულში სამივე აღნიშნული ფაზა ენობრივად კოდირებულია. ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არიან იმ აზრით, რომ ჩვეულებრივ, არცერთი მათგანი რაიმე აუცილებლობით არ გულისხმობს დანარჩენების არსებობას. თუმცა, ბუნებრივი კომუნიკაციის პროცესში ნარატიული მოთხოვნილებების შესაბამისად, ჩნდება მათი ერთ ციკლში გაერთიანების შესაძლებლობა: მოძრაობის ლოგიკიდან და ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, წინადადებაში ისინი ერთიანდებიან ერთი და იმავე მოძრავი სუბიექტის გარშემო.¹⁰

1.2.1.1 ჰორიზონტალურ სიბრტყეზე აღნიშნულ ფაზებში მონაწილეობის მიხედვით ზმნისწინები ქმნიან ორ ფუნქციურ ჯგუფს: 1. *მიმართულებითი ზმნისწინები*, რომლებიც, ჩვეულებრივ, აღნიშნავენ მოძრაობის ძირითად ფაზას – მიმდინარეობას; 2. *ლოკაციური (მარგინალური) ზმნისწინები*, რომლებიც აღნიშნავენ მოძრაობის დასაწყისს ან დასასრულს (დანვრილებითი სემანტიკური ანალიზისათვის იხ. 2).

ა) პირველ ჯგუფში გაერთიანებულია ზმნისწინები, რომლებიც, მიუხედავად სტრუქტურული განსხვავებებისა, მოძრაობას წარმოგვიდგენენ დინამიკური პროცესის სახით, რომლის კონკრეტული მიმართულება (დამკვირვებლის პოზიციიდან) განისაზღვრება როგორც: აქეთ – იქით; წინ – უკან; ზემოდან – ქვემოდან; გავლით – გამოვლით; გვერდით; ირგვლივ.

აღნიშნული მნიშვნელობების გადმოსაცემად გამოყენებულია ძირითადი მიმართულებითი ზმნისწინები: მე- „იქით“, მო-

აღნიშნავს არა მხოლოდ მიმართულებას, არამედ გადაადგილების მთელ პროცესსაც (შდრ. ვეშაპიძე 1967).

¹⁰ შდრ. შესაძლო შემთხვევები: კოჩქ ჭუდეშე გიმიილუ დო მიდართუ „კაცი სახლიდან გამოვიდა და წავიდა“; შარას მიიშეს მეშარეფი დო ქემერთეს ართი ოხორიშა „გზაზე მიდიოდნენ მგზავრები და მივიდნენ ერთ სახლში“; ბოშიქ გინიილუ ოზეშე , იდუ, იდუ დო ქიმიოდირთუ ართ ტყას „ბიჭი გავიდა ეზოდან, იარა, იარა და მიადგა ერთ ტყეს“.

„აქეთ“. ამ რიგში შეიძლება განვიხილოთ შედარებით ვიწრო გამოყენების მი- ზმნისწინიც. ეს უკანასკნელი გარკვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში, ჩვეულებრივ, წარმოგვიდგება როგორც მე- ზმნისწინის ფონეტიური ვარიანტი (მიდა < *მედა, შდრ. ლაზ. მენდა = ქართ. „ნა-“), მაგრამ რიგ ზმნურ ფუძეებთან, სემანტიზაციის შედეგად გამოდის დამოუკიდებელი ზმნისწინის ფუნქციით და გამოხატავს მოძრაობის მიმართულებას როგორც იქეთ, ისე აქეთ¹¹: მი-რულ-ე „მირბის/ მორბის“, მი-კერკელ-უ „მიგორავს/მოგორავს“... ასევე, მხოლოდ მი- ზმნისწინი გამოიყენება ორმხრივი მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელად მი- R-ალ- ტიპის სინესთეზიურ ზმნებთან: მი-ძვაძვ-ალ-უ „დიდი, ზონზროხა არსება მირბის/მორბის“, მი-ყარჭ-ალ-უ „გამხდარი, აწონილი არსება მიდის/მოდის“, მი-ცვაცვ-ალ-უ „პატარა არსება მიდის/ მოდის“ და მისთ. (ქობალავა 1979). ამ და მსგავს შემთხვევებში მიმართულება ზუსტდება შესაბამისი სემანტიკის ზმნიზედებით ან კონტექსტით.

აღნიშნული ფუნქციით აგრეთვე გამოყენებულია ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულების გამოხატველი ზმნისწინებიც, რომელთა სემანტიკაში ერთ-ერთ კომპონენტად ჰორიზონტალური მოძრაობა-გადაადგილებაც იგულისხმება. ასეთებია: მარტივი გე-, გო-, დო- და რთული გინო1-, ეთო-, ეკო-, ელა-, ეწო-, კინო-, მიკო- ზმნისწინები.

ბ) ლოკაციური (მარგინალური) ზმნისწინები გამოხატავენ მოძრაობას შიგნით – გარეთ, ანუ რაიმე სივრცეში შესვლას ან ამგვარი სივრციდან გასვლა/გამოსვლას. შესაბამისად, მოძრაო-

¹¹ აღნიშნული ზმნისწინი ამ ფუნქციით უპირისპირდება გილა- ზმნისწინს, რომელიც ზმნიზედის ან წინადადებაში სპეციალური ლოკაციური ბრუნვის ნიშნით გაფორმებული წევრის გარეშე აღნიშნავს უმისამართო მოძრაობას, ხეტიალს: შდრ. მე-ურს „მიდის“, მო-ურს „მოდის“, მაგრამ გილ-ურს (<გილა+ურს) „აქეთ-იქით დადის, დაეხეტება“, გილა-კუსანს „აქეთ-იქით კენესით დადის“, გილა-ფურინუნს „აქეთ-იქეთ დაფრინავს“ და მისთ.

ბა ხასიათდება არა მხოლოდ მისი მიმართულებით, არამედ იმ სივრცის ტოპოლოგიური ნიშნების მიხედვითაც, რომელშიც ეს მოძრაობა მიმდინარეობს: იწყება ან სრულდება.

რამდენადაც აღნიშნული პროცესები პირობითად ემთხვევა მოძრაობის მიმდინარეობის დასაწყისს ან დასასრულს, შეიძლება განვასხვავოთ, ერთის მხრივ, დასაწყისის აღმნიშვნელი გითო-, გიმო-, გიშა-, გინო2- და, მეორე მხრივ, დასასრულის აღმნიშვნელი მითო-, მინო- (//მილა-, //მიმო-), მიშა- ზმნისწინეები.

1.2.1.2 ვერტიკალურ სივრცეში ჰორიზონტალური მოძრაობისაგან განსხვავებით, მოძრაობა-გადაადგილების ხასიათი გამორიცხავს განსხვავებული ფაზების (თუნდაც პირობითად) გამოყოფის შესაძლებლობას. მაგრამ ეს ხელს არ უშლის გარკვეულ შემთხვევებში პროცესის დანყებისა და დასრულების მომენტისათვის მათი შესაბამისი პუნქტების აღნიშვნას ზმნური ფორმის გარეთ, რაც შესაძლებელს ხდის ვერტიკალურ მოძრაობაშიც, მიმდინარეობასთან ერთად, განისაზღვროს მოძრაობის დასაწყისი და დასასრული.

ა) ვერტიკალურ სივრცეში მოძრაობის მიმართულება წარმოდგენილია როგორც ქვევიდან ზევით და ზევიდან ქვევით მიმდინარე პროცესები. ორივე შემთხვევაში გარჩეულია: საკუთრივ ვერტიკალური და დახრილი ტრაექტორიით გადაადგილება. მათ აღსანიშნავად გამოყენებულია მარტივი და რთული ზმნისწინეები: ზევით – ე-, ეშა- (ვერტ.), ეკო-, ელა- (დახრ.) და ქვევით – გელა-, დინო- (ვერტ.) , დიკო-, დილა- (დახრ.).

ბ) ვერტიკალურ სივრცეში, სადაც მიმდინარეობის დასაწყისი და დასასრული ფაზების არსებობა არ ივარაუდება, მაგრამ დაშვებულია შესაბამისი პუნქტების აღნიშვნა, გამოყენებულია: მოძრაობის დასაწყისისათვის (და მიმდინარეობისათვის) გელა- / დინო-, ხოლო მიმდინარეობის დასასრულისათვის – გე-, დო-, დიშა- ზმნისწინეები. ეს უკანასკნელები აღნიშნავენ არა საკუთრივ მიმდინარეობის პროცესს, რომელიც არ არის ენობ-

რივად კოდირებული, არამედ არსებითად ზემოდან ქვევით მიმართული მოძრაობის დასრულებას რაიმე ზედაპირზე.

1.3 ორიენტაცია. ორიენტაცია, ფართო გაგებით, განიხილება როგორც ზმნური კატეგორია, რომელიც ზმნით გამოხატული მოძრაობის მიმართულებას წარმოგვიდგენს რაიმე გარეგან ორიენტირთან მიმართებით. იმის მიხედვით, თუ რა სახის ორიენტირს ეძლევა უპირატესობა ამა თუ იმ შემთხვევაში, განსხვავებულია ორიენტაციის ტიპებიც.

სივრცული მიმართებების შესწავლა მეგრულში ავლენს ორიენტაციის შემდეგი ტიპების არსებობას¹²:

1.3.1 დეიქტური ორიენტაცია. ამ სახელწოდებით ცნობილია ენებში ფართოდ გავრცელებული მარტივი ორიენტაციის ტიპი, რომლის გარეგანი ორიენტირი არის პირველი ანუ მოლაპარაკე პირი. ამ უკანასკნელთან მიმართებით მის მიერ დაკავებული პოზიცია წარმოგვიდგება როგორც პირველი პირის (შესაბამისად მეორისაც, როგორც უშუალოდ პირველ პირთან კომუნიკაციის პროცესში დაკავშირებული პირის) სივრცე. აღნიშნული ორიენტაცია თავისი არსით ეგოცენტრულია, რამდენადაც სამეტყველო სივრცეში მოლაპარაკის როლის გადასვლა სხვა პირზე იწვევს დეიქტური ცენტრის გადანაცვლებასაც (ლაიონზი 1978: 291.292). მეგრულში დეიქტური ორიენტაცია გამოიხატება მიმართულებითი მე-, მო- ზმნისწინებით. მე- ზმნისწინი აღნიშნავს მოლაპარაკე პირის სივრციდან გასვლას, მისგან დაშორებას – მე-ურს „აქედან (პირველი პირისგან) მიდის“. უფრო ზოგადად ეს არის საიქითო მიმართულების მოძრაობა: „იქითკენ, სადაც მე არა ვარ“; მო- ზმნისწინით აღინიშნება მოძრაობის მიმართულება პირველი პირის სივრცისკენ მო-ურს

¹² მეგრულში ორიენტაციაზე მსჯელობისას (გარდა იშვიათი გამონაკლისებისა (გაბუნია 1993), ჩვეულებრივ, მე- და მო- (ზოგჯერ მათგან ნაწარმოები ცალკეული რთული) ზმნისწინების დეიქტურ მნიშვნელობაზე მახვილდება ყურადღება (ყიფშიძე, 1914, 0118; ქაჯაია 2000)

„აქეთ (და არა იქიდან) მოდის“ ანუ სააქეთო, „აქეთკენ, სადაც მე ვარ“ (შანიძე 1973: 238-240), თუმცა არა ყოველთვის (იხ. ქვემოთ). ამგვარად, დეიქსისის კონტექსტში, ბუნებრივია, არ დგას მესამე პირის საკითხი (ბენვენისტი 1974: 261 და შემდ.).

განხილული ორიენტაცია შეიძლება დავახასიათოთ როგორც საკუთრივ სივრცითი ორიენტაცია, რამდენადაც იგი მოძრაობის მიმართულებას აღნიშნავს მხოლოდ სივრცითი მიმართებების საფუძველზე, ვიზუალური ფაქტორისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ მეგრულში დასტურდება შემთხვევები, როდესაც (მოძრაობა / უძრაობის პროცესები) ერთმანეთს უპირისპირდება მოლაპარაკე პირთან სიახლოვე-სიშორის მიხედვით. ეს უკანასკნელი დგინდება ვიზუალური ფაქტორით. გამოყენებულია ადგილის ზმნიზედები: ამარ – „აი აქ, აგერ“ – ემერ „აი იქ, ეგერ“. ორივე შემთხვევაში ორიენტირად გვევლინება ისევე პირველი პირი, რომლის მხედველობის არეშიც განისაზღვრება მოძრაობა/მდებარეობის ადგილიც: ამარ/ემერ მეფურინუნს აგერ/ეგერ „მოფრინავს“, ამარ/ემერ ეშმურს „ადის“, დოთმასხაპანს „ძირს ხტება“, გილმარღვანს „ზევიდან ყრის“, მინმუულუ „შიგ შეაქვს“; გეძუ „დევს“, ეთოხე „რალაცის ქვეშ ქვეშ ზის“, დინოჯანუ „რალაცაში წევს“ და მისთ.

1.3.2 საგნობრივი ორიენტაცია. ამ ტიპის ორიენტაცია ენებში საკმაოდ იშვიათია¹³. მეგრულში მის გამოხატვად შეიძლება მივიჩნიოთ სააქეთო მიმართულების მო- ზმნისწინი, რაც სავსებით ბუნებრივი ჩანს: მე- ზმნისწინისაგან განსხვავებით, რომელიც აღნიშნავს პირველი პირისგან დაშორებას, მოძრაობის მიზნისკენ მიმართულ გარკვეულ ორიენტირს არ გულისხმობს (ამ უკანასკნელს წინადადებაში გამოხატავს მიმართულებით ბრუნვაში დასმული სახელი), მო- ზმნისწინი ცალსახად მიაწინებს პირველ პირზე, როგორც მოძრაობის ორიენტირზე.

¹³ საგნობრივი ორიენტაციისათვის დანვრ. იხ. პლუნგიანი 1999

ეს ფაქტი უკვე მეტყველებს აღნიშნული ზმნისწინის სემანტიკაში დეიქტური კომპონენტის არსებობაზე (ქობალავა 2010, 247), რაც, თავის მხრივ, შესაძლებელს ხდის მის გამოყენებას იმ შემთხვევებშიც, როდესაც გარეგან ორიენტირად გვევლინება არა მხოლოდ პირველი პირის სივრცე, არამედ უმეტესწილად, მოძრაობის სუბიექტისათვის რაიმე თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლადი ორიენტირი: თავისი ქვეყანა, სოფელი, სახლი, მისთვის უკვე ცნობილი, საინტერესო ადგილი ან პიროვნება და ა.შ. (შდრ. მუშ ქუდემა მეურს „თავის სახლში მიდის“ – მუშ ქუდემა მოურს „თავის სახლში მოდის“).

1.3.3 ანაფორული (კანონიკური) ორიენტაცია. მეგრულში იგი ორიენტაციის ყველაზე გავრცელებული ტიპია. დეიქტური ორიენტაციისაგან განსხვავებით, რომელიც, ჩვეულებრივ, ორიენტირებულია მოლაპარაკე პირის სივრცეზე, ანაფორული ორიენტაციის შემთხვევაში მოძრაობა / უძრაობის პროცესთა ლოკალიზაცია ხდება ნებისმიერ ორიენტირთან მიმართებით (მაგ., სახლის წინ, ხის უკან, მთის წვერზე და ა.შ. (კლაინი 2009)).

დეიქტურისაგან განსხვავებით ანაფორული ორიენტაცია გამოიხატება ლოკაციური ზმნისწინებით, მაგრამ ისინი გამოყენებულია შერჩევით.

მორფოსინტაქსური ანალიზი

2. ზმნისწინები, როგორც ენობრივი სისტემის ელემენტები, ფუნქციონირებენ არა იზოლირებულად, არამედ სხვა ენობრივ ერთეულებთან ურთიერთდამოკიდებულებაში. კერძოდ, ისინი დაკავშირებული არიან სახელისა და ზმნის გარკვეულ კატეგორიებთან, მეტყველების სხვა ნაწილებთან. ამ კორელაციის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სივრცულ მიმართებათა სრული სურათის წარმოდგენა.

ზმნისწინების მიერ გამოხატული მიმართულება (და ორიენტაცია), ასევე მოძრაობა/უძრაობის ადგილი მხოლოდ ზოგადი

მინიშნებაა სივრცულ მიმართებებზე. მათ კონკრეტული ენობრივი (ლექსიკურ-გრამატიკული) მნიშვნელობების დაზუსტება ხდება მორფოსინტაქსურ დონეზე, სადაც ჩართულია შესაბამისი გრამატიკული კატეგორიები. ეს თანაბრად ეხება როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური მიმართულების გამოხატვას. ქვემოთ განხილულია აღნიშნული თვალსაზრისით რელევანტური კატეგორიები: *ბრუნება, ასპექტი*.

2.1 ბრუნება. როგორც აღნიშნული იყო (1.2.1), ნებისმიერი მიმართულების მოძრაობის ძირითადი ფაზა, მიმდინარეობა, ენობრივ ასახვაში წარმოდგენილია უსრული პროცესის სახით, დასაწყისისა და დასასრულისგან დამოუკიდებლად. იგი გამოხატულია მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელ ძირთა შემცველ უსრულასპექტიან (ანმყოსა და ანმყოს თურმეობითის ჯგუფთა) ზმნურ ფუძეებზე *მიმართულებითი*, ან ამ ფუნქციის მქონე *ლოკაციური*, ზმნისწინების დართვით. ეს უკანასკნელები მოცემულ შემთხვევებში აღნიშნავენ მხოლოდ მოძრაობის ზოგად მიმართულებას. მაგრამ თუ კონკრეტულად *საიდან, სად, საით* წარმართება მოძრაობა, მორფოსინტაქსურ დონეზე გამოხატულია არსებით სახელთა ბრუნვის ფორმებით და/ან შესაბამისი სემანტიკის ზმნიზედებით. კერძოდ, გამოყენებულია სპეციფიკური ლოკატიური ბრუნვები: 1. *დაშორებითი* (აბლატივისა და ელატივის ფუნქციით) – ბრუნვის ნიშანი -შე, უპასუხებს კითხვაზე *სოურე „საიდან“*; 2. *მიმართულებითი* (ილატივის ფუნქციით) – ბრუნვის ნიშანი -შა, უპასუხებს კითხვებზე *სო, სოიშა „სად, საით“*. მოძრაობის -კენ მიმართულება, ალატივი, გამოხატულია აბლატივის -შე ნიშნით, რაც იწვევს საპირისპირო მნიშვნელობის ფორმათა დამთხვევას (გარჩევა ხდება კონტექსტით. იხ. ქვემოთ).

სტატიკურ ზმნებთან ლოკაციის ადგილი გამოხატულია სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმით.

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, მიმართულების დაზუსტება პირველ სამ შემთხვევაში ხდება ბრუნვის ფორმებით: რაიმე პუნქტისაკენ სვლის მიმართულებას გამოხატავს *ილატივი* -შა ბრუნვის ნიშნით, ხოლო მისგან დაშორებას – *აბლატივი* -შე ბრუნვის ნიშნით. რაც შეეხება მეოთხე შემთხვევას, -კენ მიმართულებას აზუსტებს ძირითადად კონტექსტი:

- (1) მოურს თეურე-შე. „მოღის იქედან.“
- (2) მაჟირა დღას მეულა იშო კინია-შა. (სოფ.)
„მეორე დღეს მიდიან იქეთ კინიაში.“ (ლოლ. 122.25)
- (3) მუთი შილბე ზუგიდი-შა ულა?
„რითი შეიძლება ზუგდიდში წასვლა?“ (ყიფ. 1.7)
- (4) ბოშიქ მუშ ცუდე-შა მოლართუ.
„ბიჭი თავის სახლში წამოვიდა.“ (ყიფ. 31.3)

ჰორიზონტალური სივრცე

ჰორიზონტალურ სივრცეში კოდირებულ მოძრაობათა მიმართულებებიდან (1.2.1.1) ყველაზე მარტივია მიმართულება აქეთ–იქეთ. იგი გამოხატავს *დეიქტური* ორიენტაციით განსაზღვრული მოძრაობის მიმდინარეობას დაბრკოლებების, შეფერხებების, გარეშე. მაგრამ მეგრულში გამოხატულია უფრო რთული შემთხვევებიც, როდესაც მოძრაობა განსაზღვრულია არა მისი მიმართულებით, არამედ რაიმე სხვა, მოძრავ ან უძრავ, საგანთან მიმართებით (*მიმართებითი ორიენტაცია*). შესაბამისად მიმართულება განისაზღვრება როგორც: წინ – უკან; ზემოდან – ქვემოდან; გავლით – გამოვლით; გვერდით, ირგვლივ. სახელი, რომლითაც აღნიშნულია მაორიენტირებელი საგანი, მორფოსინტაქსურ დონეზე წარმოდგენილია მიცემითი ბრუნვის ფორმით (კითხვაზე – მის „ვის“, მუს „რას“). შესაბამისი შინაარსების გამოსახატავად გამოიყენება ძირითადად რთული ზმნის-

ნინები: გინო1- , ეთო-, ეკო-, ელა-, ენო-, -კინო-, მიკო-, მოკო- და მარტივი -გე-, გო-, ღო-. მათ მე-, მო-სთან და ერთმანეთთან აკავშირებთ საერთო სემანტიკა – მოძრაობას გამოხატავენ რო-გორც უსრულ პროცესს, მის დასაწყისსა და დასასრულზე მი-ნიშვნების გარეშე. განსხვავებულია სულიერებისა და უსულოე-ბის გამოხატველი ფორმები. მოძრაობის აღნიშნული მიმართუ-ლება, დეიქტურ ორიენტაციასთან ერთად, გამოხატულია ძირი-თადი მიმართულებითი მე-, მო- , აგრეთვე მი- (დეიქსისის გარე-შე 1.2.1.1) ზმნისწინებით, რომელთაც მორფოსინტაქსურ დონე-ზე შეესაბამება დაშორებით და მიმართულებით ბრუნვათა ფორმები.

შდრ:

1. დაშორებითი (აბლატივი/ელატივი) -შე
მე-ურ-ს ცუდე-შე „მიდის სახლიდან“
მო-ურ-ს ცუდე-შე „მოდის სახლიდან“
2. მიმართულებითი (ილატივი) -შა
მე -ურ-ს ცუდე -შა „მიდის სახლში“
მო-ურ-ს ცუდე -შა „მოდის სახლში“
3. დაშორებითი + მიმართულებითი -შე/-შა
მი-რულ-ე ცუდე -შე „მირბის სახლიდან“
მი-რულ-ე ცუდე-შა „მირბის სახლში“
4. (ალატივი) -შე
მე-ურ-ს ცუდე-შე „მიდის სახლისკენ“
მო-ურ-ს ცუდე- შე „მოდის სახლისკენ“
- (5) უკული აფხაზეთის მხარე-შე მიდეცონეს კირლე.
„მერე აფხაზეთის მხარის-კენ წაიყვანეს კირილე.“ (ლოლ. 158.12)
- (6) ხენწიფექ უწუუ ... დასავლეთი-შე ვედავა.
„ხელმწიფემ უთხრა ... დასავლეთის-კენ არ წახვიდეო.“ (კარტ. 14)

მე-, მო-, მი- (და საერთოდ) მიმართულებითი ზმნისწინები გამო-
ხატავენ მხოლოდ დინამიკურ პროცესებს და, ჩვეულებრივ,
სტატიკურ ზმნებთან არ გამოიყენებიან. მცირერიცხოვან გამო-
ნაკლისებს გვიჩვენებს მე- ზმნისწინი:

სტატ. ჯოლორენს წყირი მე-ხე „ძაღლებს რწყილი ასევია.“

ზემოდან < — > ქვემოდან

გინო1-

ა) დინამიკურ ზმნებთან – მოძრაობა რაიმე პუნქტზე ზემო-
დან, დაბრკოლებების დაძლევა: გინულა (<გინო-ულა) „რამეზე
გადასვლა“, გინო-ფურინუა „გადაფრენა“, გინო-’ნ’ჩურუა „გა-
დაცურვა“, გინო-ხოხუა „გადახოხება“ ...

(6) /ჯამუშიერქ/ გინიილუ ართი გვალა, გინიილუ მაჟირა გვალა,
გინიილუ მასუმა გვალა. (ყიფ. 7.14)

„/ჯამუშიერმა/ გადაიარა ერთი მთა, გადაიარა მეორე მთა,
გადაიარა მესამე მთა.“

(7) იდეს ... დო ჩხორო გვალა გინიილეს. (ყიფ. 78.7)
„იარეს... და ცხრა მთა გადაიარეს.“

(8) გინიილუ თე ბოშიქ მავითოჯირა /ჭადარიშა/.
„გადავიდა ეს ვაჟი მეთორმეტე ჭადარზე.“ (კარტ. 19)

ბ) სტატიკურ ზმნებთან – რაიმეზე ზემოდან ყოფნა: გინო-რინა
„გადადგომა“, გინო-ხუნა „გადაჯდომა“, გინო-ჯირა „გადაწოლა“

(9) /ცირა/ აკომჟაჟე გინორე. (ყიფ. 136.5)
„/გოგო ფანჯრიდან არის გადმომდგარი.“

(10) /ძლაბი/ გინოჯანუ ბალკონს დო უჯინე. (ხუბ. 199.38)
„/გოგო/გადაწოლილია აივანზე და უყურებს.“

ეთო- /ითო-

ა) დინამიკურ ზმნებთან – მოძრაობა რამის ქვეშ, ქვემოდან (აღნიშნული მნიშვნელობით იშვიათია) გვხვდება: ეთოლუაფა „რამის ქვეშ მოძრაობა“, ეთოცუნა „ქვევიდან მიყოლა“, ეთოჭირინაფა „რაიმეს ქვეშიდან ამოწვდენა“ ...

(11) ჯოლორქ ურემს ეთულუუ დო გოურქუ. [საუბრ.]
„ძალმა ურემს ქვემოდან ამოუარა და გაიქცა.“

ბ) სტატიკურ ზმნებთან – რამის (ხის, რაიმე გადაფარებულის, გადახურულის ...) ქვეშ მყოფობა: ეთო-რინა „რამის ქვეშ დგომა“, ეთო-ხუნა „რამის ქვეშ ჯდომა“, ეთო-ნ'ჯირა „რამის ქვეშ წოლა“, ეთო-ძვენა „რამის ქვეშ დება“ ...

წინ < — > უკან

ენო- / ანო- / ინო-

ა) დინამიკურ ზმნებთან – მოძრაობა წინ გასასვლელად, გასასწრებად; წინ გაძლოლა“, ენულა (<ენოულა>), „წინ გასვლა“, ენო-ლუაფა „გასასწრება“, ენო-ცუნა „ გაძლოლა“ ...

(12) /ჭკოლა ცხენს/ ენოცუნაფუდიკო წოხოლე...
ბედაური იყიდ. (ხუბ. 41.23)

„გამხდარ, მჭლე ცხენს წინ რომ გასძლოლოდი...
ბედაური იქნებოდა.“

ბ) სტატიკურ ზმნებთან – ვინმეს, რამის წინ მყოფობა: ენო-რინა „რამის წინ, წინა მხარეს... დგომა, ჯდომა, წოლა.“

(13) ცირა ენორე აბარწასია. (ხუბ. 62.22)
„გოგო დგას აივანზე.“

(14) ქემერთესინი, დედიბის ბალანა კართას ენუხედუ.
„რომ მივიდნენ, დედაბერს ბავშვი კალთაში ეჯდა.“

კინო-

ა) დინამიკურ ზმნებთან – უკან, უკანა მხარეს ან უკანა მხრისკენ მოძრაობა: კინ-ულა (<კინო-ულა) „უკან გადასვლა“, კინო-კინა „უკან დანევა“, კინო-სქილადა „უკან დარჩენა, ჩამორჩენა“, კინო-ტება „უკან მოტოვება“...

ბ) სტატიკურ ზმნებთან – უკანა სივრცეში ყოფნა, დება: კინო-რე „რალაცის უკან დგას“ კინო-ხე „რალაცის უკან ზის“, კინო-ჯანუ „რალაცის უკან წევს“.

მიკო-

ა) დინამიკურ ზმნებთან – ვინმესთან, რამესთან ახლოს (გვერდით, წინ, უკან...) გავლა, ჩავლა, შევლა. *მიკო-ულა* „გავლა, ჩავლა“, *მიკო-რულა* სირბილით გავლა, ჩარბენა...

(15) მიკულუ ათე მაზურზულარს კოჩქ. (ხუბ. 23.10)
„გაუარა ამ მტირალას კაცმა.“

ბ) სტატიკურ ზმნებთან – ვინმესთან, რამესთან ახლოს, გვერდით ყოფნა: მიკო-რინა „რამესთან დგომა, *მიკო-ხუნა* „*მიჯდომა*“, *მიკო- დვალა* „მიდება“, *მიკო-დგუმა* „მიდგმა“, მიკო-ძვენა „რამესთან დება“, *მიკო-კირუა* „მიბმა“ და ა.შ.:

(16) ცხაცხუმ ჯინს ... მიკოკირუნია თი ძლაბი. (ხუბ. 150.22)
„ცაცხვის ძირას... აბიაო ის გოგო.“

(17) თე მუნაფა ცას ვემიკოხე. [საუბრ.]
„ეს ღრუბელი ცას არ „აკერია.“

მოკო- ვარანტი შედარებით იშვიათია. არ დასტურდება სტატიკური ფორმები.

ა) დინამიკურ ზმნებთან – ვინმესთან, რამესთან გამოვლა, ჩამოვლა:

(18) ბოშიქ ნდიენს მუკულუ დო ...
მუში 'უდემა ქომორთუ. (ყიფ. 31.2)

„ვაჟმა დევებს გამოუარა და ...თავის სახლში მოვიდა.“

(19) მუკურულუ დედიბიქ /ნდემც/. (ყიფ. 61.22)

„გამოურბინა დედაბერმა დევს.“

ელა-

ა) დინამიკურ ზმნებთან – ვინმეს, რამის გვერდით გავლა, ჩავლა; გვერდით გაყოლა; გვერდის ავლა: ელ-ულა (<ელა+ ულა) „გვერდით გავლა, ჩავლა“, ელა-ლუაფა „გვერდის აქცევა“, ელა-ყუნა „გვერდით გაყოლა“, ელა-რთინა „გვერდის აქცევა“, ელა-ყონაფა „გვერდით თანხლება“.

ბ) სტატიკურ ზმნებთან – ვინმეს, რაიმეს გვერდით მყოფობა: დგომა, ჯდომა, წოლა, დება (სულიერებთან საარვისო ქცევით): ელა-რინა „გვერდით ყოფნა“, ელა-’ნ’ჯირა „გვერდით წოლა“, ელა-დგუმა „გვერდით დგომა“, ელა ძვენა „გვერდით დება“, ელა-ხუნა „ვინმეს, რაიმეს გვერდით ჯდომა“ ...

(20) დიდა ელუხე (<ელა-უ-ხე) ბაღანას. [საუბრ.]

„დედა გვერდით უზის ბავშვს.“

(21) ძლაბი ელახე ლაფარას. [საუბრ.]

„გოგო ზის ლაფაროში.“

ეკო-

ა) დინამიკურ ზმნებთან – მოძრაობა ქვევიდან ზევით დახრილ ზედაპირზე, რაიმე არავერტიკალურ სიმაღლეზე – აღმართზე, მთაზე, ... (მაგრამ არა კიბეზე) ასვლა: ეკო-ულა (>ეკ-ულა) „აღმართზე ამოსვლა/ასვლა“, წყლიდან ნაპირზე გამოსვლა; ეკო-რულა „აღმართზე ამორბენა, არბენა“, ეკო-ღალა „აღმართზე ამოტანა/ატანა“, ეკო-/ნ/ჩურუა „წყლიდან ამო-სვლა, გამო-ცურვა“, ეკო-ყოთამა „წყლიდან ამო-გდება“...

ამ შემთხვევაშიც ქვევიდან ზევით მოძრაობა წარმოდგენილია გრამატიკულად კოდირებულ ორ ეტაპად:

1. წყლიდან ნაპირზე – დედამინის ზედაპირზე ასვლა / ამოსვლა (= ქართ. ამო, ა), გამოხატულია აბლატივის ფორმით: ზღვაშე

ეკილუ „ზღვიდან ამოვიდა“; 2. დედამინის ზედაპირიდან აღმართზე ასვლა/ამოსვლა, გამოხატულია მიმართულებითი ბრუნვის, ალატივის, ფორმით: *ეკობონიშა ეკილუ „აღმართზე ავიდა“*. ორივე შემთხვევაში სასტარტო ზედაპირად გვევლინება ბუნებრივი ორიენტირი – წყლის ან დედამინის ზედაპირი:

- (22) სუმი ქალაქიშა ოკო იკილესკო. (ყიფ. 4.30)
„სამ ქალაქში უნდა ამოსულიყვნენ ნაპირზე.“
- (23) „ტარიელქ“ გეკონჩურუ ძგაშა. (ყიფ. 103.27)
„ტარიელმა გამოსცურა ნაპირზე.“
- (24) ხრისტაგანქ... ქინასხაპუ ზღვას რაშით,
გოურქუ დო ეკილუ მელენ ძგას. (ყიფ. 89.25)
„ქრისტაგანი ... ჩახტა ზღვაში რაშით,
მოუსვა და ამოვიდა გაღმა ნაპირას.“
- (27) რაშიში გეხუნელო გვერდი გვალაშა ეკულა გაათუუ. (ყიფ. 31.5)
„რაშზე შემჯდარმა ნახევარი მთა აიარა.“ („ასვლა დაასრულა“)
- ბ) სტატიკური ზმნებისათვის ეკო- ზმნისწინით გამოხატული ლოკაციის ადგილი დაფიქსირებულია მხოლოდ თუდო „ქვევით, დაბლა“, ქვედა სივრცეში – ბუნებრივ სასტარტო ზედაპირზე: ეკო-რინა „ნაპირთან დგომა, ეკო-ხუნა „ნაპირთან ჯდომა“, ეკო-ძვენა „ნაპირთან დება“...
- (28) ...კითხუ ზღვას იკორდუნი თი კოჩქ. (ხუბ. 24.23)
„ჭკითხა ზღვის პირას რომ იდგა იმ კაცმა.“
- (29) სი გვერშაპი გიჟვილუნი თიში ძვალეფი
ეკო-ხიბუ ზღვა პისია. (ხუბ. 13.19)
„შენ გვერშაპი რომ მოგიკლავს, იმისი ძვლები მიყრილია ზღვის პირასო.“
- (30) სქანი სქუა თინა იცი, ნამუთი... ხვალე
ეკი-ხვენუაფუ ებურსიე. (ყიფ. 10.6-7)
„შენი შვილი ის იქნება კერიასთან მარტო რომ იჯდებო.“

მაგრამ რამდენადაც აღნიშნული სასტარტო ზედაპირი ამავე დროს არის ჰორიზონტალური სივრცის ნაწილიც, ეკოზმნისწინი გამოყენებულ იქნა ამ საზიარო სივრცეშიც უკვე გაფართოვებული მნიშვნელობით: ნებისმიერ ობიექტთან ახლოს, გვერდით მყოფობის აღსანიშნავად: ეკო-ყუნა „უკან მიყოლა“.

გე-

დინამიკურ ზმნებთან – უკან დადევნება, მიყოლა, დაწევა: გეთხოზინი „დადევნება“, გე-ყუნა „უკან მიყოლა, კვალში ჩადგომა“, გე-ჭიმაფა „დაწევა“.

(31) გიათხოზუ თე კვირკვის. (ხუბ. 110.22)

„უკან დადევნა ამ გორგალს.“

(32) გიაყუნია მუსით აუხვადუქუნი. (ხუბ. 29.5)

„უკან გაყევით (=კვალში ჩადგომა), რასაც შეხვდებით.“

(33) ასე გივოჭიშუა ისია. (ხუბ. 51.37)

„ეხლა დავეწევი იმასო.“

სტატიკურ ზმნებთან – სწორ ზედაპირზე, რამეზე ჯდომა, ნოლა, დგომა: გე-რე „რამეზე დგას“, გე-ჯანუ „რამეზე წევს“, გე-ხე „რამეზე ზის“...

გო-

ა) დინამიკურ ზმნებთან – მოძრაობა-გადაადგილება შიგნიდან გარეთ ან რისამე ირგვლივ, გარშემო: გო-დგუმა „გარეთ გადგმა“, გო-ლაფა „საიდანმე გამოეარდნა; გაქცევა“, გოლება „გავლა, შემოვლა“, გო-ლა'აფინი „ირგვლივ თამაში, ცეკვა“, გო-რსიოლუა „გარშემო ტრიალი“, გო-სხაპუა „ხტომით, ცეკვით შემოვლა, საიდანმე გადახტომა“, გო-რაცუა „გარეკვა“, გორქუალა „სწრაფად გაქცევა“.

(34) ქიჭანუ თე ბოში დო უწუ-მოლართია,

სქუა დო ტყას გოლებაფუა ჩქიმსია. (ხუბ. 70.17)

„დაიბარა ამ ბიჭმა და უთხრა- ნამოდო, შვილო, და ტყეს შემო-
გატარებ ჩემსო.“

- (35) გედოხოდგ თე ცხენს დო გოურქუუ დო მეურს. (ხუბ. 67.16)
„დაჯდა ამ ცხენზე და გაქუსლა და მიდის.“

ბ) სტატიკურ ზმნებთან – რაიმეს ირგვლივ, გარშემო მყო-
ვობა: გო-რინა „რაიმეს ირგვლივ, გარშემო დგომა“, გო-ხუნა
„ირგვლივ სხდომა“, გო-ძვენა „გარშემო დება.“

- (36) ქოძირ წყარცჳ ქგოძგ ჩხომი. (ყიფშ. 69.23)
„ნახა წყალზე/ მდინარეზე გადებულია თევზი.“

- (37) ჩქიმი რაშის ართ ცინდას ოკო გოძედას
მუკმუკიი ლინჯიშ ქკადილი რშვილი. (ხუბ. 125. 10)
„ჩემს რაშს ერთ მკაველზე უნდა ჰქონდეს შემოკრული
სპილენძის ნაჭედი წნული.“

დო-

ა) დინამიკურ ზმნებთან – ზევიდან ქვევით მიმართული მო-
ქმედება, რომელიც წყდება რაიმე ზედაპირზე. აქცენტირებუ-
ლია თვითმოქმედების პროცესი (შდრ. გე-ბუმა რამეზე დასხმა –
დო-ბუმა „ძირს დაღვრა...). სტატიკური ფორმები არა ეწარმოე-
ბათ. დო-რთა „დაბრუნება“ დო-გაფა „დაგება“, დო-დგუმა „დად-
გმა“, დო-დვალა „დადება“, დო-კორუა კარვის დადგმა, დო-ლა-
ფა „დავარდნა“, დო-ნთხაფა „დაცემა“ დო-ნჯირა „დანოლა“,
დო-რაგვაფა „ნაქცევა“, დო-სორგუა „დახვავება“ დო-წკარუა
დანყობა, დალაგება, დო-ხუნა „დაჯდომა“ ...

შიგნით <—> გარეთ

2.1.1.1 მოძრაობის მიმართულების აღსანიშნავად -შე და -შა
ნიშნიანი ბრუნვის ფორმები გამოყენებულია მოძრაობის დასაწ-
ყისისა და დასასრულის აღმნიშვნელ ზმნისწინებთანაც. რამდე-
ნადაც დასაწყისი და დასასრული ფაზები თავიანთი მნიშვნელო-

ბით ცალსახად ემთხვევიან რაიმე სივრცეში შესვლისა (დასასრულისა) და გამოსვლის (დასაწყისის) პროცესებს, მკაცრად დაცულია შესაბამის ლოკატიურ ბრუნვათა ფორმების გამოყენებაც: მიმართულებითი ბრუნვა (-შა დაბოლოებით) გამოხატავს მოცემულ სივრცეში შესვლის, დაშორებითი ბრუნვა (-შე დაბოლოებით) კი – გამოსვლის პროცესს. განსხვავებული ზმნისნიშნები განსხვავებულად ახასიათებენ შესვლა-გამოსვლის სივრცეს.

მიტო- (<მი+თო)

ა) დინამიკურ ზმნებთან — მოძრაობა გარედან შიგნით: რაიმე სიღრმეში, მცირე შემოზღუდულ სივრცეში – სოროში, ტყეში, ფულუროში და მისთ.: მიტ-ულა (<მიტო+ულა) „შიგ შესვლა“, მიტო-ხოხუა „შიგ შეძრომა, შეხოხიალება“, მიტო-ფურინუა „შიგ შეფრენა“, მიტო-‘ონაფა „შიგ შეყვანა“, მიტო-დგუმა „შიგ შედგმა“, მიტო-დვალა „შიგ შედება“ და ა.შ.

(38) მუქ ჯაქოქაშა მიტი-ილუ. (კარტ. 8.16)
„თვითონ ხის ფულუროში შევიდა.“

ბ) სტატიკურ ზმნებთან – აღნიშნულ სივრცეში მყოფობა: მიტო-რინა „შიგ დგომა, ყოფნა“, მიტო-ძვენა „შიგ დება“, მიტო-ხუნა „შიგ ჯდომა“, მიტო-(ნ)ჯირა „შიგ წოლა“, მიტო-სევანჯუა „შიგ დასვენება“ და ა.შ.

(39) ათაქ /ტყას/ მუშა მიტო-რე. (ხუბ. 70.23)
„აქ /ტყეში/ მუშა დგას (არის).“

(40) თე ძლაბიშ გური ქუას მიტო-ძედუ. (ყიფ.6.31)
„ამ გოგოს გული ქვის ქვეშ იდო“

(41) ჩიტი მიტო-ხედუ გალიას. (ქხს. II. 250.2)
„ჩიტი იჯდა გალიაში“

მინო- /მილა- /მიმო-

სინონიმური ზმნისწინები, რომელთა შორის (ქვემოაღნიშნული მნიშვნელობით) ყველაზე ხშირია მინულა.

ა) დინამიკურ ზმნებთან – მოძრაობას გარედან შიგნით რაიმე ჩაკეტილ, შემოკავებულ, მაგრამ არა ძალზე შემოზღუდულ, სივრცეში – ოთახში, შენობაში, ეზოში და ა.შ.: მინ-ულა (<მინო+ულა „შიგ შესვლა“, მილა-რაყუა „შიგ შერეკვა“, მინო-დგუმა „შიგ შედგმა“, მინო-ცონაფა „შიგნით შეყვანა“, მინო-ლალა „შიგნით შეტანა“, მინო-რულა „შიგნით შერბენა“, მილა-რგინუა „შიგ შეგორება“, მილა-დვალა „შიგ შედება“, მილა-ჯლონა „შიგ შეგზავნა“ და ა.შ.

(42) კოჩქ თე დროს მინ-ელ დინახალე. (ხუბ. 21.8)
„კაცი ამ დროს შევიდა შიგნით.“

(43) მინ-ელეს ჟირხოლოქ ცუდეშა. (ყიფ. 22.13)
„შევიდნენ ორივენი სახლში.“

(44) მუნ-ილით დო თქვა გეჭოფით. (ხუბ. 22.10)
„შემოდით და თქვენ აიღეთ.“

ბ) სტატიკურ ზმნებთან – აღნიშნულ სივრცეში მყოფობა (გამოყენებულია მხოლოდ მილა-): მილა-ხუნა „შიგნით ჯდომა“, მილა-რინა „შიგნით დგომა, ცხოვრება“, მილა-(ნ)ჯირა „შიგნით წოლა“, მილა-დგუმა „ავეჯის და მისთ შიგნით დგომა“, მილა-ძვენა „შიგნით დება“ და ა.შ.)

(45) მულარენ თი ცუდე მუმაქ ქიმეჩე. (ხუბ. 127. 29)
„შიგით რომ არის/ცხოვრობს, ის სახლი მამამ მისცა.“

(46) ამარი მულაძუნია. (ხუბ.22.10)
„აგერ (შიგნით) დევსო.“

მიშა-(<მი+შა)

ა) დინამიკურ ზმნებთან – მოძრაობა გარედან შიგნით რაიმე სიღრმეში, მჭიდრო გარემოში, მასაში – ხალხში, ტყეში, ზღვაში და ა.შ. მიშ-ულა „მიგ შესვლა“, მიშა-(ნ)ჩურუა „შეცურვა“, მიშა-ცონაფა „შეყვანა“.

(47) /ბოშიქ/ ზღუა დო ზღუა შქაშა მიშეელუ. (ყიფ. 45.31)
„ბიჭი ზღვასა და ზღვას შორის შევიდა.“

(48) ოთიფუშა მიშეელუ ჩხოულენქ. (ხუბ.170.14)
„სათივეში შევიდნენ ძროხები.“

(49) მიშეელეს ართი დიდი უდაბნო ტყაშა. (ყიფ.18.24)
„შევიდნენ ერთ დიდ უდაბურ ტყეში.“

ბ) სტატიკურ ზმნებთან – დახურულ ან შემოფარგლულ სივრცეში ყოფნა, ჯდომა, წოლა, დგომა... მიშა-ხუნა „შიგნით ჯდომა“, მიშა-რინა „შიგნით ყოფნა“, მიშა-(ნ)-ჯირა „შიგნით წოლა“, მიშა-დგუმა „შიგნით დგომა“, მიშა-ძვენა „შიგნით დება“...
გითო (<გი+თო)-

ა) დინამიკურ ზმნებთან – მოძრაობა შიგნიდან გარეთ; სიღრმიდან, მცირე, შემოზღუდული სივრცეიდან (სოროდან, ფულუროდან და მისთ., ასევე ტყიდან, ეკალბარდიდან...) გასვლა/გამოსვლა: გით-ულა (<გითო+ულა) „გამოსვლა“, გითო-რულა „გამორბენა“, გითო-სხაპუა „გამოხტომა“:

(50) სოროშე ჭიჭე ჟვაბუქ გითილუ. (კარტ. 15)
„სოროდან პატარა ბაყაყი გამოვიდა.“

(51) /ტყა დო ძიგირი/ ხვატეს, ხვატეს კიბირით ლეჯი
დო ძლაბიქ დო გითილეს მაჟია განიშე. (კარტ. 19)

„/ტყე და ეკალნარი/ ღრლნეს, ღრლნეს კბილით ღორმა
და გოგომ და გავიდნენ მეორე მხარეს.“

გიმო- (გი+მო)

ა) დინამიკურ ზმნებთან – მოძრაობა შიგნიდან გარეთ; რაიმე შემოსაზღვრული სივრციდან (შენობიდან, ოთახიდან ...) გასვლა/გამოსვლა: გიმ-ულა (<გიმო+ულა) „გამოსვლა“.

(52) გიმილუ ბოშიქ დო მიდართეს ონადირუშა. (ხუბ. 11.2)
„გამოვიდა ბიჭი და წავიდნენ სანადიროდ.“

გიშა-

ძირითადად დინამიკურ ზმნებთან გვხვდება .

ა) დინამიკურ ზმნებთან მოძრაობა შიგნიდან, რაიმე სი-
ღრმიდან, მჭიდრო გარემოდან, ან რაიმე მასიდან – წყლიდან
ხალხიდან, ტყიდან, ზღვიდან და ა.შ გასვლა, გამოსვლა: გიშ-
ულა „გამოსვლა შემოფარგლული სივრციდან“, გიშა-ლალა „გა-
მოტანა შემოფარგლული სივრციდან“...

(53) /ბოშიქ/ გვალო გოკვათუ დო გიშეელუ ჩხოშიში ქვარაშე. (ყიფ. 48. 5)
„/ბიჭმა/ სულ გაჭრა და გამოვიდა თევზის მუცლიდან.“

გინო- 2

ა) დინამიკურ ზმნებთან – მოძრაობა შიგნიდან გარეთ; ტე-
რიტორიულად შემოსაზღვრული, მაგრამ არა შეზღუდული, სივ-
რციდან (სახლიდან, ეზოდან...) გასვლა/წასვლა:

(54) /ომბოლქ/ გინიილუ მუში მახორობაშე. (ყიფ. 23.7)
„ობოლი გავიდა (წავიდა) თავისი სახლიდან.“

(55) უჩაში ჯიმაქ გინიილუ ჭუჩე, ოსური ოკო ითხუასი. (კარტ. 18)
„უფროსი ძმა სახლიდან წავიდა, ცოლი უნდა ითხოვოს.“

ბ) სტატიკა საერთო აქვს ჰორიზონტალურთან.

ორივე სახის მოძრაობაში გარჩეულია: ა) საკუთრივ ვერტი-
კალური მიმართულება; ბ) მიმართულება ზევითკენ, მაგრამ არა
ვერტიკალურად, არამედ დახრილი ტრაექტორიით.

ვერტიკალური სივრცე

მოძრაობა ქვევიდან ზევით.

ვერტიკალური მოძრაობა-გადაადგილება, მოძრაობის ხასიათიდან გამომდინარე, გარკვეულ თავისებურებებს ავლენს. პირველ ყოვლისა, ვერტიკალურ სივრცეში მოძრაობა არ იძლევა მოძრაობის ფაზების გამოყოფის შესაძლებლობას. აქ ლაპარაკია მხოლოდ მიმდინარეობაზე, რომლის მიმართულება განისაზღვრება დედამიწის ზედაპირთან (გადატანით – ნებისმიერ სხვა სიბრტყესთან) მიმართებით. შესაბამისად, -შე, -შა ნიშნის ფორმები გამოიყენება ზედაპირიდან დაშორებისა (მიმართულება ქვევიდან ზევით) და მისკენ მიმართულ (ზევიდან ქვევით) მოძრაობათა აღსანიშნავად.

ეთო-

ნაკლებად გავრცელებულია დინამიკური შინაარსით. ხშირია სტატიკური მნიშვნელობით. აღნიშნავს:

ა) დინამიკურ ზმნებთან – მოძრაობა რამის ქვეშ, ქვემოდან. ამ რიგისაა: ეთო-ყუნაფა „რამეს ქვეშ ჩაყოლიება“, ეთო-ლუაფა „რამეს ქვეშ გატარება“,

ბ) სტატიკურ ზმნებთან – რამის ქვეშ მყოფობა, ჯდომა, წოლა, დგომა: ეთო-რინა „რამის ქვეშ დგომა“, ეთო-ხუნა „რამის ქვეშ ჯდომა“, ეთო-ნჯირა „რამის ქვეშ წოლა“, ეთო-დგუმა „რამის ქვეშ დადგმა“, ეთო-დვალა „რამის ქვეშ დება“...

ე-

მოძრაობა ქვევიდან ზევით, დინამიკურ ზმნებთან – გამოხატავს მცენარის (ბალახის, ბუჩქის, ხის) აღმოცენებას, ნიადაგიდან ამოსვლას, გამოჩენას, მაგრამ არა შემდგომ ზრდას. ანალოგიურად იგი აღნიშნავს აგრეთვე თმის, წვერ-უღვაშის, კბილების ამოსვლას. ე-თი გაფორმებულ სხვა, არა მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელ, დინამიკურ ზმნებშიც (მათი რაოდენობა

საკმაოდ დიდია) გამოხატულია ზევითკენ მცირე მანძილზე (ყოველ შემთხვევაში, ადამიანის სიმაღლის ფარგლებში) ორიენტირებული ქმედება: ე-ულა „ამოსვლა“, ე-ფურიწა „აფრენა“, ე-სხაპუა „ახტომა“, ე-ცონაფა „აყვანა“, ე-ჭოფუა „აღება“, ე-კინა „ანევა“ და ა.შ.

- (56) ირ წანას ფხაჩქუნქ თაქ სიმინს... ,
გ-ე-ურს ჯგირო, მირდუ ძალამს... (ხუბ. 23.20-21)
„ყოველ წელს ვთოხნი აქ სიმინდს...,
ამოვა კარგად, გაიზრდება ძალიან...“

ეშა-

ა) დინამიკურ ზმნებთან ვერტიკალური მიმართულებით მოძრაობა-გადაადგილება ქვევიდან ზევით (= ქართ. ამო , ა):
ემ-ულა (<ეშა+ულა) – „ამოსვლა/ასვლა“, ეშა-თხოზინი „ამოდევენება/ ადევენება“, ეშა-რულა „ამორბენა/არბენა“, ეშა-სხაპუა „ამოხტომა / ახტომა, ეშა-ხოხუა „ამოხოხება / ახოხება“, ეშა-ლალა „ამოტანა / ატანა /, ეშა-ცონაფა „ამოყვანა / აყვანა“, ეშა-ჩქუმალა „ ვინმეს ამოგზავნა / აგზავნა“, ეშა-ჯლონა „რამის ამოგზავნა / აგზავნა“...

მოძრაობის მოცემული ტიპი, უცვლელი ზმნისწინის პირობებში, წარმოდგენილია გრამატიკულად კოდირებულ ორ ეტაპად:

1. მოძრაობა შეიძლება გამოხატავდეს ნებისმიერი ქვედა საწყისი პუნქტიდან – ქვესენელიდან, ორმოდან, ჭიდან, ხის ფულუროდან, ქვაბიდან, მილიდან, ჭუჭრუტანიდან ... მაღლა, საორიენტაციო ზედაპირამდე ამოსვლას. შესაბამისად, მოძრაობის მიმართულება, როგორც საწყისი პუნქტიდან დაშორება (კითხვაზე *სოურე* „საიდან?“) აღინიშნება დაშორებითი ბრუნვის, აბლატივის, ფორმით (ნიშანი -შე):

- (57) გიონწყუ დიხაქ დო ეშეელუ ნდემქ.
„გაიხსნა მიწა და ამოვიდა დევი.“ (ყიფშ. 60.23)
- (58) ჩხომქ წყარიშე გეშასხაპუ.
„თევზი წყლიდან ამოხტა.“ (ყიფ. 48.1)
- (59) თენეფი ირფელი გეშაჯლონუ ე ბოშიქ ეშე,
ბოლოს ოსურსქუალეფი გეშახუნუ. (ხუბ. 5. 11-12)
- „ეს ყველაფერი ააგ ზავნა ამ ვაჟმა ზევით,
ბოლოს ქალიშვილები ასვა.“

2. მოძრაობა შეიძლება იწყებოდეს უკვე საორიენტაციო ზედაპირიდან (ან აღნიშნულ ზედაპირამდე დაწყებული, გრძელდებოდა) ზევით, გაშლილ სივრცეში, ე.ი. მიიმართებოდეს მაღლა, იქნება ეს – ხეზე, კიბეზე, მთაზე, ცაში... ასვლა. ამ შემთხვევაში მოძრაობის მიმართულება ეშე- „ზევით“ (კითხვაზე სო „საით“?) გამოიხატება მიმართულებითი ბრუნვის, ალატივის ფორმით (ნიშანი -შა):

- (60) იშეელუ ჭადარი-შა. „ავიდა ჭადარზე“. (კარტ.19)
- (61) ჯორქ გინირთუ მუმულო, ქაშაფურიწუ ჯა-შა. (ყიფ.10.31)
„ჯორი გადაიქცა მამლად, აფრინდა ხეზე.“
- (62) მა ჟიი ჯაში ნოცველას ქომუასხუპი, იფშეელი ჯა-შა. (ყიფ. 46.15)
„მე ზევით ხის ტოტს მოვეჭიდე, ავედი ხეზე.“

ბ) სტატიკურ ზმნებთან ეშა- ზმნისწინი, ბუნებრივია, გამოხატავს მოძრაობის სუბიექტის ჟი//ჟიდო „ზედა“ სივრცეში ყოფნა/მდებარეობის პროცესს. შესაბამისად, გვხვდება: ჯას „ხეზე“, ორთვალს „სახურავზე“ ... ეშა-ხე, ეშა-ძუ „ზევით, ხეზე, სახურავზე... წევს, ზის, დევს“.¹⁴ ვიზუალურად ქვემოდან შდრ. გიმოძვენა „ზევით დება“ ...

¹⁴ ქვედა სივრცის გამომხატველ სტატიკურ ფორმაში ეშა-ხუნა, რომელიც განმარტებულია (ქაჯ. 1. 569) როგორც „ჩაჯდომა შუაში“, ეშა- შეიძლება იყოს მხოლოდ დიშა- „ქვევით შუაში“ ზმნისწინის ვარიანტი. შდრ. დინო > ინო „ზევიდან ქვევით სიღრმეში“.

ეკო-

ა) დინამიკურ ზმნებთან – მოძრაობა ქვევიდან ზევით დამრეც ზედაპირზე (მთაზე ან რაიმე არავერტიკალურ სიმაღლეზე) ასვლა, წყლიდან ნაპირზე ამოსვლა: ეკო-ულა (>ეკ-ულა) „აღმართზე ასვლა/ამოსვლა“, ეკო-რულა „აღმართზე ბ) მოძრაობაში აღნიშნულია მიმართულება ზევითკენ, მაგრამ არა ვერტიკალურად, არბენა/ამორბენა“, ეკო-/ნ/ჩურუა „წყლიდან გამოცურვა“, ეკო-ცოთამა „წყლიდან ამოგდება“, ეკო-ლალა „აღმართზე ატანა“...

(63) რაშიში გეხუნელო გვერდი გვალაშა

ეკ-ულა გაათუუ. (ყიფ. 31.5)

„რაშზე შემჯდარმა ნახევარი მთა აიარა“ („ასვლა დაასრულა“).

(64) სუმი ქალაქიშა ოკო იკილესკო. (ყიფ. 4.30)

„სამ ქალაქში უნდა ამოსულიყვნენ ნაპირზე.“

ელა-¹⁵

დინამიკურ ზმნებთან – გამოხატავს გვერდიდან ამოსვლას, აღმა სვლას. ძირითადად გამოიყენება მზისა და მთვარის ამოსვლის გამოსახატავად:

ელულა (<ელა+ულ-ა)

(65) გიორგიქ ელენწყ ლეკური. (ხუბ. 146. 29)

„გიორგიმ ამოიხსნა ხმალი.“

ბ) სტატიკურებთან – რაიმეს გვერდით მდებარეობას: ალა-რინა „გვერდით ყოფნა /დგომა“, ალა-დგუმა – გვერდით დადგმა“, ალა-ძვენა „გვერდით დება“, ალა-ნჯირა „გვერდით წოლა“...

მოძრაობა ზევიდან ქვევით

გამოყენებულია როგორც მარტივი, ისე რთული ზმნისწინები: გე-, დო- გელა-, დიკო-, დილა-, დინო-

¹⁵ -ელა ზმნისწინის სემანტიკასთან დაკავშირებით იხ. რ. გერსამია, ნ. ახალაია 2017.

გე-

ა) დინამიკურ ზმნებთან – ზემოდან ქვევით მიმართული მოძრაობის დასასრული რაიმეზე, რისამე ზედაპირზე, რაც გამოხატულია შესაბამისი სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმით : გე-ბუმა „რამეზე ზედ-სხმა“ („დასხმა“), გე-გაფა „რამეზე ზედ-გება“ („დაგება“), გე-ნთხაფა „რამეზე ზედ-დაცემა, თავდასხმა“, გე-ნწყულა „რამეზე ზედ-წყობა, ზედ-ლაგება“ „(და-წყობა, და-ლაგება), გე-ყოთამა „რამეზე ზედ-გდება“ („და-გდება“), გე-დგუმა „რამეზე ზედ-დგმა“ („და-დგმა“), გე-ნჯირა „რამეზე ზედ ნოლა“ („და-ნოლა“), გე-ხუნა „რამეზე ზედ-ჯდომა“ („და-ჯდომა“) ...

(66) ართი სენს ჩქიმოთ გიოზი ჩილამური
დო მაჟირა ნდიშოთია. (ხუბ. 11.30)

„ერთ თეფშზე ჩემთვის დაასხი (ზედ ასხი)
ცრემლი და მეორეზე – დევისთვისო.“

(67) როშაპიქ ქუაშ ნვანს ქიგიანთხუ დო იშო ქიგელურუ. (ხუბ. 62,29)
„როშაპი ქვის წვერზე დაეცა და ზედ მოკვდა (და-ა-კვდა).“

ბ) სტატიკურ ზმნებთან – სხეულის, საგნის მდებარეობა რამეზე, რისამე ზედაპირზე: გე-რე „ზედ-დგას“ (ცოცხ.), გე-დგუ „ზედ დგას“ (არაცოცხ.), გე-ჩანს „ზედ-დგას“ (მცენ.), გე-ხე „ზედ-ზის“, გე-ჯანუ „ზედ წევს“, გე-ძუ „ზედ დევს“, გე-სორგუ „ზედ ყრია“ ...

(68) დღას მის გუგონებუ : გვერს ულუ გედგუდუნი (ყიფ. 187.15-16)
„როდისმე ვინმეს სმენია, რომ გველს უღელი ზედ ედგას.“

დინო- (> ინო-)

ა) დინამიკურ ზმნებთან – მოძრაობა ზევიდან, საორიენტაციო ზედაპირიდან ქვევით; სიღრმეში გამოყენებულია იგივე ზმნისწინი დინო-, მოძრაობის სივრცე და მანძილი განსაზღვრული არ არის: დინულა (დინო+ულა) – „რამეში ჩასვლა“, დინო-დვა-

ლა ჩადება, დინო-სხაპუა ჩახტომა“, დინო-ლალა „ჩატანა“, დინო-ყონაფა „ჩაყვანა“, დინო-ნთხაფა „ჩა-ვარდნა“, დინო-ხუნაფა „ჩას-მა“, დინო-რღვაფა „ჩაყრა“, დინო-წკარუა „ჩანყობა, ჩალაგება“ ...

(69) მუში ოზეს დათხორაფუუ ვითოჟირი საჯენი სამარე დო ჟირხოლო ჩილი დო ქომონჯქ დინილეს დინახალე. (ხუბ. 36. 27)

„თავის ეზოში ამოათხრევინა თორმეტი საჯენი მინა და ორივე ცოლი და ქმარი ჩავიდნენ შიგნით.“

(70) დინილუ უკლაში ჯიმაქ. (ხუბ. 3. 10)
„ჩავიდა უმცროსი ძმა.“

(71) /ლევანქ/ გეშათხურუ დიხა დო ძლაბი
თექ ქე-დნ-ახუნუ. (ხუბ. 12. 8-9) (< ქე-დინო-ოხუნუ)
„/ლევანმა/ ამოთხარა მინა და /გოგო/ იქ ჩასვა.“

(72) ბანარი ვიშო ქე-დნ-უცოთეს ბოშის. (ხუბ. 5.18)
(< ქე-დინო-უცოთეს)
„თოკი შიგ ჩაუგდეს ბიჭს.“

(73) საფულეშა გედნაყუნენი, იშენი მუთუნი
ვაიშურს. (<გე-დინო-აყუნენი)
„საფლავეში რომ ჩაჰყვე, მაინც
არაფერი არ გამოგივა.“ (ქაჯ. 1.471)

(74) ბედი რენია თქვია დო წყარს ქ-ინა-სხაპია. (ანდაზა)
„ბედიო თქვი და წყალში ჩახტო.“

ბ) სტატიკური ზმნები აღნიშნავენ ყოფნა-მდებარეობას მხოლოდ მოძრაობის დასასრულ ფაზაში. შდრ.: დინო-რინა „შიგ დგომა“, დინო-ძვენა „შიგნით დება“.

(75) ტყვია ეფერი დიხას დინ-ნოხვე, ნამუდა იში
ეშე იშალალა ვანოცოფუე. (ხუბ. 16.14-15)
„ტყვია ისეთ ადგილას იჯდა, რომ მისი იქიდან
ამოღება შეუძლებელი ყოფილა.“

გილა- (<გე+ლა-)

ა) დინამიკურ ზმნებთან – მოძრაობა ზევიდან, ან რაიმე აღნიშნული ზედა პუნქტის გვერდითი ნაწილიდან ქვევით, საორიენტაციო ზედაპირისკენ: გილ-ულა „ჩამოსვლა“, გილა-სხაპუა ჩამოხტომა“, გილა-‘ნ’თხაფა „ჩამოვარდნა“, გილა-ცუმა „ჩამოცვენა“, გილა-რაჟუა „ზევიდან ჩამორეკვა“ ... გილა-ფურინუა „ჩამოფრენა“...

(76) ბოშიქ გილელუ რაშიშე.

„ვაჟი ჩამოვიდა რაშიდან.“ (ხუბ. 37.5)

(77) მონდას ოცოთანდეს, კობუქ გეგილალუ. (ყიფ. 176. 12)

„მნიფეს ესროდნენ, მკვახე ჩამოვარდა.“

(78) მა კვარჩხან თოლიშე ჩილამურს გეგლუოცოთანქია.

„მე მარცხენა თვალიდან ცრემლს ჩამოვადებო.“ (ხუბ. 50.37)

(79) /გერიაქ/ ქემერთუ ნდიიში ჭიშქარიშა

დო გიგლასხაპუ ცხენიშე. (ცაგ. 20-21)

„/გერია/ მივიდა დევის ჭიშქართან და ჩამოხტა ცხენიდან.“

(80) დიიქ /ბადიდი/ ხუჯიშა ქიგიილეხუნუ

დო წყარს მეჟუნს (ყიფ. 40. 19-20)

„დეემა ბერიკაცი მხარზე შეისვა და წყალს მიყვება.“

ბ) სტატიკურ ზმნებთან – ზედა სივრცეში ყოფნა: ძვენა „დება“, ‘ნ’ ჯირა „ნოლა, ხვენა//ხუნა „ჯდომა“, გილახუნა „ჩამოჯდომა სკამზე, კიბეზე“, გილა-ძვენა „დება მაგიდაზე, თაროზე ...“; გილა-ნწყულა „დალაგება, დანყობა (ჭურჭლის...) მაგიდაზე, თაროზე; გილა-ნჯირა „ნამონოლა ტახტზე, სანოლზე ...).

(81) ყვარილს ვაგილახუნე ჯაშა. (ყიფ. 161.6)

„ხეზე ყვერული ვერ ჩამოჯდება.“

(82) მარძგვანიშე გილახე ყვარიან, თინა რე მუშავა. (ხუბ. 88. 14)

„მარჯვნივ რომ ზის ყვავი, ის არის მამაშენიო.“

- (83) ოჭკომალი დო ოშუმალი ქოძირეს,
სტოლს გილადგედენი . (ხუბ. 208. 38)
საჭმელი და სასმელი ნახეს, მაგიდაზე რომ იდგა.“

დილა – (დი+ლა)

ა) დინამიკურ ზმნებთან – ელა-ს საპირისპირო მიმართულებით გვერდით ჩასვლა. დილულა “მზის ჩასვლა“ შდრ. ბჟადაა-ლუუ “დასავლეთი“.

ბ) სტატიკური დილაძენა “ჩადება“, დილახუნაფა „ჩამოჯდომა / ამოჯდომა“.

- (83) მა სკანდა ვამითქუალუ უჩა თოლეფი ილარძუნიავა.
„მე შენთვის არ მითქვამს შავი თვალი
(=ცუდი თვალი) გიდევსო.“ [საუბრ.]

- (84) ბჟაქ დილალუშა ქიმერთუნი, ცხენი ქინჯიროუ. (ხუბ. 181.9)
„მზე ჩასვლაზე რომ მივიდა, ცხენი ქე ნვება.“

- (85) ჯიბეს ვედილაგიძუ გროში, ხოჯენს გილუხართუანქ.
„ჯიბეში არ გიძევს გროში, ხარები
იქით-აქეთ დაგყავს.“ (ქაჯ. 1.466)

- (86) ნოსაში დილახუნაფა ვაგოკონია-და კველას გინუკონია
„რძლის გვერდით ამოჯდომა თუ არ გინდა,
ჯორკო გადასწიეო.“ (ქაჯ. 1.466)

დიკო

ა) სტატიკურ ზმნებთან მდებარეობის ადგილად განისაზღვრება ბუნებრივი საორიენტაციო (იგივე სასტარტო) ზედაპირი – დიკო-ძენა „ნაპირთან დება“, დიკოხუნა „ნაპირზე ჯდომა“;

ბ) დინამიკურ ზმნებთან – მოძრაობის მიმართულება ზევიდან ქვევით დაღმართზე: დიკულა (< დიკო-ულ-ა) – „ჩასვლა, ჩამოსვლა“, დიკო-ლალა „ჩატანა, ჩამოტანა“, დიკო-ცონაფა, – „ჩაყვანა, ჩამოყვანა“.

- (87) ეკოხონს ეკირული, დიკოხონს დიკირული. (ხალხ. სიბ. 42)
„აღმართზე არბის, დაღმართზე – ჩარბის.“

დო-

დინამიკურ ზმნებთან – ზევიდან ქვევით მიმართული მოქმედება, რომელიც წყდება რაიმე ზედაპირზე (იხ. ზემოთ): დო-ბუმა „დასხმა“, დო-დგუმა „დადგმა“, დო-დვალა „დადება“, დო-კონა „და-წევა, დახრა“, დო-ლაფა „დავარდნა“, დო-ნთხაფა „დაცემა“ დო-რაგვაფა „ნაქცევა“.

ასპექტი

მოძრაობა-გადაადგილება, ისევე როგორც ნებისმიერი ქმედება, შეიძლება განხილულ იქნას როგორც უწყვეტი, მიმდინარე და როგორც შეწყვეტილი ან დასრულებული პროცესი. ენობრივ ასახვაში პირველს გამოხატავენ უსრულასპექტიანი: ანმყოსა და ანმყოს თურმეობითის¹⁶ ჯგუფის ფორმები, ხოლო მეორეს – სრულასპექტიანი: აორისტის, პერფექტისა და, აგრეთვე, მყოფადის ჯგუფის ფორმები. ასპექტური განსხვავება მნიშვნელოვნად ცვლის მოძრაობის სქემას და გარკვეული ცვლილებები შეაქვს შესაბამის ზმნისწინთა მნიშვნელობებშიც.

2.2.1 უსრულასპექტიან ფორმებში, როგორც აღნიშნული იყო, ძირითადი მიმართულებითი ზმნისწინები მე- და მო- გამოხატავენ მოძრაობის, როგორც განგრძობითი პროცესის (ორიენტაციით განსაზღვრულ) მიმართულებას, დასაწყისსა და დასასრულზე მინიშნების გარეშე. ისინი აღნიშნავენ მხოლოდ რაიმე პუნქტიდან გასვლას *იქეთა* მიმართულებით (მე-), ან რაიმე პუნქტისკენ სვლას *აქეთა* მიმართულებით (მო-). სრულასპექტიან ფორმებში, სადაც ასახულია განსხვავებული სიტუაცია – უკვე შეწყვეტილი ან დასრულებული მოძრაობა, აღნიშნული ზმნისწინები სხვა მნიშვნელობას იძენენ. კერძოდ, რომელიმე პუნქტიდან გასვლა/გამოსვლის აღსანიშნავად გამოყენებულია

¹⁶ ანმყოს თურმეობითებზე

სპეციალურად სრულასპექტიანი ფორმებისათვის – მიდა- და მოლა- რთული ზმნისწინები, ხოლო გამოთავისუფლებულ მე- და მო- ზმნისწინებს ეკისრებათ საპირისპირო მნიშვნელობის – რომელიმე პუნქტში მისვლის ან მოსვლის აღნიშვნა. ცვლილებას განიცდის ულ- ძირიც. სრულასპექტიან ფორმებში მას ენაცვლება სუბლექტიური რთ- (< *ჯედ) ძირი:

მიდა-რთუ „საიდანმე იქით წასვლა“.

(87) /ბოშიქ/ მიიდართუ წუდე-შა (ყიფ. 58.22)
„ვაჟი წავიდა სახლში.“

(88) ქოჩორაქ კინი მიდართუ ონადირუშა (ყიფ. 102.3)
„ქოჩორა ისევ წავიდა სანადიროდ.“

მოლა-რთუ „საიდანმე აქეთ წამოსვლა“.

(89) მოლართეს მუნეფიში წუდეშა. (ხუბ. 150.2)
„წამოვიდნენ თავიანთ სახლში.“

ქე-მე-რთუ „იქ მივიდა“.

(90) ძლაბიქ უკული ქემერთუ დო ართი ჭიჭე
ძვალი გემკოტახუ. (ხუბ. 13.23)
„გოგო (=გოგომ) მერე მივიდა და ერთი პატარა ძვალი მოტეხა.“
ქო-მო-რთუ „აქ მოსვლა“.

(91) მუხვი დო ჭუკიქ ქომორთეს თაქ. (კარტ.11)
„თხუნელა და თავი მოვიდნენ აქ.“

მიდუ-რთ-უმ-უ „წასულა“ მოლუ-რთ-უმ-უ „წამოსულა“.

მე-ურთ-უმ-უ „მისულა“ მო-ურთ-უმ-უ „მოსულა“.

რაც შეეხება მიმდინარეობის აღნიშვნას. მისი, როგორც უწყვეტი პროცესის, სემანტიკიდან გამომდინარე, იგი არ შეიძლება გამოხატულიყო სრულასპექტიანი ფორმებით. მაგრამ მოძრაობის ის მონაკვეთი, რომელიც გულისხმობს ერთი პუნქტიდან მეორეში გადაადგილებას, „ცარიელი“ მაინც არ რჩება (ქობალავა

2010: 242-243): ნარატიული მოთხოვნების შესაბამისად ენაში არსებული ენობრივი საშუალებებით ეს ხარვეზი ივსება. ამ მიზნით ყველაზე ფართოდ გამოყენებულია სრულასპექტიანი *ვიდ „იარა“ ძირის აორისტის ფორმა იდ-, რომლის სემანტიკა მეგრულსა (და ლაზურში) გადახრილია და უსრული ასპექტის აღმნიშვნელი გამოდის (ჩიქობავა 1938: 274). ამ განცდას აძლიერებს იდ- ძირის გამეორების შემთხვევები, რომელსაც თხრობის პროცესში ვხვდებით და რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს უწყვეტლობის შთაბეჭდილებას (აღნიშნული ტენდენციის შესახებ იხ. აგრეთვე შანიძე 1980: 506-508; მაჭავარიანი 1974: 120-121; არაბული 1999: 50).

2.2.2 ასპექტური ცვლილებები ეხება დასაწყისისა და დასასრულის აღმნიშვნელ ფაზებსაც. ზმნისწინები ამ ფორმებში უცვლელი რჩება, მაგრამ აწმყოს ფუძე იცვლება აორისტის ფუძით:

გითი-ლ-უ „გამოდვრა“ მითი-ლ-უ „შეძვრა“

გიმი-ლ-უ „გამოვიდა“ მინი-ლ-უ „შევიდა“

გიშე-ლ-უ „გამოვიდა“ მიშე-ლ-უ „შევიდა“

გითუ-ლ-ებ-უ „გამომძვრალა“ მითუ-ლ-ებ-უ „შემძვრალა“

გიმუ-ლ-ებ-უ „გამოსულა“ მინუ-ლ-ებ-უ „შესულა“

გიშუ-ლ-ებ-უ „გამოსულა“ მიშუ-ლ-ებ-უ „შესულა“

2.3 ასპექტის წარმოებას უკავშირდება მყოფადი დროის საკითხიც. მეგრულში ცნობილია მყოფადის წარმოების რამდენიმე გზა (ჭუმბურიძე 1986: 141-146). მათ შორის ძირითადია აღნიშნული ფუნქციით აწმყოს (უთემისნიშნო ან თემისნიშნიან) ფუძეზე გე-, გო-, დო-, მე-, მო- მიმართულებითი ზმნისწინების დართვა. ისინი ერთვიან როგორც მარტივ, სადერივაციო ზმნისწინ-

ნებით გაუფორმებელ, ისე უკვე გაფორმებულ ფუძეებს,¹⁷ მაგრამ არ ცვლიან მათ მნიშვნელობას. შდრ.:

უსრ. მე-სუნს „მიყავს“,

სრ. აორ. მიდე (< მიდა) – სონუ „ნაიყვანა“

სრ. მყოფ. მიდე (< მიდა) – სონანს „ნაიყვანს“

უსრ. გე-სუნს „უკან მიყვება“,

სრ. აორ. ქე გია – სუნუ „უკან გაყვა“

სრ. მყოფ. ქეგია სუნუ „უკან გაყვება“

უსრ. მიკმა (<მიკო+მა)-სოთანს „ზევით დადებულს, ჩამოკიდებულს ქვევიდან ჩამოაგდებ“

სრ. აორ. გიმკა (< გე+მიკო)-სოთუ
„ზევით დადებული, ჩამოკიდებული
ქვევიდან ჩამოაგდო“

სრ. მყოფ. გიმკა სოთანს „ქვევიდან ჩამოაგდებს“

უსრ. გინმა (<გინო-მა)-სოთანს „აგდებს“

სრ. აორ. გიგნა (< გე+გინო) – სოთუ „გადააგდო“

სრ. მყოფ. გიგნა სოთანს „გადააგდებს“

უსრ. დოთმა სოთანს „ძირს აგდებს“

სრ. აორ. ქო-და’ოთუ „ძირს დააგდო“

სრ. მყოფ. ქო-და’ოთანს „ძირს დააგდებს“

აორისტთან კავშირს მხარს უჭერს ფუძემონაცვლე ზმნე-ბიც, სადაც აშკარაა კავშირი აორისტისა და მყოფადის ფორმებს შორის:

ორწყე „ხედავს“ ქოძირუ „ნახა“ ქოძირუნს „ნახავს“

არძენს „აძლევს“ ქემეჩუ „მისცა“ ქემეჩანს „მისცემს“

ორე „არის“ იყუ „იქნა“ იყი „იქნება“

არის სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით მყოფადის ფორმებში გამეორებულია არა აწმყო, არამედ აორისტის (ე.ი.

¹⁷ სრულასპექტიან ფორმებში მასპექტირებელი ზმნისწინებიდან ყველაზე გავრცელებულია გე- .

სრულასპექტიანი) ფორმა, ანმყოს თემის ნიშნის დართვით ან დაურთველად (ჭუმბურიძე 1986: 144-145).

ამგვარად, სადერივაციო ზმნისწინებისაგან განსხვავებით, მაასპექტირებელი ზმნისწინები მონაწილეობენ მხოლოდ და მხოლოდ სრულასპექტიან ფორმათა წარმოქმნაში. შესაბამისად, მყოფადის ჯგუფის ფორმებში ანმყოს ფუძეზე (ისევე როგორც აორისტის ფუძეზე) მათი დართვა სრული ასპექტის აღმნიშვნელია.¹⁸ მყოფადის მნიშვნელობას ქმნის *ანმყოს ფუძე + სრული ასპექტი*: ანმყოში მიმდინარე მოქმედება შეიძლება დასრულდეს მომავალში.

¹⁸ მსგავსი მოსაზრება გამოთქმული ჰქონდა ი. ყიფშიძესაც.

მყოფადის ფორმებს დამოუკიდებლად არ განიხილავდა. იგი მხოლოდ განასხვავებდა ანმყოსაგან ანმყო-მყოფადს, როგორც ანმყოს სრულასპექტიან სახეს (ყიფშიძე 1914:059).

ულ-ა (სვლა) ზმნის სემანტიკა მეგრულში

მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელ ზმნურ ძირებს შორის – ულ (-> – ურ – თანხმოვანთა წინ, – ლ – ინტერვოკალურ პოზიციაში)¹⁹ „სვლა, სიარული“, როგორც ადამიანისათვის ყველაზე ბუნებრივი და მნიშვნელოვანი აქტივობის აღმნიშვნელი, ყველაზე გავრცელებულია. იგი უნიკალურია იმ აზრითაც, რომ განეკუთვნება რა ქართველურ ენათა ლექსიკის უძველეს შრეებს, მათი სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნების მატარებელიცაა.²⁰ ულ – ძირის მნიშვნელობა, ისევე როგორც მოძრაობის აღმნიშვნელი სხვა ძირებისა, ლოკაციური მახასიათებლების გამოხატვის თვალსაზრისით, ჩვეულებრივ, ნეიტრალურია: აღნიშნავს მხოლოდ ერთი პუნქტიდან მეორისკენ გადაადგილების პროცესს²¹. ამ მნიშვნელობით იგი წამოედგენილია მოქმედების სახელის, მასდარის უზმნისწინო – ულ – ა მიმღეობის – მა- ლ- უ „მავალი“, მო – მა – ლ – უ „მომავალი“, ულ – ირ – ი „წასული“ აგრეთვე უსრულასპექტიანი ზმნური ფორმებით. მეტყველებაში ისინი გვევლინებიან სახელური ფუნქციებით – წინადადებაში შედგენილი შემასმენლის სახელურ ნაწილად და ქვემდებარე/დამატების ან განსაზღვრების როლში²² :

¹⁹ ულ- ძირის რეფლექსების საკითხი აწმყოს თურმეობითის ფორმებში საჭიროებს დაზუსტებას.

²⁰ მეგრული (ზანური) -ულ- ძირი ითვლება *ვულ- < *ვოლ- ფუძიდან მომდინარედ, შდრ: ქართ. ვალ- (ჩიქობავა 1938: 273-274). მეგრულში თავკიდური ვ დაკარგულია, მაგრამ მის არსებობას ცალსახად ადასტურებს ო > უ პროცესი. თავკიდური ვ- დაკარგულია ულა ზმნის სრულასპექტიან ფორმაშიც: ვიდ- > იდ.

²¹ მეგრულში დადასტურებულია ზმნური ძირები, რომლებიც გარდა გადაადგილების სემანტიკისა, ლოკაციურ კომპონენტსაც აღნიშნავენ: თხოზინი „გამოდევნება, უკან დადევნება“, გე-ჭიმ-აფა „დანევა“ და მისთ., მაგრამ მათი რიცხვი ძალზე მცირეა და საერთო სურათს ვერ ცვლის.

²² აქ და ქვემოთ დამოწმებულ მაგალითებში ნეიტრალური გ ხმოვანი, რომელიც მიღებულია უპირატესად დასავლურ რეგიონებში ი და უ ხმოვანთა

(92) ტყურა ჯინას ტყურა ულა უჯგუ.
„ტყუილად ყურებას ტყუილად
(ნა)სვლა ჯობია.“ (ყიფშ. 179. 100)

(93) უღირ დროს დღას ვამაჭიშუანქია
„ნასულ დროს ვერასოდეს დაენევიო“ (ხალხ. სიბრძნე 1.133)

ლოკაციური ხასიათის ინფორმაციას (მოძრაობის მიმართუ-
ლება და ორიენტაცია, ადგილი, დასაწყისი და დასასრული პუნ-
ქტები) გვანვდიან ზმნურად გაფორმებულ ფუძეებში ძირთან
ერთად შემავალი ზმნისართული მნიშვნელობის პრეფიქსული
ფორმანტები – ზმნისწინები²³. მათ ფუძეში უკავიათ სტაბილური
პოზიცია (ყიფშიძე, 1914: 117; გუდავა, გამყრელიძე, 2000: 190-
191) და იდენტური ან შეცვლილი მნიშვნელობით მეორდებიან
მასდარისა და საუღლებელ ერთეულთა ფორმებში (გამონაკლი-
სისათვის იხ. 4. 2). ნეიტრალურ ძირთა კომბინაციებით ზმნისწი-
ნები ქმნიან განსაკუთრებული სიმრავლითა და სემანტიკური
მრავალფეროვნებით გამორჩეულ დინამიკურ და სტატიკურ
ზმნურ ფორმებს, რომლებშიც ძირითადი ლექსიკური მნიშვნე-
ლობის მატარებლად ძირი გვევლინება²⁴.

ნაწილობრივი რედუქციის შედეგად, სტატიაში გადმოცემულია ამოსავა-
ლი ხმოვნებით. ასევე შეზღუდულია ზმნისწინთა ხმოვნური ვარიანტების
(ა/ე/ი) გადმოცემა. ისინი წარმოდგენილია ძირითადად სენაკურისთვის
დამახასიათებელი გახმოვანებით.

²³წარმოდგენილ ნაშრომში არ არის გათვალისწინებული მეგრული ზმნისწი-
ნებისთვის დამახასიათებელი პოლისემიურობისა ან მეტაფორული გამოყე-
ნების მრავალფეროვანი შემთხვევები. აღნიშნულია მხოლოდ მოძრაობა-გა-
დაადგილებასთან უშუალოდ დაკავშირებული მნიშვნელობები.

²⁴ძირის გარეთ ზმნისწინის ადგილით მეგრული, *resp.* ქართველური (აგ-
რეთვე ინდოევროპული, გარდა რომანულისა, უნგრო-ფინური, ჩინური და
ა.შ.) ენები თავსდებიან ერთ ჯგუფში, რომლებიც ლ. ტალმის კლასიფიკა-
ციით განიხილებიან როგორც ს ა ტ ე ლ ი ტ უ რ ი (satellite framed) ენები,
განსხვავებით ზმნური (verb framed) (რომანული, სემიტური და სხვ.) ენე-
ბისაგან, რომლებშიც მოძრაობის მიმართულება (path) ზმნის სემანტიკა-
შივეა ჩადებული (ტალმი 1985: 85).

ლექსიკური მნიშვნელობა, რომელსაც -ულ- ძირი გამოხატავს მისგან ნაწარმოებ ფორმებში, ძალიან ზოგადია და გულისხმობს მხოლოდ მოძრაობის საერთო სემანტიკურ მახასიათებლებს, როგორიცაა: 1. დინამიკურობა, 2. სუბიექტი, 3. სახე, 4. დრო.

1. დინამიკურობა.

ულ – ძირის, როგორც დინამიკური პროცესის გამომხატველი უმცირესი სემანტიკური ერთეულის, შემცველი ზმნური ფუძეები გამოხატავენ მოძრაობის ლოგიკით მოსალოდნელ სამ დამოუკიდებელ, დროში გავრცობილ მონაკვეთს ანუ ფ ა ზ ა ს²⁵. მათ შორის, ეს არის მოძრაობა – გადაადგილების სპეციფიკის თვალსაზრისით ძირითადი – მიმდინარეობა, ანუ საკუთრივ მოძრაობა, რომელიც სპეციალურ ზმნისწინთა მეშვეობით გამოხატავს მოძრაობის მიმართულებას (რაიმე ორიენტირზე მინიშნებით ან მის გარეშე), დასაწყისისა და დასასრულისაგან დამოუკიდებლად. ეს უკანასკნელები შეიძლება განხილულ იქნან მოძრაობის მარგინალურ ფაზებად იმდენად, რამდენადაც მიმდინარეობისაგან განსხვავებით გამოხატავენ მხოლოდ რაიმე (გეოგრაფიული ან ტოპოლოგიური ნიშნებით დახასიათებულ) სივრცეში შესვლის ან იქიდან გამოსვლის პროცესებს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნან მოძრაობის დასაწყის და დასასრულ ფაზებად. მოძრაობის სამივე ფაზა ენობრივად კოდირებულია (დანვრ. იხ. ქვემოთ). მოძრაობის დასაწყისისა და დასასრულის დამოუკიდებელ ფაზებად გამოყოფას მხარს უჭერს მათი სემანტიკაც. როგორც მრავალი ენის მონაცემებიდან ხდება აშკარა (იხ. Семантика ..., 2002; ქართული მასალისათვის იხ. აფრიდონიძე 1980: 85-92), მოძრაობის დასაწყის

²⁵ რამდენადაც მოძრაობის სამივე მონაკვეთი მეგრულში წარმოდგენილია პროცესების სახით, რომლებიც ლოგიკურად და სემანტიკურად შესაძლებელია განვიხილოთ როგორც მოძრაობის მთლიან ციკლში მონაცვლე პერიოდები, უფრო ადეკვატური ჩანს მათთვის ტერმინი „ფაზა“.

ყისი აჩენს ზრდის, განვითარების, მომავლის პერსპექტივების განცდას, მაგრამ ამის რეალიზაცია ცნობილი ხდება მხოლოდ დასასრულში, რაც ამ უკანასკნელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს: „გამიზნული მოძრაობის სემანტიკა გარდაიქმნება სამოქმედო მიზნის მიღწევის, პროცესის დასრულების სემანტიკად (მელიქიშვილი 2002: 120)²⁶.

1.1 ჰოროზოტალურ სივრცეში აღნიშნული ფაზები წარმოდგენილი არიან როგორც მოძრაობა გარკვეული მიმართულებით, რაც გამოხატულია: 1. კონკრეტული სემანტიკის ზმნისართებით – – ‘ვ’იშო/აშო „იქით“/„აქეთ“; ‘ა’თაურე/‘ე’თაურე „აქედან/იქიდან“; ნოხოლე/უკახალე „წინ/ უკან, მელე/მოლე გაღმა, იქეთა მხარეს/გამოღმა, აქეთა მხარეს“; ოლე „გვერდით“, განიშე „გვერდით, განაპირა მხარეს“ დინახალე/გალე „შიგნით/გარეთ“ და მისთ.²⁷ 2. შესაბამისი ზმნისწინებით აღნიშნული მიმართულებების გამოსახატავად წინადადებაში გამოყენებულია სპეციალური ბრუნვის ფორმები: იქითა მიმართულებ ისათვის დაშორებითი ბრუნვის, აბლატივის (-შე ნიშნით), აქეთა მიმართულებისათვის – მიმართულებითი ბრუნვის, ილატივის (-შა ნიშნით) ფორმები.

²⁶ ამგვარ დაშვებას ამყარებს ენობრივი მონაცემებიც. კერძოდ, ცხოვრებისეულ პრაქტიკაში აღნიშნული პროცესების თანმიმდევრობა იმდენად ხშირად ემთხვევა მოძრაობის დასაწყისს ან დასასრულს (გინილე დო მიდართუ „გავიდა და წავიდა“ და მისთ.), რომ პრაქტიკულ ცნობიერებაში ისინი ერთდებიან ერთ ციკლში (დანვრ. ქობალავა 2010: 241-242). შესაბამისად, შეიძლება განვასხვავოთ მიმდინარეობის ფაზასთან დაკავშირებული დასაწყისი და დასასრული ფაზების აღნიშვნელი ზმნისწინებიც (იხ. ქვემოთ).

²⁷ გარდა ზემოდასახელებული დამოუკიდებელი სახის ზმნისართებისა, რომლებიც მიმართულებას აღნიშნავენ ზოგადად, მეგრულში ხშირია შემთხვევები, როდესაც რომელიმე ზმნურ ფორმაში გამოყენებული ზმნისწინები იმავე ფორმებთან მეორდებიან დამოუკიდებელი ზმნისართის ფუნქციით (ყიფშიძე 1914: 121); მაგ., *მინი მინილე* „შიგ (ზმნისწინით გამოხატულ სივრცეში) შევიდა“, *დინი ქიდნასხაპუ* (<ქი-დინო-სხაპუ „შიგ ჩახტა“) და მისთ.

1.1.1 მიმდინარეობის ფაზა, ბუნებრივია, გამოხატულია მხოლოდ უსრულასპექტიანი, ანმეოს ჯგუფის, ფორმებით. მოძრაობის მიმართულება ძირითადად აღინიშნება მარტივი ზმნისწინებით მე-/მო-, რომელთა სემანტიკა გამოირიცხავს რაიმე, თუნდაც ზოგად, მინიშნებას სივრცეზე. მათი გამოყენება გულისხმობს მოძრაობას მხოლოდ დეიქტური, ე. ი. მოლაპარაკე პირის „აქ“ და „არა – აქ“ პოზიციებით განსაზღვრული ორიენტაციით²⁸. ამასთანავე, რამდენადაც მოძრაობის ორიენტირად მიჩნეულია მხოლოდ ერთი პირის, მოლაპარაკის, პოზიცია, განსხვავებულია მე- და მო- ზმნისწინთა მნიშვნელობაც და არა მხოლოდ მიმართულების აღნიშვნის თვალსაზრისით. კერძოდ, მე- გამოხატავს მოძრაობას მოლაპარაკე პირისგან საპირისპირო მიმართულებით – ‘ვ’იშო „იქით“, რაც გულისხმობს მხოლოდ მისგან დაშორებას, მისი სივრციდან გასვლას და შესაბამისად გრამატიკულად გამოხატულია დაშორებითი ბრუნვის, აბლატივის, ფორმით: ჩქიმ-დ-ე მეურს „ჩემგან მიდის“. ასე რომ, მოძრაობის კონკრეტული ადრესატი დეიქტური ორიენტაციის თვალსაზრისით არ იგულისხმება (ბენვენისტი 1974: 50). საპირისპირო მნიშვნელობას გამოხატავს მო- ზმნისწინი, რომელშიც აშო „აქეთ“ მიმართულებით აღნიშნავს მოლაპარაკე პირისკენ, როგორც უკვე კონკრეტული ადრესატისკენ სვლას, რაც ასახულია მიმართულებითი ბრუნვის, ილატივის, ფორმით: ჩქიმ-დ-ა მეურს“. მაგრამ მე- / მო- ზმნისწინები მასდარის ფორმებში – მე-ულ-ა / მო-ულ-ა „მისულა/მოსულა“ გამოხატავენ არა მიმდინარეობის პროცესს, არამედ მოძრაობის დასაწყისი პუნქტიდან გასვლის ანუ წასვლის და ბოლო პუნქტში მისვლის მომენტებს, როგორც ეს ლექსიკონებშიც არის ასახული

²⁸ თუ ორიენტაციას გამოვსახავთ კოორდინატთა სისტემით, მაშინ კოორდინატთა გადაკვეთის ცენტრში მოთავსდება ორიგო, სივრცითი ველის მაჩვენებელი, რომელშიც ერთიანდება ლექსიკური ერთეულები – აქ, ეხლა, მე (ბიულერი 2000: 94-95).

(შდრ. ჭარაია 1997: 13); ყიფშიძე 1914: 264-265; ქაჯაია 2001: 253,313; ქობალია 2010: 491)²⁹. -ულ- ძირი, როგორც საკუთრივ მიმდინარეობის გამოხატველი, გვხვდება მხოლოდ უზმნისნინო მასდარული ფორმით – ულ-ა და ზმნისნინიანი ფუძეებით, რომელთა უმარტივესი ტიპი წარმოდგენილია სამკომპონენტის ზმნური სტრუქტურით:

მე – PRV (ზმნისნ.) + -ურ- R (ძირეული მორფემა) + -ს S3 (მე-3 სუბიექტ პირი), რომელთაგან უღლების პროცესში საუღლებელ ერთეულთა სემანტიკური ცვლილებები დაკავშირებულია ზმნისნინური კომპონენტის ცვლილებებთან, მაშინ როდესაც ულ ძირი ექვემდებარება მხოლოდ ფონეტიკურ (ულ > ურ, ულ > ლ), ხოლო სუბიექტური პირის ნიშანი – პერსონალურ ცვლილებებს (1, 2, 3 პირი). შდრ. მე/მო -ვ-ურ – ქ „მი/მო – ვდივარ“, მე/მო – ურ – ქ „მი/მო – დიხარ“, მე/მო – ურ – ს „მი/მო – დის“).³⁰

(94) ჩელა მეურს ტარჩენიშა.

„ჩელა მიდის ტარჩენში.“ (კარტ. 25)

(95) ართი ჯგირი მიოჯინალი კოჩი აშო ქუ-მ-ურ-ს. (ყიფ. 23. 9)

„ერთი კარგი შესახედავი კაცი აქეთ (ქე) მოდის.“

²⁹ ზემონათქვამი, რომ მე- ზმნისნინი არ გამოხატავს მოძრაობის მიმდინარეობის დასასრულს, არ ნიშნავს, რომ ულა ზმნით გამოხატული მოძრაობა არ გულისხმობს მას, ე. ი. მიზნის მიღწევას. პირიქით, ულა როგორც ადამიანის უმნიშვნელოვანესი აქტივობის აღმნიშვნელი (ფილმორის მიხედვით ოალ-ორიენტედ ზმნა), გულისხმობს მოძრაობის დასასრულისკენ, ე. ი. მიზნის მიღწევისკენ სწრაფვას.

³⁰ აქ და ქვემოთ ზმნურ ფორმათა განხილვისას ვიფარგლები მხოლოდ თხრობითი კილოს ფორმებით, რამდენადაც მათი შესაბამისი მოდალური ფუძეები ასპექტური შინაარსის თვალსაზრისით რაიმე სპეციფიკურს არ ავლენენ. საანალიზო ერთეულები წარმოდგენილია S ფორმით.

მიმდინარეობის ურთიერთსაპირისპირო ‘ვ’იშო / აშო „იქით/აქ-
ეთ“ მიმართულებას გამოხატავენ აგრეთვე რთული მი – კო <
*მე – კო/ მო-კო – „გავლით“ / „გამოვლით“³¹ და ე – ნო / ი – ნო
„წინ / უკან“ ზმნისწინებით გაფორმებული ზმნები – მიკულა,
მოკულა, ეწულა, კინულა, რომელთა მნიშვნელობაში მოძრაო-
ბის ზმნისწინებით გამოხატულ მიმართულებასთან ერთად
ჩნდება ზოგადი მინიშნება მიმდინარეობის სივრცეზეც. აღნიშ-
ნული ზმნისწინებით გაფორმებული ზმნური ფუძეები გადმოს-
ცემენ განსხვავებულ მნიშვნელობებს, რისთვისაც გამოყენებუ-
ლია განსხვავებული სტრუქტურები (თუმცა არა ყველა ზმნის-
წინის შემთხვევაში). სახელდობრ, როდესაც აღინიშნება მხო-
ლოდ მიმდინარეობის პროცესი, რაიმე საგანგებო სემანტიკური
ნიუანსის გარეშე, გამოყენებულია ზმნური ფუძის მარტივი
სტრუქტურა (იხ. ზევით), რომლის შემადგენლობაში შეიძლება
ჩართული იყოს ანმყო-მყოფადის განმასხვავებელი ნაწილაკი მ
(<თმV-)³².

ამგვარად, ფუძის სტრუქტურა წარმოგვიდგება შემდეგი სა-
ხით: PRV + მ(V) + R + S3, მაგრამ ამავე ზმნისწინებით გაფორმე-
ბული, განსხვავებული სემანტიკის ზმნური ფორმები გვევლინე-
ბიან თემის ნიშნით უფრო გართულებული ფუძეებით:

PRV + IMPF+ R + THM + S3

PRV + მ(V)+ R + [უ + ან] + S3

³¹ აღნიშნული ზმნისწინები (ზოგ სხვა ზმნისწინთან ერთად) გამოიყენები-
ან სხვა მნიშვნელობითაც: გამოხატავენ არა საკუთრივ მიმდინარეობას,
არამედ მიმდინარეობასთან დაკავშირებულ ნიუანსებს –გზიდან გადახვე-
ვას, მიბრუნება/მობრუნებას, გვერდის აქცევას ..., მაგრამ ამ შემთხვევაში
გამოყენებულია სხვა ძირი – რთ < ქც.

³² მეგრულის სენაკურ-მარტვილურ კილოში მ (< თმV-) ნაწილაკის ფუნქციას
დინამიკურ ზმნებთან. მიუხედავად განსხვავებული ინტერპრეტაციებისა,
ზოგადად მაინც აკავშირებენ ზმნისწინიანი ანმყოსა და მყოფადის ფორმათა
განსხვავებასთან: (ყიფშიძე 1914: 107; მარგველაშვილი 1980: 166; ჭუმბურიძე
1986: 137-138; გუდავა, გამყრელიძე 2000: 189; ქაჯაია 2000: 60; 2001: 46; სა-
კითხის შესახებ დანერ. იხ. ქობალავა 2010: 235-250.

მიკულა (< მი + კო-ულ-ა) – ვინმესთან, რამესთან (ახლოს, შორს) ჩავლა, გავლა. მიკ'მV'ურს < მიკო – 'მV' – ურ – ს „გაივლის, ჩაივლის“ :

(96) მიკულუ ათე მაზურზულარს კოჩქ. (ხუბ. 23.10)

„გაუარა ამ მტირალას კაცმა.“³³

მიკოლუაფა (<მიკო-ლ-უ-აფ-ა) – ვინმესთან, რამესთან საგანგებოდ გავლა, მონახულება: მიკ-‘მV’ ულუანს < *მიკო-‘მ’-ულ-უ-ან-ს „გაუვლის, ჩაუვლის“.

მოკულა (<მო + კო-ულ-ა) – ვინმესთან, რამესთან გამოვლა, ჩამოვლა: მოკ 'მV'ურს < *მოკო-‘მV’-ურ-ს „გამოივლის, ჩამოივლის“.

მოკოლუაფა (< მოკო-ლ-უ-აფ-ა) „ვინმესთან, რამესთან საგანგებოდ ჩამოვლა, გზად გამოვლა.“

(97) ბოშიქ' ნდიენს მუკულუ დო ...

მუშუ ცუდეშა ქომორთუ. (ყიფ. 31.2).

„ვაჟმა დევებს გამოუარა და თავის სახლში მოვიდა.“

ენულა (ე+წო-ულ-ა) – წინ გასვლა, წინა სივრცისკენ გადაადგილება: ენ'მV'ურს < *ენო-‘მV’-ურ-ს „წინ გადის“.

ენოლუაფა (<ენო-ლ-უ-აფ-ა) ვინმეს, რაიმე მოძრავის წინ გასვლა, გასწრება: ენმულუანს < *ენო-‘მV’-ულ-უ-ან-ს „ვინმეს წინ გადის, უსწრებს“.

გარდა განხილული ფორმებისა, მეგრულში ულ- ძირთან გამოყენებულია ზმნისწინები, რომლებიც (ერთ-ერთი მნიშვნელობით) აგრეთვე აღნიშნავენ მიმდინარეობას, მაგრამ რომელიმე კონკრეტული მიმართულების აღნიშვნის გარეშე. ორმხრივი

³³ რამდენადაც დამოწმებული ნიმუშები ძირითადად მოპოვებულია ნარატიული ტექსტებიდან, მათი დიდი ნაწილი წარმოდგენილია სრულასპექტიანი ზმნური ფორმებით, რაც ზმნისწინთა სემანტიკის დადგენაში დაბრკოლებას არ ქმნის.

მოძრაობა მათ შემთხვევაში შეიძლება დაკონკრეტდეს ზმნისართებითა და შესაბამისი ბრუნვის ფორმებით. ასეთებია:

გინულ-ა 1 (<გინო-ულ-ა)³⁴ – მოძრაობა იქით/აქეთ რაიმე პუნქტზე ზემოდან – (ხიდან ხეზე, მთაზე...) გადასვლა/გადმოსვლა, მოძრაობა დაბრკოლებების გადალახვით:

(97) გინილუ თე ბოშიქ მავითოჟირაშა გვალაშა.

„გადავიდა ეს ვაჟი მეთორმეტე გორაზე.“ (კარტ. 9)

კილულა (< კილა-ულ-ა) – გამჭოლი მოძრაობა, რამეში გატანება, გასვლა:

(98) ‘უშქურქ’ მოხვადუ გურგენც გურც

დო მაჟურაურე კილელუ.

„ვაშლი მოხვდა გურგენს გულში

და მეორე მხარეს გავიდა.“ (ყიფ. 107.9)

ამავე რიგში შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე მიმდინარეობის აღმნიშვნელი ზმნისნიშები, რომლებიც გადაადგილების ხასიათის მიხედვით არ გულისხმობენ ცალსახად მიმართულ მოძრაობას:

გოლება (<*გო-ულ-ებ-ა) „მოძრაობა (მოქმედება) რაიმეს ირგვლივ, გარშემო“; „გავლა, შემოვლა“:

(99) გიმილეს გალე დო გილეს გიშო, აშო.

„გამოვიდნენ გარეთ და გაიარეს იქეთ, აქეთ.“ (ხუბ. 4.23)

დოლება (<*დო-ულ-ებ-ა) „დავლა, შემოვლა (ადგილის, ქვეყნის).“

(100) ბოშიქ’ დიილუ არძა ოთახი. (ყიფ. 80.9-10)

„‘ვაჟმა’ დაიარა ყველა ოთახი.“

მოლება (< *მო-ულ-ებ-ა) „მოვლა, შემოვლა (ადგილის, ქვეყნის).“

(101) ოკოდუ თიმი დღას ჭე უმოსი არდგილი მიილუკონი. (ყიფ. 57.9-10).

„უნდოდა იმ დღეს ცოტა მეტი ადგილი რომ შემოევლო.“

³⁴ ამ რიგი ზმნისნიშებს მეტყველებაში ხშირად უჩნდებათ საპირისპირო ფორმა (მაგ. ონულა), მაგრამ მათი ლექსიკალიზაცია არ მომხდარა. არ ეწარმოებათ დამოუკიდებელი მასდარები.

1.1.2 მოძრაობის მარგინალური ფაზები – დასაწყისი და დასასრული – ზოგადად გამოხატავს მიმართულებას დინახალე/გალე „შიგნით“/„გარეთ“, რაც გულისხმობს მოძრაობას, რომელიც მოლაპარაკე პირის პოზიციიდან გამოიხატება ზმნისართებითაც ვიშო/აშო „იქეთ“/“აქეთ“, თაურე/თეურე “აქედან“/“იქედან“ და რთული ზმნისნინებით, რომლებიც მიმართულებასთან ერთად იძლევიან მოძრაობის სივრცის ტოპოლოგიურ დახასიათებასაც. ზმნური ფუძე წარმოდგენილია სტრუქტურით: PRV + თმV + R + S3

მინულა <*მინო-ულა // მილულა <*მილა-ულ-ა//მიმულა <*მიმო-ულ-ა – „შესვლა, გარედან შიგნით რაიმე შემოსაზღვრულ, მაგრამ არა შეზღუდულ სივრცეში: ოთახში, შენობაში, ეზოში...

(102) ‘მეშარექ’ ართი ჯგირი ოჯახშია მინილუ დინახალე
„მგზავრი ერთ კარგ ოჯახში შევიდა შიგნით.“ (ხუბ. 23.31)

(103) მინილეს ჟირხოლოქ ცუდეშა
„შევიდა ორივე სახლში.“ (ხუბ. 22.13)

გიმულა (<*გიმო-ულ-ა) „აღნიშნული სივრციდან ... “გასვლა“/“გამოსვლა.“

(104) ართ დლას ათე ბოშიქ სოდგაი გალე გიმილუ.
„ერთ დღეს ეს ბიჭი სადღაც გარეთ გავიდა.“ (ქხს. 11.250)

გინულა 2 (<*გინო-ულ-ა) მოძრაობა შიგნიდან გარეთ; ტერიტორიულად შემოსაზღვრული, მაგრამ არა შეზღუდული, სივრციდან (სახლიდან, ეზოდან...) – “გასვლა“/“წასვლა“:

(106) ომბოლქ’ გინიილუ მუში მახორობაშე. (ყიფშ. 23. 6)
„ობოლი გავიდა (წავიდა) თავისი სახლიდან.“

(107) უჩაში ჯიმაქ გინიილუ ცუჩე, ოსური ოკო ითხუასი.
„უფროსი ძმა სახლიდან წავიდა, ცოლი უნდა ითხოვოს.“ (კარტ. 18)

მითულა (<მითო-ულ-ა) „რაიმე სიღრმეში, შემოზღუდულ სივრცეში (სოროში, ფულუროში, ტყეში...) შეძრომა, შესვლა:“

(108) ბუხარიშა მითილუ. (ყიფ. 6. 2)

„ბუხარში შეძრა.“

(109) მუქ ჯაქოქაშა მითილუ.

„თვითონ ფულუროში შევიდა.“ (კარტ. 16)

გითულა (<გითო-ულ-ა) „ასეთი სივრციდან გამოსვლა“; გითმურს (<გითო-მV-ურ-ს) გამოდის.

(110) სოროშე ჟვაბუქ გითილუ.

„სოროდან ბაყაყი გამოვიდა.“ (კარტ. 15)

(111) გითილეს მაჟია განიშე.

“გამოძვრნენ მეორე მხრიდან.“ (კარტ. 19)

მიშულ-ა (<მიშა-ულ-ა) „რაიმე სიღრმეში, მჭიდრო გარემოში, ხალხის მასაში, წყალში... შესვლა“ – მიშმურს <მიშო-‘მV’-ურ-ს „რაიმე სიღრმეში შედის“.

(112) ღიჟე წყარ მიშმურს კოდორიშა დო აკათუ.

„ნელთბილი წყალი შედის კოდორში და ერევა“. (ქაჯ. 2002. 184).

(113) ართ დღას შქვითი პარახოდი დოხარგუუ, დიდი ზღვაშა მიშეელუ

„ერთ დღეს შვიდი გემი დატვირთა, დიდ ზღვაში შევიდა.“ (ყიფშ. 6.8).

გიშულა (<გიშა-ულ-ა) „რაიმე სიღრმიდან, ...გამოსვლა“ გიშმურს (<გიშ-მ-ურ-ს) „გამოდის“.

1.2 ვერტიკალურ სივრცეში, გრავიტაციული პირობების შესაბამისად, მოძრაობის სქემა განსხვავებულია. პირველ ყოვლისა, შეზღუდულია ჰორიზონტალური სივრცისათვის დამახასიათებელი მოძრაობის მრავალფეროვნება და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, განსხვავებულია მოძრაობის ფაზური სტრუქტურაც. მოძრაობა-გადაადგილების პროცესი ძირითადად წარმოდგენი-

ლია ა რ ა ო რ ი ე ნ ტ ი რ ე ბ უ ლ ი მიმდინარეობის ფაზით, რომელიც განისაზღვრება მიმართულებით – ეშე/გიმე „ზევით/ქვევით“. ორივე შემთხვევაში გარჩეულია მოძრაობის ვერტიკალური და დახრილი ტრაექტორია. მაგრამ ამ სივრცეში მიმდინარეობის ფაზა აღნიშნავს: ა) როგორც საკუთრივ გადაადგილების პროცესს, ისე ითავსებს დასაწყისი ან დასასრული ფაზების მნიშვნელობასაც (გამოხატულია უსრულასპექტიანი ფორმებით); ბ) აღნიშნულია მხოლოდ დასაწყისი ან დასასრული (გამოხატულია სრულასპექტიანი ფორმებით). ყველა შემთხვევაში გამოყენებულია რთული ზმნისწინები: ქვევიდან ზევით – ეშა- (ვერტ.), ეკო-, ელა- (დახრ.) და ზევიდან ქვევით – გელა, დინო – (ვერტ.), დიკო -, დილა – (დახრ.). გამოყენებულია ძირითადად აბლატივისა და ილატივის ფორმებით. შენარჩუნებულია ჰორიზონტალური მოძრაობისათვის დამახასიათებელი ფუძის სტრუქტურა: PRV+ მV + R + S3.

ამგვარად გვაქვს:

ეშულა (აეშა-ულ-ა) ვერტიკალური მოძრაობა ქვევიდან ზევით, ამოსვლა, ასვლა (უსრულასპ. – ეშმურს „ამოდის/ადის“):

(114ა) ბალანას ონწეშე იშულებუ.

„ბავშვი აკენიდან ამოსულა.“ (ქხს.II.250)

(114ბ) ეშელუ ბოშიქ ჭადარიშა.

„ავიდა ვაჟი ჭადარზე.“ (კარტ. 9)

ეკულა (აეკო-ულ-ა) მოძრაობა ქვევიდან ზევით დამრეც ზედაპირზე, აღმართზე ასვლა, ამოსვლა; წყლიდან ნაპირზე ამოსვლა (უსრულასპ. ეკმურს „ამოდის“):

(115ა) /ეკოხონიშა/ ჩქიმ წოხოლე ეკილუ.

„აღმართზე ჩემზე წინ ავიდა.“ (ხუბ. 20.20)

(115ბ) „/ბოში/“ ეკილუ ხმელეთიშა

„ბიჭი ამოვიდა ხმელეთზე.“ (ყიფ. 5.3)

გილულა (<გილა-ულ-ა) მოძრაობა ზევიდან ქვევით, ხშირად რა-იმე პუნქტის გვერდითი ნაწილიდან – ხიდან, კიბიდან... „ჩასვლა, ჩამოსვლა“ მაგ. ციდან (უსრულასპ. გილმურს).

(116) მუჰამბიქ გილელუ რაშიშე.

„მუჰამბი ჩამოვიდა რაშიდან.“ (ხუბ. 37.3)

დინულა//ინულა (<დინო-//ინო-ულ-ა) მოძრაობა ზევიდან ქვე-ვით, ნებისმიერ შემოსაზღვრულ სიღრმეში – უფსკრულში, ჭაში, ბოთლში, ჭიქაში... ჩასვლა, ჩამოსვლა“ (უსრულასპ. დინმურს):

(117) /კოჩქ/ დიხაშა დინორთასო, მუ ქიმიწას ვაუჩქუ.

„კაცი მიწაში ჩავიდე, რა ქნას არ იცის.“ (ყიფ. 19.8)

დიკულა (<დიკო-ულ-ა) მოძრაობა ზევიდან ქვევით დაღმართზე (უსრულასპ. დიკმურს):

(118) დიკიილეს ართ წყარპიც.

„ჩავიდნენ ერთი წყლის ნაპირას.“ (ყიფ. 15.9)

დილულა (დილა-ულ-ა) მოძრაობა ზევიდან ქვევით, დაღმართზე დაშვება, მზის მთვარის ჩასვლა. შდრ. ბჟადალი/უ „დასავლეთი“. უსრულასპ. დილმურს „ჩადის“, „ეშვება“.

(119) ბჟა დილმურს ბჟადალუშე. [საუბრ.]

„მზე ჩადის დასავლეთისკენ“.

1.2.1 გარდა განხილული შემთხვევებისა, ვერტიკალური სი-ვრცისათვის შეიძლება აგრეთვე დავასახელოთ მოძრაობის მარ-გინალური ფაზებიც, რომლებიც გამოხატავენ მხოლოდ მოძრა-ობის დასაწყისს ან დასასრულს და არასოდეს მოძრაობის მიმ-დინარეობას. დასაწყისისთვის გამოყენებულია ე-, ელა- ზმნის-წინები, რომლებიც აღნიშნავენ მოძრაობას ქვევიდან ზევით, მაგრამ მხოლოდ ზედაპირიდან მცირე მანძილზე (მეტი სიმაღ-ლეების აღსანიშნავად ულ ძირს სხვა ძირები ენაცვლება):

ეულა (<ე-ულ-ა) – (მცენ.) ნიადაგიდან ამოსვლა, აღმოცენება
(გადატანით – კბილების, თმის, წვერის, ... ამოსვლა):

(120) ირ წანას ფხაჩქუნქ თაქ სიმინს ...,
გ-ე-ურს ჯგირო, მირდუ ძალამს ... (ხუბ. 23.20-21)
„ყოველ წელს ვთოხნი აქ სიმინდს...,
ამოვა კარგად, გაიზრდება ძალიან... ”

ელულა (<ელა-ულ-ა) „ამოსვლა (გვერდიდან), ჩვეულებრივ,
მზის, მთვარის ამოსვლა ამოწვერვა. შდრ. ბჟაიოლუ, ბჟაალალუ
„აღმოსავლეთი“ (უსრულასპ. ელმურს „ამოდის“):

(121) ბჟაქ აღეელუნი, 'ბოშიქ' ეშელუ ყორშიში დუდიშა.
„მზე რომ ამოვიდა, ვაჟი ავიდა კოშკის თავზე.“ (ყიფ. 60.7).

რაც შეეხება მოძრაობის დასასრულს, ამ ფაზაში აღნიშნულია
მხოლოდ ზევიდან ქვევით მიმართული მოძრაობის დასრულება
(ზმნისწინით ნაგულისხმევ) სივრცეში – სწორ ზედაპირზე ან რა-
იმე სიღრმეში. ამასთანავე, ერთი და იმავე ზმნისწინების გამო-
ყენების პირობებში განსხვავებულია ცოცხალ და არაცოცხალ
კლასთა სახელები აღმნიშვნელი ზმნური ძირები: არაცოცხალ
საგანთა შემთხვევაში გვხვდება -ნთხ-, მაშინ როცა ცოცხალ არ-
სებებთან გამოყენებულია სხვა ძირი -ლ-. შდრ:

ცოცხალი	არაცოცხალი
გენტხაფა (<გე-ნთხ-აფ-ა)	გელაფა (<გე-ლ-აფ-ა)
დაცემა, დავარდნა (რაიმე სწორ ზედაპირზე, რაიმეზე – მიწაზე, მაგიდაზე...)	
დონთხაფა (დო-ნთხ-აფ-ა)	დოლაფა (<დო-ლ-აფ-ა)
დაცემა, დავარდნა	
დინონთხაფა (<დინო-ნთხ-აფ-ა)	დინოლაფა (<დინო-ლ-აფ-ა)
ჩავარდნა რაიმე სიღრმეში (ჭაში, ორმოში, ქვაბში ...)	
დიშანთხაფა (<დიშა-ნთხ-აფ-ა)	დიშალაფა (<დიშა-ლ-აფ-ა)
ჩავარდნა რაიმე სივრცეში – შიგ, შუაში და ა. შ.	

2. მოძრაობის სუბიექტი. ულ-ა ზმნის სუბიექტი ცოცხალი არსებაა. ოპოზიცია – ცოცხალი vs არაცოცხალი (აქტიური vs არააქტიური) მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეგრულის, როგორც აქტიური ტიპოლოგიის გარკვეულ ნიშანთა მატარებელი ენის, სახელური და ზმნური ლექსიკის სემანტიკურ ორგანიზაციაში. ცოცხალ, აქტიურ სუბიექტთა აღმნიშვნელად მიჩნეულია სახელები, თუ მათ დენოტატებს ახასიათებთ *სასიცოცხლო* აქტივობა. და პირიქით, ასეთ აქტივობას მოკლებული დენოტატები აისახებიან მკვდარი ბუნების აღმნიშვნელ ლექსიკურ-სემანტიკურ კლასებში (კლიმოვი 1977: 83-84; კორტავა 2008: 65-66). ამ ნიშნით მეგრულში აქტიურ სუბიექტთა კლასში ერთიანდებიან ცოცხალი ბუნების წარმომადგენლები – *ადამიანები, ცხოველები, მცენარეები*. მათგან ადამიანთა და ცხოველთა მოძრაობა, ე. ი. ისეთ სუბიექტთა მოძრაობა, რომელთაც შეუძლიათ საკუთარი ძალით გადაადგილება, აღინიშნება ერთი და იმავე ზმნური საშუალებებით – *ძირებით, ზმნისწინებით* (დანვრ. იხ. *მოძრაობის სახე*). რაც შეეხება მცენარეებს, მათი აქტიურობა ვლინდება აღმოცენებისა და შემდგომი ზრდა-განვითარების ამსახველ სპეციფიკურ ლექსიკაში (ე-ულ-ა „ამოსვლა, აღმოცენება“, ე-ფალ-უა „აღმოცენება, აყვავილება“) ³⁵.

3. მოძრაობის სახე. ულ- ძირი, ისევე როგორც საერთოდ მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნური ძირები, გარკვეულ ინფორმაციას იძლევა მოძრაობის *სახის* შესახებ. პირველ ყოვლისა, სახე დამოკიდებულია აქტიური სუბიექტის არსებობაზე სხვადასხვა გარემოში – *ხმელეთზე, წყალსა და ჰაერში*. საარსებო გარემოს მიხედვით განსხვავებული ბიოლოგიური თავისებურებები განაპირობებენ მოძრაობის სახეებსაც. შესაბამისად გარ-

³⁵ ულ- ძირი გამოყენებულია აგრეთვე არაცოცხალი მოვლენებისთვის, რომელთა მოძრაობა-გადაადგილება მიმდინარეობს საკუთარი ძალით: ბჟა ეშმურს/დინმურს „მზე ამოდის/ჩადის“, თირი/ჭვიმა მურს „თოვლი/წვიმა მოდის“, წყარი მეურს „წყალი მიდის, მიედინება“ და ა.შ.

ჩეულია გადაადგილების ძირითადი სახეები: ულ-ა „სვლა“ – ხმელეთზე გადაადგილება, ‘ნ’ ჩურ-უა „ცურვა“ – წყალში გადაადგილება, ფურინ-უა „ფრენა“ – ჰაერში გადაადგილება.

3.1. აღნიშნული სახეებიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩევა გადაადგილება ხმელეთზე, სადაც ყველაზე გავრცელებული სახეა სწორედ ულ-ა „სვლა, სიარული“. ადამიანის შემთხვევაში მოძრაობის ეს სახე შეიძლება დახასიათდეს, პირველ ყოვლისა, როგორც საკუთარი ძალით და ნებით³⁶ გადაადგილება მყარ ზედაპირზე, ნაბიჯების მონაცვლეობით ისე, რომ ერთი ფეხი ყოველთვის ზედაპირზე რჩება სხეულის საყრდენად. თითოეული ეს ნიშანი აუცილებელია ულ- ძირითად აღნიშნული მოძრაობის როგორც *დამოუკიდებელი სახის* იდენტიფიკაციისათვის. მაგრამ ულ-, გარდა მოძრაობის სახის განმსაზღვრელი უცვლელი ნიშნებისა, ასევე შეიძლება დახასიათდეს სხვა, არაარსებითი ნიშნებითაც, რომელთა ცვლილებები მოძრაობის მოცემული სახის ფარგლებში დასაშვებია. ასეთ ნიშნებად გამოიყოფა: სუბიექტის გადაადგილება *ვერტიკალურ* მდგომარეობაში, გამართულად – შდრ. *გოთინილო / მოდირაკილო, მოკვაკვირო* მეურს „გამართულად / მოხრილად, / მოკვაკულად მიდის“); გადაადგილების *ტემპი*, რომელიც ულ- ძირითად ნაგულისხმევი ზომიერი ტემპისგან განსხვავებით შეიძლება დახასიათდეს როგორც ძალიან აჩქარებული ან ძალიან შენელებული – შდრ. *ნეიტრალური მეურს „მიდის“ – ჩქარას მეურს „ჩქარა მიდის“, ნერას, ნერათ მეურს „ნელა, ზოზინით მიდის“*; ნაბიჯების *რიტმული მონაცვლეობა* – შდრ. *მარხეთ მეურს „მძიმედ, სვენებ-სვენებით, შეჩერებებით მიდის“*. შდრ. აგრეთვე სვლის აღ-

³⁶ შდრ. მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნური ძირები, რომელთა მნიშვნელობაში იგულისხმება ვინმეს გადაადგილება სხვისი ნებასურვილითაც, მაგ., *კონაფა „ვინმეს წაყვანა თავისი ნებით ან ნების წინააღმდეგ“*, *ჩქუმალა „გაგზავნა, სადმე წასვლა ვინმეს თხოვნით ან მოთხოვნით“* და მისთ.

მნიშვნელი ... სიტყვები: ბანდალი „ბარბაცი, ტორტმანი“, ზაკაფი // ზაკინი „რყევა, ქანაობა, ჯაყჯაყი“ და მისთ.

მოძრაობის აღნიშნული სახე დამახასიათებელია ცხოველებისთვისაც, რომელთა (სხეულის აგებულების შესაბამისად) ვერტიკალურ ან/და ჰორიზონტალურ მდგომარეობაში საკუთარი ძალით გადაადგილების ბუნებრივი საშუალება არის კიდურები. შდრ.: კოჩი, ხოჯი, გერი, ჯოლორი ... მე-ურ-ს „კაცი / ხარი, მგელი, ძაღლი ... მიდის“.

3.1.1 ულ-ა არ არის ადამიანისა და ცხოველის გადაადგილების ერთადერთი სახე, რომელიც ხმელეთზე საკუთარი ძალით შეიძლება სრულდებოდეს. ასეთებია მოძრაობის სხვა სახეები, რომლებიც აგრეთვე ფეხების, ან სხეულის სხვა ნაწილების საშუალებით მიმდინარეობს. იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიხატება ეს სახეები ენაში, ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც ნეიტრალური ულ-ა ზმნით გამოხატული გადაადგილების მარკირებული სახეები³⁷. სახელდობრ, მათ აღსანიშნავად გამოიყენება როგორც განსხვავებული ლექსიკური ერთეულები (ზმნური ძირები), ისე ზმნისართული კონსტრუქციები, რომლებშიც გადაადგილების გამომხატველი ზმნა ჩანაცვლებულია ულ-ა ზმნით, ხოლო მოძრაობის სახე გამოხატულია ზმნისართული ფორმით. ამ რიგისაა:

რულ-ა „რბენა“ – სირბილით სწრაფი სიარული, როდესაც სივრცეში სხეულის გადაადგილება ხდება ფეხების ორმაგი დაყ-

³⁷ მეგრულში გამოიყოფა ულ- ზმნის მნიშვნელობაზე დამყარებული კიდე ერთი, განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი, კლასი მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი ე. წ. ბგერწერითი (სინესთეზიური) ზმნებისა, მაგრამ რამდენადაც ამ შემთხვევაში მოძრაობის განსხვავებული ფორმები გამოიხატავენ არა საკუთრივ მოძრაობის სპეციფიკიდან გამომდინარე ნიშნებს, არამედ სუბიექტის – ადამიანის, ცხოველის ინდივიდუალური ფიზიკური მახასიათებლებით (დიდი-პატარა, მაღალი-დაბალი, მსუქანი-გამხდარი, ლაზათიანი-უშნო და მისთ.) განპირობებულ თავისებურებებს (ქობალავა 1979, იქვე ლიტერატურა).

რდნობის ფაზაში (ქეგლ, VI, 377): ბალანა/ჯოლორი ... მირულე „ბავშვი/ძალღი ... „მირბის“

(122) პაპაქ რულა-რულათ ქიმერთჲ ხოჯეფიშა. (ყიფ. 9.4)
„მღვდელი სირბილ-სირბილით მივიდა ხარებთან.“

სხაპუა „ხტუნ-ვა/ხტ-ომა – ხტუნვით გადაადგილება, როდესაც ფეხები ერთდროულად სცილდება ზედაპირს (ქეგლ);
ცოც-უა „ხტუნვა, ასკინკილა:“

(123) თი ბოში კვინორცალო მეცოუნს. [საუბრ.]
„ის ბიჭი ციყვივით მიხტუნაობს.“

(124) ბალანაქ ცოცუა-ცოცუათ დირთუ ცუდეშა. [საუბრ.]
„ბავშვი ცალ ფეხზე ხტუნვა-ხტუნვით დაბრუნდა სახლში.“

კერკელი „გორაობა“: მიკერკელუ:

(125) ბურთი ემერ მიკერკელუ. [საუბრ.]
„ბურთი ეგერ მიგორავს.“

(126) ხუთი მეტრი კერკელ-კერკელით მოლაბრთი
„ხუთი მეტრი გორებ-გორებით ჩამოვედი“ (ქაჯ. 11.117)

ხოხ-უა „ხოხვა, ბობლვა, ჩოჩვა“ – მთელი ტანით, კანქვეშა კუნთებით გადაადგილება:

(127) მეურც დო მეხოხუნს. „მიდის და მიხოხავს.“ (ქაჯ. 111.576):

(128) ბოშიქ ხოხუ, ხოხუ დო გიშახოხუ ჟინი ქეყანაშა. (ყიფ. 67.7-8)
„ბიჭმა იხოხა, იხოხა და ამოხოხდა ზედა ქვეყანაში.“

ულა- ზმნის ნეიტრალური სემანტიკიდან გამომდინარე, იგი ერთადერთია, რომელიც გამოყენებულია *ხმელეთზე* არასაკუთარი ძალით გადაადგილების აღმნიშვნელადაც³⁸. იგულისხმება

³⁸ საკუთრივ მიმდინარეობის აღმნიშვნელ ზმნისწინთა გვერდით შეიძლება დასახელებულ იქნეს მი- ზმნისწინიც. ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, გვევლინება მე- ზმნისწინის ფონეტიკურ ვარიანტად და დამოუკიდებელ ერთე-

შემთხვევები როგორც ცოცხალი ძალით (ცხენით...) ან რაიმე სატრანსპორტო საშუალებით (ურმით, ფაიტონით, პოეზით...) ულა „ურმით, ეტლით, მატარებლით“ ... გადაადგილება, სვლა (შდრ. ქართ. გამგზავრება), ისე თვით ასეთი საშუალების მოძრაობას. შდრ. ფაიტონით „ეტლით“ / პოეზით „მატარებლით“ ... მეურს და ფაიტონი / პოეზი მეურს „ეტლი / მატარებელი მიდის“.

3.2 რამდენადმე მსგავსი ვითარებაა წყალში გადაადგილების აღნიშვნისას. ‘ნ’ჩურ-უა „ცურვა“ არის კიდურებით, ლასტებით, ფარფლებით, სხეულის კუნთებით გადაადგილების სახე, რომელიც ბუნებრივია, პირველ ყოვლისა, წყალში ბინადარი მოძრავი არსებებისთვის (ძუძუმწოვრების, თევზების, ამფიბიებისათვის). მაგრამ წყლის გარემო უცხო არ არის არც ხმელეთის ბინადრებისათვის – ადამიანებისა და ცხოველებისთვისაც, რამდენადაც მათი არსებობა ხმელეთზე მჭიდროდ არის დაკავშირებული წყლის სტიქიასთან. შესაბამისად, ‘ნ’ჩურ-უა „ცურვა“ ადამიანისათვის (და ზოგი ცხოველისთვის) სიარულთან ერთად გადაადგილების საკმაოდ გავრცელებული და, შეიძლება ითქვას, ბუნებრივი ინფორმაციაა. ამ შემთხვევაში ადამიანი, ცხოველი გვევლინება როგორც წყლის გარემოში საკუთარი ძალით მოძრავი არსება და მისი გადაადგილება აღინიშნება იმ ზმნით, რომელიც ბუნებრივია მოცემულ გარემოში, ე. ი. ცურვით. შდრ.:

(129) ჩხომქ თქუუა: ჩურუა ძალამი მიჩქუდუა,
მარა ანკეციქ სუა მეფსოფუა (ყიფ. 178.53)

„თევზმა თქვაო: ცურვა კარგი ვიცოდო,
მაგრამ ანკესმა ფრთა მომაგლიჯაო“

ულად არ განიხილება (შდრ: გუდავა, გამყრელიძე 2000: 192-193; ქაჯაია 2001: 59; დანელია 2006: 135). მხოლოდ ერთ შემთხვევაში იგი ცალკეც არის დასახელებული, თუმცა განმარტების გარეშე (კარტოზია და სხვ., 2010: 196), მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც აშკარად სახეზეა მი-ს სემანტიზაცია და იგი დამოუკიდებელი ზმნისწინის ფუნქციით გვევლინება: მიიშუ „მიდიოდა“, მას არა აქვს დეიქტურობის გაგება.

(130) გვერშაპი ქომოჩურუნს ზღვათ.
„გველეშაპი მოცურავს ზღვით.“ (ქსს. II.102)

(131) ბოშიქ ზღვაჯგუა წყარი ქოძირუ.
ენა გოჩურუ დო ეკილუ... (ყიფ. 27.30)
„ვაჟმა ზღვასავით წყალი ნახა. ეს გაცურა და გამოვიდა ...“

მაგრამ როდესაც საქმე ეხება წყალში ადამიანის გადაადგილებას რაიმე საშუალებით, ან თვით ამ საშუალების გადაადგილებას, გამოყენებულია როგორც 'ნ'ჩურუა „ცურვა“: ნიშით *მეჩურუნს* „ნავით მიცურავს“, *ნიში მეჩურუნს* „ნავი მიცურავს“, ისე, შემთხვევათა უმრავლესობაში, ულა სვლა. შდრ:

(132) გილაჩურუნს ზღვას ნიში მიკიმიკი ქიანას (ხუბ. 13.38)
„დაცურავს ზღვაში ნავი ქვეყნის გარშემო.“

(133) ნიში ქომიშია, თოლიშ გოვალაფას
ოში ვერსის მიიშასუნი. (ყიფ. 101.21)
„ნავი მიშოვეო, თვალის გაელვებისას ას ვერსს რომ მიდიოდეს.“

(134) მიდართუ ხვამარდიქ დო მედინეს დიდა დო სქუაქ (ხუბ. 76.6)
„წავიდა ხომალდი და დაიკარგა დედა-შვილი..“

3.3 განსხვავებული სიტუაციაა წარმოდგენილი ფრენის დროს: ჰაერის ბინადრებისათვის მოძრაობის ერთადერთი სახე არის ფურინუა ფრენა,³⁹ რომელიც ასევე გამოიყენება საფრენი აპარატების მოძრაობის აღსანიშნავადაც, თუ მასში ადამიანის ყოფნა არ არის საგანგებოდ აქცენტირებული: *ჰაეროპლანი* დაბალას *მეფურინუნს* „თვითმფრინავი დაბლა მიფრინავს“; *ჰაეროპლანიქ* დუს *გიგნომფურინეს* „თვითმფრინავმა თავზე გა-

³⁹ თუ მხედველობაში არ მივიღებთ მფრინავი არსებებისთვის ულა ზმნის აშკარად მეტაფორული გამოყენების შემთხვევებს. შდრ: კოლონას მიწულეზუ მარანიშა „კოლო შესულა მარანიში (ყიფშ. 127.9); რაშიქ მიდართუ ჰაერით ჟი დო ჟი „რაში წავიდა ჰაერით მალლა და მალლა (ყიფშ. 97. 15); ქუმორთუ ტორონჩქ „მოვიდა მტრედი“ (კარტ. 19), შდრ: ქირქ ქიგიოფურინუ „ქორი დააფრინდა“.

დაგვიფრინა“ და მისთ. მაგრამ რამდენადაც ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მისი გადაადგილება ამ გარემოში შესაძლებელია მხოლოდ არასაკუთარი ძალით (ნებისმიერი საფრენი აპარატით), შესაბამისად შემთხვევათა უმრავლესობაში მათი საშუალებით მოძრაობაც გამოიხატება ადამიანისათვის გადაადგილების ბუნებრივი ფორმით – ულა: ჰაეროვლანით *მეურს* „თვითმფრინაით *მიდის*“.

4. მოძრაობის დრო. მეგრულში (*resp.* ქართველურ ენებში) მოძრაობის პროცესის დროით განსხვავებაში (ანმყო, ნამყო, მყოფადი) წარმმართველი გამოდის ასპექტური ოპოზიცია. აღნიშნული მოვლენა ქართველურ ენებში უძველესი ფორმაციის დამახასიათებელი ნიშანია, „როდესაც ზმნის უღვლილება დროის მიხედვით ცვლას არ გულისხმობდა, უღვლილება ასპექტების ანუ პროცესის სახეობათა აღნიშვნაში მდგომარეობდა“ (ჩიქობავა 1948: 77). იგი სხვადასხვაგვარად რეალიზდება აორისტის მქონე და მის არმქონე ენებში (ლაიონზი 1978: 332-333). ქართველურ ენებში, სადაც ასპექტური ოპოზიციის მესამე ნევრად აორისტი გამოდის, ანმყოსა (*resp.* უწყვეტელსა) და აორისტის ფორმებს შორის ასპექტური განსხვავება გამოიხატება მოძრაობის *წყვეტა-უწყვეტობით*.

4.1 ანმყოს ჯგუფის ფორმებში, რომლებშიც მოძრაობა წარმოდგენილია უწყვეტი პროცესის სახით, გამოყენებულია დინამიკურობის გამომხატველი ულ (>ურ, ლ) ძირი. იგი გვხვდება როგორც უწყვეტი, დიურატიული პროცესის, მიმდინარეობის, ისე მარგინალური ფაზების გამომხატველ ზმნურ ფუძეებში. განსხვავებული სემანტიკური და მორფოლოგიური ნიუანსები ასახულია ფუძეთა სტრუქტურებში (იხ. 1.1.1).

4.2 აორისტის ჯგუფის – საკუთრივ აორისტისა და პერფექტის – ფორმებს, რომლებიც ხასიათდებიან ასპექტის „ერთბაში, წერტილებრივი“ სახით (ჩიქობავა 1948: 77), ამ ნიშნიდან გამომდინარე, ბუნებრივია, აქვთ ბევრი საერთო: შეცვლილია

მარტივი ფუძის სტრუქტურა: ა) მათ სტრუქტურულ-სემანტიკურ სქემაში მიმდინარეობის ფაზა არ ივარაუდება. შესაბამისად, ულ- ძირი ჩანაცვლებულია საერთო ქართველურიდან მომდინარე რთ (<ხთ <ჰად/ჰედ „სვლა“) ძირით (ჩიქობავა 1938: 426; როგავა 1949: 505), რომელიც მისი სემანტიკიდან გამომდინარე, გამოყენებულია მხოლოდ მოძრაობის დასაწყისისა და დასასრულის, როგორც მყისიერი, „ნერტილებრივი“ მომენტების, აღსანიშნავად⁴⁰.

ბ) ძირის შესაბამისად შეცვლილია უსრულასპექტიან ფორმებში უწყვეტი მოძრაობის მიმართულების აღმნიშვნელი მარტივი მე- და მო- ზმნისწინებიც. გამოყენებულია მათ საფუძველზევე შექმნილი რთული ზმნისწინები – მოძრაობის დასაწყისის აღმნიშვნელი მი (<მე) + და – / მო + ლა – და მოძრაობის დასასრულის აღმნიშვნელი – ‘ქე’+მე – / ‘ქო’ + მო ფორმები. მოძრაობის დასაწყისი და დასასრული ფაზების აღმნიშვნელ ზმნისწინებთან, რომლებიც აღნიშნულ ფორმებში უცვლელად არიან შენარჩუნებული, წარმოდგენილია უსრულასპექტიანი -ულ- ძირიც, მაგრამ უკვე სრულასპექტიან ფუძეებში: მინი-ლ-უ / გიმი-ლ – უ, მითი-ლ-უ / გითი-ლ-უ „შევიდა“ / „გამოვიდა“ ...

რაც შეეხება მათ შორის განსხვავებას, იგი უკავშირდება სრულასპექტიან ფორმათა შიგნით აორისტისა და პერფექტის ფორმებს შორის, როგორც ასპექტური ოპოზიციის განსხვავებულ სემანტიკურ რეალიზაციათა შორის, განსხვავებას: სრულასპექტიანი აორისტის წყვეტილი ფორმები უპირისპირდებიან სრულასპექტიან პერფექტის დასრულებულ ფორმებს.

⁴⁰ *ჰად ძირის მნიშვნელობა, როგორც ის წარმოდგენილია მოძრაობა-გადაადგილების ზმნებთან, კარგად ჩანს მისი შემცველი ზმნური ფორმებიდან, რომლებიც გულისხმობენ პროცესის დასაწყის ან დასასრულ ფაზებს და არასოდეს – მიმდინარეობას: განჯდომა (განსვლა, განვლა), ნარჯდომა (გავლა, გაშვება), მიჯდომა/მოჯდომა (მისვლა, მოსვლა/მიახლოება, მოახლოება, მიწვდომა), გარდაჯდომა გადასვლა, მიდრეკა, ჩამოხტომა... (ი. აბულაძე 1973, ს.-ს. ორბ. 1966; ფენრ, სარჯ. 2000).

4.3 მყოფადის ჯგუფი (მყოფადი სრული, ხოლმეობითი და შესაბამისი მოდალური მწკრივები (მარგველაშვილი 1980: 163-168; ჭუმბურიძე 1986: 134-135) შედარებით გვიანდელი წარმონაქმნია და ძირითადად ემყარება ანმყოსა და აორისტის ფორმებს. კერძოდ, მოძრაობა-გადაადგილების-აღმნიშვნელ ზმნათა შემთხვევაში მყოფადი ინარჩუნებს როგორც ანმყოსათვის და-მახასიათებელ მოძრაობის ფაზებს, ისე ულ-> ურ-ძირსაც⁴¹.

მოძრაობის ფაზების მიხედვით განსხვავებულია ფუძის სტრუქტურებიც: მოძრაობის დასაწყისი და დასასრული ფაზების აღსანიშნავად გამოყენებულია ანმყოს ფუძე, მაგრამ აორისტისათვის დამახასიათებელი ზმნისწინური გაფორმებით:

მიდა- / მოლა- + ურ + ს

მიდურს (<*მიდა-ურ-ს) „წავა“ /

მოლურს (<*მოლა-ურ-ს) „წამოვა“

ქემე- / ქომო- + ურ + ს

ქემეურს (<ქემე-ურ-ს / „მივა“ /

ქომურს (<*ქომო-ურ-ს) „მოვა“.

ჰორიზონტალური სივრცის მარგინალურ ფაზებისა და ვერტიკალურ სივრცეში მოძრაობის ასახვისას ფუძეში შენარჩუნებულია ანმყოში გამოყენებული ზმნისწინები და შესაბამისად ულ ძირის უხმოვნო -ლ- ვარიანტი ამგვარად, მყოფადის ფუძე წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით:

ვერტ. მიმართულების ზმნისწ. + ლ + ენ + ს

მინულა „შესვლა, შემოსვლა“ – მინილენს (<* მინო-ულ-ენ-ს) „შევა, შემოვა“; გითულა „გასვლა, გამოსვლა“ – გითილენს (<*გითო-ულ-ენ-ს) „გავა, გამოვა“; ეშულა „ასვლა, ამოსვლა“ –

⁴¹ ამ ნიშნის საფუძველზე ი. ყიფშიძე მყოფადს, ანუ, მას როგორც უწოდებს, „ანმყო-მყოფადს“, საერთოდ არ თვლის დამოუკიდებელ „დროდ“, რამდენადაც მისი განსხვავება ანმყოსგან „უფრო სინტაქსურია, ვიდრე მორფოლოგიური ხასიათისა“ (ყიფშიძე, 1914: 059).

ეშელენს (<*ეშა-ულ-ენ-ს) „აჲა, ამოჲა“, დინულა „ჩასვლა, ჩამოს-
ვლა“ ა.შ.

რაც შეეხება მყოფად უსრულს, რომელსაც ეკისრება მიმ-
დინარეობის ფაზის გამოხატვა, იგი წარმოდგენილია ანმყოფად
უცვლელად გადმოტანილი აღწერითი წარმოების ფორმით, რო-
მელიც ანმყოში სხვა მნიშვნელობით არის გამოყენებული (იხ.
ზემოთ). ეს არის ანმყოს კავშირებითის ფორმაზე იყუაფუ//იცი
„იქნება“ მეშველი ზმნის დართვით მიღებული კონსტრუქცია
(წარმოებაზე დანვრ. ჭუმბურიძე 1986: 135-137), რომელიც მოძ-
რაობა-გადაადგილების ზმნებთან შემდეგ სახეს იღებს:

მეურდას//მიიშას⁴² იყუაფუ//იცი „მიდიოდეს იქნება, ივ-
ლის“, მირულდას იყუაფუ „მირბოდეს იქნება, ირბენს“ და მისთ.

⁴² ნამყო უწყვეტლის პარალელური შ ძირის შემცველი საუღლებელი ფორ-
მები წარმოდგენილი არიან მი – ზმნისწინით, რომელიც ამ შემთხვევაში
გვევლინება არა მე-ზმნისწინის ფონეტიკურ ვარიანტად, არამედ სემანტი-
ზაციის შედეგად მიღებულ დამოუკიდებელ ზმნისწინად. შდრ. მი-რულე
„მირბის“, მი-ცვაცვალუ „მიცუნცულებს“.

სივრცითი ზმნისართები

სივრცითი ზმნისართები, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულები, გამოხატავენ სხეულთა მოძრაობა/გადაადგილების *მიმართულებასა* და *ორიენტაციას*, *ლოკალიზაციის ადგილებს*. მათი ასახვა ენათა მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავებულია, რაც ძირითადად განპირობებული ჩანს იმ *სტრატეგიით*, რომელიც გეოგრაფიულ, კულტურულ თუ სხვა ფაქტორებზე დამყარებით, გამოყენებულია ცალკეულ ენებში მოძრაობის მიმართულებისა და ლოკალიზაციის ადგილის განსაზღვრისას ანუ სივრცეში *ორიენტირების* პრინციპის შერჩევისას.

ენათმეცნიერებაში *ორიენტაცია* ზოგადად განიხილება როგორც *სივრცული რეფერენციის* სახე, რომელიც მოძრაობის მიმართულებასა და ლოკალიზაციის ადგილს წარმოადგენს სივრცით უნივერსუმში განლაგებულ სხვა, მოძრავ ან უძრავ სხეულთა – *ორიენტირთა* ანუ *რელატიუმა* მიერ დაკავებულ პოზიციებთან მიმართებით. იმის მიხედვით, თუ რა სახის *ორიენტირს* ენიჭება უპირეტესობა ასახვის პროცესში, განსხვავებულია *ორიენტაციის* ძირითადი ტიპები – *აბსოლუტური* და *მიმართებითი*. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი სივრცითი ანალიზი ემყარება სხვა სხეულთა პოზიციებისაგან დამოუკიდებლად *ფიქსირებული ორიენტირის* გაგებას. სახელდობრ, *ორიენტაცია აბსოლუტურია*, თუ კოორდინატთა სისტემები იყენებენ *ფიქსირებულ ორიენტირებს*, როგორიცაა *ქვეყნის მხარეები* ან რაიმე სხვა საფუძველზე *ფიქსირებული სისტემები* (ლევინსონი 2003: 31). ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ ბუნებრივი გეომორფოლოგიური წარმონაქმნები – მთები, ზღვები; ასევე გამოყენებულია ციური სხეულები, მაგრამ არა ადამიანის მიერ შექმნილი ობიექტები: შენობები, ხიდები და

მისთ., ამ უკანასკნელთა ლოკალიზაციის ადგილთან მრავალი მხრიდან შესაძლებელი წვდომის გამო.

ორიენტირთა რელატიური სისტემები დაფუძნებულია ანთროპოცენტრულ კოორდინატებზე, რომლებიც ლოკაციას გამოხატავენ ეგოცენტრის მიმართ დაკავებული პოზიციის მიხედვით, როგორიცაა: *წინ/უკან, მარჯვნივ / მარცხნივ, ზევით / ქვევით...* (ლევინსონი *ibid*) რელატიუმის ფუნქციით შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ადამიანის მიერ შექმნილი, ისე ბუნებრივი ობიექტები, მათ შორის თვით ადამიანის სხეულიც.

ცალკე განიხილება *ინტრინსიკული* (გერმანულენოვან ლიტერატურაში – *კანონიკური*) ორიენტაცია, როდესაც სხეულის ადგილმდებარეობა განისაზღვრება რელატიუმის შინაგანი „ფასადურობით“, ანუ მისთვის დამახასიათებელ ისეთ ნიშნებთან მიმართებით, როგორიცაა: ობიექტთა *წინა, უკანა, მარჯვენა, მარცხენა* მხარეები

მეგრულში გვხვდება აღნიშნულ სისტემათა ყველა სახე. მათი აღმნიშვნელი ზმნისართები შეიძლება განვიხილოთ როგორც ორიენტირებული ზმნისართები, განსხვავებით პარალელურად გამოყენებული *ცალი, დამოუკიდებელი ზმნისართებისაგან* (იხ. ქვემოთ).

ფორმის მიხედვით მეგრულ ზმნისართებში განსხვავებულია: *მარტივი* – პირველადი; *წარმოქმნილი* – ბრუნვის ნიშნებით, ნაწილაკებით, მანარმოებელი აფიქსებით გაფორმებული; *რთული* – გაორმაგებული ზმნისართები (დანვრ. იხ. ყიფშიძე 1914:116; ფოჩხუა 1959: 81-89; 1974; კიზირია 1982: 232-235; გაბუნია 1993: 63-64; ლომაია 2006; 2003: 62-69)

მოძრაობის ფიზიკური თავისებურებებიდან და მათი ენობრივ ასახვაში წარმოჩენილი სპეციფიკიდან გამომდინარე, ზმნისართთა ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი ნაშრომში წარმოდგენილია ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სივრცეთა მიხედვით.

ჰორიზონტალური სივრცე

ჰორიზონტალურ სივრცეში გამოყენებულია მიმართებითი ორიენტაციის ტიპები – დეიქტური, ანთროპოცენტრული (კერძოდ, ანთროპომორფული), ინტრინსიკული.

ზმნისართებით აღნიშნული ძირითადი მიმართულება, რომელიც მოიცავს მოძრაობა / გადაადგილებისა და უძრაობა / მდებარეობის ადგილთა აღმნიშვნელ ყველა მიმართულებას (კითხვებზე: სო-, სოდე „სად“, „სოურე „საიდან“, სოიშა „საით“), გამოხატულია ოპოზიციური წყვილით ვიშო (< იშო) / აშო „იქით / აქეთ“.

1.1. დეიქტური (პერსონალური, ეგოცენტრული) ორიენტაცია, როგორც კონცეპტუალური სისტემა, წარმოდგენილია სამი დეიქტური წევრით. ესენია: 1. მოლაპარაკე, გრამატიკულად – პირველი პირი; 2. საუბრის ადგილი (აქ); 3. საუბრის დრო (ახლა). მათგან კონცეპტი ადგილი, ისევე როგორც დრო, განისაზღვრება მხოლოდ მოლაპარაკე პირის თვალსაზრისით – მასთან სიახლოვეთ ან მისგან სიშორით, სხვა ლოკატიურ მახასიათებელთა გათვალისწინების გარეშე (ბიულერი 2000, ფილმორი 1997).

აღნიშნული ოპოზიცია – ახლოს / შორს სემანტიკურად წარმოდგენილია ზმნისართებით: თაქ „აქ“ (სადაც იმყოფება მოლაპარაკე პირი) / თექ „იქ“ ანუ არა აქ (სადაც არ იმყოფება მოლაპარაკე პირი). დეიქტური სივრცე იგულისხმება ასევე კუთვნილებითი ნაცვალსახელების გამოყენებაშიც: შდრ. ჩქიმი, ჩქინი სოფელი, მახორობა, ოზე ... „ჩემი, ჩვენი სოფელი, სახლ-კარი, ეზო, ...“ ე.ი. სივრცე, რომელიც პირველი პირის თვალსაზრისით შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც მისი ყოფნის შესაძლო ადგილი.

1.1.2 ადგილის აღმნიშვნელი ზმნისართები გამოხატულია დეიქტური წყვილებით, რომელთა აღსანიშნავად გამოიყენება როგორც პირველადი, ისე წარმოქმნილი და რთული ზმნისართები:

ა) მარტივი, პირველადი – აქ /ექ „აქ /იქ“ ზმნისართების პარალელურად (მნიშვნელობის შეუცვლელად) გვხვდება მათგან წარმოქმნილი სხვადასხვა სირთულის ფორმები: თაქ, 'ა'თაქ, 'ა'თაქ-ინე-შე-ს, ... „აქ“ / ექ //თექ //' 'ექექ, // 'ექთე- ქი-ნე-შე-ს „იქ“.

(135) თაქ ცოცხალს ორკუქ დო თექი ლურელეფსია.

„აქ ცოცხლებს აკლიხარ, იქ მკვდრებსო.“ [ხალხ. სიბრძ. 1. 51]

(136) ათაქნეშე ძლაბ დო ბოში ნორო რენა.

„აქ გოგო და ბიჭი ერთად არიან.“ [საუბრ.]

(137) თაქნეშე იყუაფუქი ვარა თექინეშეს

დოსქიდუქი არძაშოთ ართიე.

„აქ იქნები თუ იქ დარჩები ყველასთვის ერთია.“ [საუბრ.]

ბ) ამავე რიგში განიხილება *ჟესტური დეიქსისი*ც. ეს უკანასკნელი სხეულთა მოძრაობისა და მდებარეობის ადგილს განსაზღვრავს მოლაპარაკე პირის პოზიციიდან, მაგრამ უკვე ვიზუალური ფაქტორის მონაწილეობით: ეგოცენტრისგან ვიზუალურად თუ რამდენად შორს ან ახლოს იმყოფება სხეული. *ჟესტების ფუნქციით* გამოყენებულია ადგილის ზმნისართები – ა-მარ „აგერ“/ ე-მერ „ეგერ“; პირველი ოპოზიციური წევრი აღნიშნავს ადგილს, რომელიც უფრო ახლოსაა დეიქტურ ცენტრთან, მეორე კი – ადგილს, ასევე ვიზუალურად მისანვდომ სივრცეში, მაგრამ დეიქტური ცენტრისგან უფრო დაშორებულს:

(138) ამარ გეჩანს ქამენია. „აგერ ხარობს გვირილა.“ [საუბრ.]

(139) ემერ მინდორს საქონელი იდიარს. [საუბრ.]

„ეგერ მინდორში პირუტყვი ძოვს.“

(140) ჟირ ბოშენქ მინილეს ამარი.

„ორი ბიჭი შევიდა აგერ.“ [საუბრ.]

გ) ადგილის აღმნიშვნელი დეიქტური ზმნისართების ჯგუფში შეიძლება გაერთიანდნენ აგრეთვე ორმაგი ოპოზიციის აღმნიშ-

ვნელი ზმნისართები, რომლებიც ქმნიან ოპოზიციას როგორც ერთმანეთთან – წყვილის ფარგლებში (აქეთ/-იქით), ისე შორეულ დეიქტურ ცენტრთან – მოლაპარაკე პირთან მიმართებით (ახლოს/-შორს). ასეთებია: 1. მე / მო „იქით/აქეთ“ ოპოზიციური ზმნისწინებისა და ლე (< ლა), ნო- ადვერბიალური ნაწილაკებით წარმოქმნილი ზმნისართები: *მე-ლე/მო-ლე, მი-ნო-ხ/გი-ნო-ხ*. ორივე წყვილი გამოხატავს რაიმე (ბუნებრივი ან ხელოვნური) გამყოფის – მდინარის, მთის, ლობის, გზის და მისთ. ორივე მხარეს მდებარე ადგილს:

(141) წყარიში *მელე* გეედეე დო წყარიშ
მოლე გეგოსქიდუნია. [ანდაზა]
„წყალგალმა შეედავე და გამოლმა დაგრჩებაო.“

(142) თე გოლაში *მინოხ* დო *გინოხ* ეფერი ძიგირი ნოჩანუე,
ლეში ვემშმენტირუდუა. [საუბრ.]
„ამ მთის ამოლმა და გალმა ისეთი ეკალ-ბარდი
იზრდებოდა თურმე, ნემსი არ ჩაეტეოდაო.“ [საუბრ.]

მაგრამ ის, თუ რომელი მხარე უნდა ჩაითვალოს „იქით, გალ-მა“ და აქეთ, „გა-მოლმა“ მდებარე ადგილებად, დამოკიდებულია მხოლოდ პირველი პირის პოზიციაზე: რომელი იმყოფება მისგან უფრო შორს – ე.ი. *მელე*, *გინოხ* „გალმა მხარეს“ და რომელი უფრო ახლოს – ე.ი. *მოლე*, *მინოხ* „აქეთა მხარეს“.

მსგავსი სიტუაციაა გამოხატული აქი-ლე / ვიქი-ლე „აქეთ“ / „იქით“ დეიქტური ზმნისართების შემთხვევაშიც. მოცემული ოპოზიციური წყვილი აღნიშნავს ცოცხალი / არაცოცხალი სხეულების მდებარეობას სხვა სხეულებთან ერთ რიგში, მათგან რომელიმე მხარეს, რაც მოლაპარაკის პოზიციიდან განიხილება როგორც მისკენ უფრო ახლოს – აქილე „აქეთ“, ან მისგან უფრო შორს ვიქილე „იქით“:

(143) სიავა ჩქიმი ყუდეშა ქემურქიევა,

მუაჩქიმს აქილე ქოძირუნქ, დიაჩქიმს ვიქილევა. (ხუბ. 50.21)

„შენ ჩემს სახლში როცა მიხვალო, მამაჩემს აქეთ ნახავ,
დედაჩემს იქითო.“

(144) ათე მინდორს გინილენქიადა, აქილე ზღვაჯგურა წყარი ქანორ-
ხვადუ, ვიქილე ძიხვეფიშ გოლას ქიმოდიროთუქია.

„ამ მინდორს რომ გადაივლი აქეთ ზღვასავით წყალი დაგიხვდე-
ბა, იქით ჯიხვების მთას მიადგებიო.“ [საუბრ.]

1.1.3. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსა-
ზრება, რომ მეგრულში დეიქტური ოპოზიცია შესუსტებულია
(გაბუნია 1993).

ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ მო- ზმნისნი-
ნის არადეიქტური პრინციპით სისტემატური გამოყენება. იგუ-
ლისხმება შემთხვევები, როდესაც ზმნისნინით გამოხატუ-
ლია არა პირველი პირისკენ მიმართული მოძრაობა, არამედ აღ-
ნიშნულია საერთოდ მოძრავი სუბიექტისათვის რაიმე თვალ-
საზრისით მნიშვნელოვანი პუნქტისკენ სვლა:

(145) *ქომორთუ ზღვაშა*. „მოვიდა ზღვასთან.“ [საუბრ.]

(146) *მოლართუ მუშ სახემნიფოშა*.

„ნამოვიდა თავის სახელმნიფოში.“ [საუბრ.]

(147) *ქომადირთუ მუშ ყუდეს*. „მოადგა თავის სახლს.“ [საუბრ.]

მაგრამ, მეორე მხრივ, დეიქტურობის სემანტიკა (აქ vs არააქ)
უშვებს აღნიშნულ ზმნისართთა კლასის გაფართოვების შესა-
ძლებლობასაც. სახელდობრ:

დ) დეიქტური ოპოზიცია – თაქ/თექ „აქ /არააქ“ საშუალე-
ბას იძლევა მისი რომელიმე წევრის ჩანაცვლებით მსგავსი მნიშ-
ვნელობის მქონე სხვა (არადეიქტური) ლექსიკური ერთეულით,
შეიქმნას იმავე ოპოზიციის აღმნიშვნელი ახალი დეიქტური
წყვილები, როგორიცაა: თაქ „აქ“ / შხვადო „იქ“, სხვაგან (არა აქ)

- (148) მუჟამს თაქ ნოტყი დელუებუდუნი,
 უკული ჩქინი ბოშეფი შხვადო მიიშეს ოტყალუშა.
 „როცა აქ ნადირი გამოილეოდა, მერე ჩვენი ბიჭები
 სხვანაირად მიდიოდნენ სანადიროდ.“ [საუბრ.]
- (149) ჩქიმ თიის სინთე ვაშქირატე,
 მარა შხვადო დორუმადილი რდუ ირ დიხას. (ხ.249.29)
 „ჩემს სახლში შუქი არ ჩამქრალა, მაგრამ სხვანაირად ჩაბნელებული
 იყო ყველგან.“ [საუბრ.]
- ხოლოს / შორს „აქ, ახლოს / იქ, შორს:
- (150) შორს ჭყონი გეჩანდუნი, თიშა ხოლოშა ქემერთეს.
 „შორს მუხა რომ იდგა, იმასთან ახლოს მივიდნენ.“ [საუბრ.]
- (151) მარდობა ღორონთს! კოჩინკალა ვორექ ხოლოს. (ყიფ. 132. 15)
 „მადლობა ღმერთს! კაცთან ვარ ახლოს.“
- (152) ხოლოშე მა სი ვაგორწყე, შორიშე შეთმერწირანქ შურს.
 „ახლოდან მე შენ ვერ გხედავ, შორიდან შემოგწირავ სულს.“
 (ქს 1. 132: 235)

ე) ადგილის აღმნიშვნელი ოპოზიციური ზმნისართების გა-
 ორმაგებული ფორმებით (გაძლიერებითი -თ ნაწილაკის დარ-
 თვით ან დაურთველად) გამოხატულია დეიქტური სივრცის გა-
 ფართოება ორივე მიმართულებით – თავით / თექით-
 „აქაც/იქაც“; მელე / მოლე „გაღმაც/ გამოღმაც“, ვიქილე / აქი-
 ლე „იქითაც/აქითაც“:

- (153) ლეკურქ გოტირხუ შქას დო ვიქილე-აქილე ქოდოლ. (ხუბ. 37.16)
 „ხმალი გადატყდა შუაზე და აქეთ-იქით დავარდა.“
- (154) ლაკაციაშ ღერზე ულუ, მელე-მოლე კილოურლუ.
 „აკაციის ღერძი აქვს, იქით- აქეთ გაყრილი.“ (ქს 1. 37:66)

ვ) ასევე გაორმაგებითაა გამოხატული მოცემულ ადგილზე
 ცოცხალ არსებათა, საგანთა, ნაგებობათა სიმცირე, მცენარეუ-

ლი საფარის მეჩხერიანობა: ამარ-ემერ „აგერ-ეგერ, აქა-იქ“,
ექი-ექი აქა-იქ, ალაგ – ალაგ“ .

(155) ბოშიქ ... ‘მუში დიდა’ რაშიში კუდელც ქეკაკირუ
დო ექი-ექი ქიმკასოფუ. (ყიფ. 62. 4)
„ვაჟმა თავისი დედა’ ცხენის კუდს გამოაბა
და ალაგ-ალაგ მიახეთქა.“

(156) ბადე მუკომიდგი მარა ექი-ექ გოგიფაჩი.
„ბადე დამიგე, მაგრამ აქა-იქ მოგიშალე.“ (ქხს. 1. 173)

(157) ამარ-ემერ ხოლო ქორე ჯვეში კათა.
„აგერ-ეგერ კიდეგ არის ძველი ხალხი.“ (ქაჯ.11. 83)

1.1.4. მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისართები გამოხა-
ტავენ:

ა) სხეულთა მოძრაობა / გადაადგილების მიმართულებას
საკუთრივ მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისართებით: ‘ვ’იშო
/აშო „იქით (კენ) -აქეთ (კენ), თაურე // ‘ა’თაურე – ‘შე’ „აქედან
იქით“ თეურე // ‘ე’თეურე – შე’ „იქი-დან აქეთ“; მიკი/მოკი (>მუ-
კი) „იქით/აქეთ“.

ბ) ადგილის აღმნიშვნელ ზმნისართებზე მიმართულებითი
ბრუნვის შე ნიშნის დართვით: მელე-შე / მოლე- შე „გაღმიდან /
გამოღმიდან“..., რაც საგრძნობლად ზრდის აღნიშნულ ზმნისარ-
თთა რაოდენობას:

(158) აშო ძიცა-ძიცათ მოყუნდესია, ვიშო ნგარათ ვერაყუა.
„აქეთ სიცილ-სიცილით მოჰყავდათ, იქით ტირილით
ვერ გარეკესო.“ (ხალხ. სიბრძ. 1. 16:98)

გ) ზმნისართთა გაორმაგებით მათი მნიშვნელობები სხვა-
დასხვაგვარად იცვლება: მარტივი (ხმოვნების შეუცვლელად)
მიმართულებითი ზმნისართების გაორმაგებით (გაძლიერებითი
-თ ნაწილაკის დართვით ან დაურთველად) ფართოვდება მანძი-

ლი ერთი მიმართულებით – ვიშო-ვიშო „იქით იქით“, აშო-აშო „აქეთ-აქეთ“:

(159) ზარბაზანიშ მუკმარენჯი კოჩი გაყოთანს ხათე,

მუჭო თექიანი დოჭყაფილო აშო-აშო

გუთმოლუდას თეში. (ხუბ. 36. 36-37)

„ქვემეხთან მდგომი კაცი მაშინვე გაისვრის,

როგორც იქიდან დაწყებული აქეთ- აქეთ რომ ისროდეს ისე.“

დ) მიმართულების გამომხატველი ხმოვანმონაცვლე ზმნი-სართების რედუპლიცირებული ფორმებით (გაძლიერებითი -თ ნაწილაკის დართვით ან დაურთველად) გამოხატულია მოძრაობის სივრცის გაფართოვება ორივე მიმართულებით: ვიშო’თ’-აშო’თ’ „იქით(აც) + აქეთ(აც)“; თაურე-თეურე „აქედან(აც) + იქიდან(აც)“:

(160) თაურე- თეურე გილენარნალუ „იქით – აქეთ დაძრწის.“ [საუბრ.]

(161) თითო კოჩიშა ქიმუჩამუ თითო კილი ჭა, თითო ღერი სანთელი, ქოჯლუნაფუნ დო მუკი-მუკი გოუსქუ თი აშამინდორია ტყას... (ყიფ. 62. 21-22)

„თითო კაცისთვის მიუცია თითო კონა ჩალა, თითო ერი სანთელი, წასძლოლია წინ და ირგვლივ შეუკრავს ის პატარა მინდორი ტყეში.“

1.2.1 ჰორიზონტალურ სივრცეში, გარდა დეიქტურისა, მეგრულში ფართოდ არის გავრცელებული მიმართებითი ორიენტაციის სხვა ტიპებიც: ანთროპოცენტრული და ინტრინსიკული.

ანთროპოცენტრული ორიენტაციის შემთხვევაში სხეულთა მდებარეობის ადგილი განისაზღვრება აგრეთვე ადამიანთან მიმართებით, მაგრამ ამ შემთხვევაში სივრცე აღინერება სხეულის ნაწილთა განლაგების ანალოგიით. აღნიშნული პრინციპი გავრცელებულ იქნა ობიექტებზე, რომელთა კონსტრუქცია საშუალებას იძლევა მათში გამოიყოს ადამიანის სხეულის შესაბამისი ნაწილები, როგორიცაა: წინა, უკანა, გვერდითი მხარეები.

1.2.2 ანთროპოცენტრული ორიენტაციის შემთხვევაშიც მოძრაობის მიმართულება და მდებარეობის ადგილი აღნიშნულია როგორც ოპოზიციური წყვილებით, ისე დამოუკიდებელი ზმნისართებით

ა) ოპოზიციური ზმნისართები *ნოხოლე* „ნინ“ – მხარე, საიტკენაც განლაგებულია სხეულის ნაწილები – *კიდირი* „გულმკერდი“, *ქორა//ქვარა* „მუცელი“; *უკახალე* „უკან“ საპირისპირო მიმართულება, *ზურგის* მხარე – *ოჭიში*, *ოფარე* „ზურგი“:

(162) მალიმარი კოჩი ირო *ნოხოლე* მეურს,
ნტერიშ ტყვიას კიდირს პირველი მეთმუჭოფუანს.

„მეომარი კაცი მუდამ ნინ მიდის,
მტრის ტყვიას პირველი უშვერს მკერდს.“

(163) გაჭირებას ჯგირი მეზობელი ვემგოტენს,
ოფარეს ვაგორთინუანს.
„გაჭირებაში კარგი მეზობელი არ მიგატოვებს,
ზურგს არ შეგაქცევს.“ [საუბრ.]

(164) *ნოხოლე* *ოჭიში* დო *უკახალე* *ქვარა*. (ყიფ. 184.10)
„ნინ ზურგი და უკან მუცელი.“ (გამოცანა-„წივი“)

(165) ‘ცირაქ’ ათე ქუდეში *ნოხოლე* გეიქონუ ართი ჯა. (ხუბ. 60.15)
„გოგომ ამ სახლის ნინ ამოიყვანა ერთი ხე.“

(166) ჟირი ბოშეფი ქეგეხენა ... ცხენენს დო ... ჟირი ჯოლორეფი ...
ქეკო’უნა უკახალე. (ხუბ. 65. 15-16)
„ორი ბიჭი სხედან ცხენებზე და... ორი ძალლი ...
მიყვებიან უკან.“

(167) ცხორებას ირო თაშიე: ‘ურდგელეფი *ნოხოლე* მირულენა დო ნი-
არეფი *უკახალე* ეთხოზუნა.
„მუდამ ასეა: კურდღლები ნინ გარბიან,
მწვერები კი უკან მისდევნ.“

ბ) აღნიშნული მიმართულება გამოიხატება აგრეთვე ცალკე მდგომი, დამოუკიდებელი ზმნისართებით: წიმი „წინ,“ კინოხ „უკან“.

(168) წუმაჯინუ წიმი დო ქოძირუ ართი კოჩი... (ყიფ. 13.11)
„გაიხედა წინ და დაინახა ერთი კაცი.“

(169) ჭკვერ კოჩი ირო წიმი იჯინე.
„ჭკვიანი კაცი სულ წინ იხედება“. [საუბრ.]

(170) ქუგამინუ, თე კოჩი ხუთ წანაშ კინოხ აფუდუ ნაძირეფუნი.
„გაახსენდა, ეს კაცი, ხუთი წლის წინ რომ ჰყავდა ნანახი.“
[საუბრ.]

გ) ზმნისართები, მოძრაობის მიმართულებას და მდებარეობის ადგილს გამოხატავენ ოპოზიციური წყვილის გარეშე, მხოლოდ ერთ მხარეს; განსხვავება გამოიხატება სხვა ზმნისართებით:

1.2.3 ოლე // ხასილას // განიშე „გვერდით“ ზმნისართები გამოხატავენ მხოლოდ განსაზღვრულ ლოკაციის ადგილს – ვინმეს, რამის გვერდით, კონკრეტული მხარის გარჩევა შესაძლებელია განსხვავებული ზმნისართებით მარცხენაშე „მარჯვნივ, მარჯვნიდან“ / კვარჩხანიშე „მარცხნივ, მარცხნიდან“:

ა) გამოიყენება უშუალოდ რელატივის მიმდებარე სივრცისთვის:

(171) დიარას სიდე მოჭყუდუს დახუნუათუნ, თეჲ
ოლე ქოდომიხუნეთ... (ხუბ. 18.32)
„ქორწილში, სადაც პატარძალს რომ დასვამთ,
იქ გვერდით დამისვით /ეს ქალი/.“

(172) უნჩაში ბოში ხასილას ქილეჩინუ
„უფროსი ვაჟი გვერდზე დაიყენა.“ (ქხს. II.522)

ბ) შესა „ადგილი ორ ობიექტს შორის“:

(173) თიშ უჯგუში ცაშ დო დიხას შესა მუთა დებადებუდუ. (ყიფ. 82. 1-2)
„მასზე უკეთესი ცასა და მიწას შორის არაფერი დაიბადებოდა.“

გ) შესაბანიას „რაიმე მოცულობითი სხეულის, სივრცის შუაგული, ცენტრი“:

(174) ეშე ელაჯინესუნი, შესაბანდიხას
გინოხორხილი ყოფე თე ქყონი. (ხუბ. 3.4)
„ზევით რომ ახედეს, შუა ადგილას
გადახერხილი ყოფილა ეს მუხა.“

დ) განმიკი „განაპირა, განზე“ გადატ. „მოშორებით“:

(175) თი ქუჩას ართ მეძობელი განმიკე ოხორანს.
„იმ ქუჩაზე ერთი მეზობელი განაპირა (მოშორებით)
ცხოვრობს.“ [საუბრ.]

გარდა ორიენტირებული ზმნისართებისა, პარალელურად (ძირითადად, ზეპირ მეტყველებაში) საკმაოდ ხშირად გვხვდება მათი სემანტიკური ვარიანტებიც, რომელთა მნიშვნელობაში არ იგულისხმება რაიმე ორიენტირთან მიმართება. იმავე ზმნისწინებით (თუმცა უმნიშვნელოდ შეცვლილი ფორმით) აღნიშნულია მხოლოდ მოძრაობის იგივე მიმართულება და იმავე ადგილის გეომეტრიულ-ტოპოლოგიური დახასიათება. შდრ.:

(176) ბოშიქ გოურქუ დო ორომეს დინი ქი-დნა. (<დინო)-სხაპუ
„ბიჭი გამოქანდა და ორმოში შიგ ჩახტა.“ [საუბრ.]

(177) ბოშიქ მინი (< მინო-)ილუ მინი ხენწიფეში ოზემა.
„შევიდა შიგნით ხელმწიფის ეზოში.“ [საუბრ.]

(178) მეშარექ გიიჯინუ, მიიჯინუ დო ნიმი გამწოდირთუ.
„მგზავრმა გაიხედა, გამოიხედა და წინ წამოდგა.“ [საუბრ.]

მათი გამოყენება უფრო ემფაზის ხასიათს ატარებს და გაზაზავს სუბიექტის მოქმედების მნიშვნელობას.

1.3. ინტრინსიკული ზმნისართები აღნიშნავენ მოძრაობის მიმართულებასა და სხეულის ლოკაციას რაიმე (უძრავ ან მოძრავ) რელატუმთან მიმართებით (ფილმორი 1997; კლაინი 2009). ლექსიკურად გამოიხატებიან როგორც ოპოზიციური წყვილებით, ისე დამოუკიდებელი ზმნისართებით. ეს უკანასკნელები ჩვეულებრივ გვხვდება ან მოძრაობისა და ორიენტაციის აღმნიშვნელ ზმნურ ფორმებთან ერთად და იმეორებენ რა ზმნისნინებით გამოხატულ მნიშვნელობას, ემსახურებიან ემფაზის გამოხატვას ან წარმოგვიდგებიან დამოუკიდებლად და გამოხატავენ მხოლოდ მიმართულებას, რაიმე ორიენტირთან მიმართების გარეშე.

მეგრულში ზმნისართებით სივრცული განაწილების სურათი საკმაოდ რთულად წარმოგვიდგება: დინახალე // მილახალე // მინახალე // მიმახალე // მითახალე // მიმახალე „შიგნით“ / გალე „გარეთ“: 1. რაიმე მოცულობითი, შემოსაზღვრული სივრცე: (სტომაქი, შენობა, ტყე, ეზო, ორმო...) და ამგვარ სივრცეში შესვლა /გამოსვლა (დინამიკა) ან 2. მასში ყოფნა. დასახელებული ზმნისართებიდან – *მილახალე*, *მინახალე*, *მიმახალე* – სინონიმური ფორმებია და, ძირითადად, აღნიშნავენ ეზოში, სახლში, ოთახში და მისთ. მოცულობით სივრცეში შესვლას, საიდანაც გამოსვლა აღინიშნება საერთო ფორმით – *გიმულა* „გამოსვლა“.

სივრცეში შესვლას, საიდანაც გამოსვლა აღინიშნება საერთო ფორმით – *გიმულა* „გამოსვლა“:

დინახალე / გალე – გამოხატავენ მიმართულებას *შიგნით* / *გარეთ* (დინა-, მიკა-) ან ამგვარ სივრცეში ყოფნას (სტატიკა). აღნიშნულ პროცესებთან ერთად მოცემულია თვით სივრცის ტოპოლოგიური დახასიათება, რაც გამოხატულია განსხვავებული ზმნისნინებით. გამოხატულია სამი ძირით: 1. *მინახალე* (სინონ. ვარიანტები) – რაიმე შემოსაზღვრული, შემოკავებული

სივრცე სახლი, ოთახი; 2. *მიტახალე* – ვინრო, რაიმეს ქვეშ; *მიშახალე* – რაიმე მჭიდრო გარემო – ხალხის მასა, ტყე, ყანა, წყალი ... ასეთ სივრცეში შესვლა/გამოსვლა და ყოფნა.

(179) მიმელეს *დინახალე* ‘უდება’ დო იჩიებუნა. (ხუბ. 20.9)

„შევიდნენ შიგნით ‘სახლში’ და საუბრობენ.“

(180) ხანტეფ ... ქოდოსქიდუნა მინახალე.⁴³ [საუბრ.]

„ხატები... დარჩებიან შიგნით.“

(181) თოლიშ დოვალაფაზუმა ხანც ტყაშა

მიტახალე გორჩქინდუ. (ყიფ. 79.26)

„თვალის დახამხამების დროში შიგ ტყეში გაჩნდა.“

(182) დოჭუ ძღაბიქ ბალიში, *მიშახალე*

თე ძვალი ქიმშადუ (ხუბ. 13.27)

„შეკერა გოგომ ბალიში, შიგნით ეს ძვალი შეაყოლა.“

მიშახალე, *მიშახ* „შიგ“, *მიშე*, *მილახიშე* „შიგნიდან“, *მინოხ* „შიგნით“, *გინოხ* „გადაღმა, იქით“, *მინი* „შიგნით“, *მინე(ლ)/ მინოლი (ზედ.)* „შესასვლელი“, *მითე* „რაიმეს დაბლა და შიგნით“, *მითო(ლ)(ზედ.)* „რაიმეს ქვეშ შესასვლელი“, *მინი-მინი / მინე-მინე* „ქვეშ-ქვეშ“, *გიშე* „შუადან, ცენტრიდან“, *გიშალი (ზედ.)* „ცენტრიდან გამოსასვლელი“, *მინოხ* „იქით, შიგნით“...

(183) ჯამუშიერქ გუურქუ რაშის დო მინიილუ

მინი ხენწიფეში ოზეშა. (ყიფ. 76.15)

„ჯამუშიერმა გააქროლა რაში და შევიდა

შიგ ხელმწიფის ეზოში.“

სივრციდან გამოსვლის პროცესი გამოხატულია აღნიშნულ ზმნისართთა დაშორებითი ბრუნვის ფორმით. შესვლა / გამოსვლისა და შიგ ყოფნის პროცესებთან ერთად გამოხატულია ამ სივრცის ტოპოლოგიური თავისებურებებიც.

⁴³ ინფ. გიორგი სახოკია

ოპოზიციის მეორე წევრი – გალე „გარეთ“, როგორც თავისუფალი, არარელევანტური სივრცე არ იძლევა მსგავსი სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველს, აღინიშნება მხოლოდ ლოკაცია / სტატიკა და თავისუფალია მსგავსი სემანტიკურ-ტოპოლოგიური დახასიათებისაგან:

- (184) მუსითი ოზეში გალე ქოძირუნსუნი,
ირიფეს ოზეშა მუნიმარღვანს. (ყიფ. 23.28-29)
„რასაც ეზოს გარეთ ნახავს, ყველაფერს ეზოში შემოყრის.“

2. სივრცეში შესვლის საპირისპირო – სივრციდან გამოსვლის პროცესი გამოხატულია აღნიშნულ ზმნისართთა ან ადგილის გარემოების აღმნიშვნელი სიტყვების დაშორებითი ბრუნვის ფორმით.

- (185) მუსითი ოზეში გალე ქოძირუნსუნი,
ირიფელს ოზეშა მუნიმარღვანს (ყიფ. 23. 28-29)
„რასაც ეზოს გარეთ ნახავს, ყველაფერს ეზოში შემოყრის“

- (186) მა გინიფრთუქ ... რკინათ დო ჟი მენოლ კარს
დინახალეშე ქიგლებდვალუქ. (ხუბ. 100.14)
„მე გადავიქცევი... რკინად და მალლა შესასვლელ
კარზე შიგნიდან გავიდები.“

- (187) ფაცხა დინახალე დო გალეშე გოგილოსუ ჭითა დიხაშ ლეტათი.
„ფაცხა შიგნით და გარედან გაგლისა
წითელი მიწის ტალახით.“ (ქაჯ. 2001)

- (188) სქუაქ ქობალს შქაშე გაგშუულ გური
„შეიღმა პურს შუიდან გამოუტანა გული“ [საუბრ.]

გაორმაგებული ზმნისწინები – მიკი-მოკი, მიკი-მიკი, მიკე-მიკე, მუკი-მუკი გამოხატავენ ახალ მნიშვნელობას – „ირგვლივ, გარშემო“:

- (189) თე ეზოს მიკი-მიკი ქუაში ხიბირი გუ-ჟუნსი. (ხუბ. 7. 21)
„ამ ეზოს ირგვლივ ქვის ყორე აქვს შემოვლებული.“

(190) ...მუკი-მუკი მოსანძღვრეფი ნდემეფი ჟუნდუ. (ხუბ. 11.17)
„გარშემო მოსაზღვრეფი დევეფი ჰყავდა.“

(191) მუკი-მუკი გოუსქუ თი აშამინდორია ტყას... (ყიფ. 62.21-22)
„ირგვლივ შეუკრავს იმ შუამინდვრიან ტყეში.“

(192) ქიანას სი გილაფურიუნქ 'ქირი' მიკი-მიკი
„შენ დაფრინავ 'ქორო' ქვეყნის გარშემო (ხუბ. 11.17)

3. გარდა სივრცითი ზმნისართებისა, სივრცის ენობრივ სტრუქტურირებაში მონაწილეობენ აგრეთვე სხვა სემანტიკური ჯგუფის ზმნისართებიც:

ა) მიმართებითი: *სოდეთი, სოლეგიდა* „სადაც“:

(193) სოდეთ ღობერი სუსტი რენ, საქონელი თექ მინურსია.
„სადაც ღობე სუსტია, საქონელი იქ შევაო.“ (ქართ. სიბრ. 1:124)

(194) უკული სოლეგიდა იდასუნი, ჩქიმი სუდეშა ქუმურსი. (ხუბ. 59. 15)
„შემდეგ სადაც რომ არ წავიდეს, მაინც ჩემს სახლში მოვაო.“

ბ) განუსაზღვრელობითი: *ართდხას* „ერთ ადგილას“, *მი-თინედხას* „ზოგ ადგილას“, *სოდგა, სოდგარენი, სოდგენი* „სადღაც“, *სოთინი* „სადმე“:

(195) /ბოშიქ/ შორს სოგიდენი დაჩხირიში სინთე ქოძირუ.
„/ბიჭმა/ შორს სადღაც ცეცხლის შუქი დაინახა.“ (ქსს 1. 14.2-3)

(196) სოდგარენი ვირი აბაზი ღირუდუა,
მარა თიში მოყუნაფა ხუთი აბაზია.
„სადღაც ვირი აბაზი ღირდაო, მაგრამ მისი მოყვანა
– ხუთი აბაზიო.“ (ხალხ. სიბრძნე 1:43)

რაც შეეხება ცალკე მდგომ ზმნისართებს, ისინი ჩვეულებრივ გვხვდებიან მოძრაობისა (და ორიენტაციის) აღმნიშვნელ ზმნურ ფორმებთან ერთად და იმეორებენ რა ზმნისწინებით გამოხატულ მნიშვნელობას, გამოხატავენ ემფაზის; დამოუკიდებლად გამოყენების შემთხვევაში ისინი აღნიშნავენ მხოლოდ მიმართულებას რაიმე ორიენტირთან მიმართების გარეშე.

ვერტიკალური სივრცე

ვერტიკალურ სივრცეში, გრავიტაციით განპირობებული სპეციფიკური გარემოდან გამომდინარე, შეცვლილია სივრცულ მიმართებათა საერთო სურათიც: ძირითადი მიმართულება, რომლითაც განსაზღვრულია სხეულთა მოძრაობა-გადაადგილებისა და ლოკალიზაციის ადგილი არის ეშე/გიმე „ზევით/ქვევით“. მიმართულება წარმოდგენილია ანთროპოცენტრული ზმნისართების ოპოზიციური წყვილებით -*ეშე // ჟი* „ქვევიდან ზევით, მაღლა“ (თავის მიმართულებით) და *გიმე // თუდო* „ზევიდან ქვევით, დაბლა“ (ფეხების მიმართულებით). ორივე შემთხვევაში გარჩეულია *შვეული* და *დახრილი* ტრაექტორიით გადაადგილება. *ჟი / თუდო* ვერტიკალური სივრცე მეგრულში წარმოდგენილია როგორც ენობრივად კოდირებული ორი არე (ლექსიკურად -*ჟინი/თუდონი ქეჟანა „ზედა / ქვედა ქვეყანა“*), რომელიც განისაზღვრება აბსოლუტურ ორიენტირებთან – *დედამინისა* და *წყლის ზედაპირებთან* მიმართებით (რაც ბუნებრივია ზღვისპირეთის მცხოვრებთათვის და მტკიცდება სივრცით მიმართებათა აღმნიშვნელი საერთო საშუალებების გამოყენებით). სივრცე, რომელიც ზემოდან ეკვრის აღნიშნულ ორიენტირებს, გამოიხატება ზმნისართებით: *ჟი//ჟი-დო // ჟი-დო-ლე* „ზევით, ზემოთ, მაღლა“; *სივრცე კი*, რომელიც თავსდება საორიენტაციო ზედაპირების ქვევით – ზმნისართებით: *თუ-დო//თუდო-ლე* „ქვევით, დაბლა“.

(197) ჭყონი ჟი ქოქა ცოფე. (ხუბ. 3.7)

„მუხა მაღლა გამოფატრული ყოფილა.“

(198) გაკეთეს კიბე დო ეშელეს ეშე. (ხუბ. 3.6)

„გაკეთეს კიბე და ავიდნენ მაღლა.“

(198) ანწი ჟიმოლე მოლურთუ თითო მახიორაშეთ.

„ანი ზემოთ წამოხვალთ თითო მახიორაშედ.“ (კ. სამუშ. ქპპს. გვ. 54)

(199) ათაქ თუდოლე კაკაბიჯგურა წყარი გითმურსუ.

„აქ, ქვევითკენ, კამკამა წყალი გამოდის.“ (ზუბ. 8.10)

(200) ჟიმოლემ თქვა ზოჯუნთი, თუდოლემ – მა სანყალი. (ქს.1.238)

„ზემოთკენ თქვენ ბრძანდებით, ქვემოთკენ – მე სანყალი.“

2.1 ვერტიკალურ სივრცეში მოძრაობა-გადაადგილების მთელი მარშრუტი, დასაწყისი პუნქტიდან დასასრულამდე, წარმოდგენილია ენობრივად კოდირებულ ორ ეტაპად. ეს უკანასკნელები ავლენენ როგორც ზოგადად ვერტიკალური მოძრაობისათვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებს, ისე განსხვავებებს, რომლებიც განპირობებულია უშუალოდ ზედა / ქვედა სივრცეებად დაყოფისა და შვეული / დახრილი მიმართულებებით მოძრაობა-გადაადგილების ფიზიკური თავისებურებებით.

ა) ეშე > // იშე / ჟი „ზევით მაღლა“ მიმართული შვეული მოძრაობის პირველი ეტაპი (კითხვაზე – სოურე „საიდან?“) წარმოდგენილია როგორც ნებისმიერი მიწისქვეშა, ზმნისართების მიხედვით – თუდო // თუდოლე (ქვედა), სივრციდან ანუ ქვესკნელიდან, უფსკრულიდან, ზღვის ფსკერიდან, ორმოდან, ჭიდან და ა.შ. დანყებული პროცესი. ამ სიტუაციაში გრამატიკულად კოდირებულია სწორედ მოძრაობის საწყისი სივრცე, რაც გამოიხატება გარემოებით სახელთა აბლატივის ფორმით, ნიშანი -შე. აღნიშნული მოძრაობა მიმართულია საორიენტაციო (დედამინის, წყლის) ზედაპირისკენ და მთავრდება ამ ზედაპირზე ამოსვლით. ლექსიკურად გამოხატულია ეშა- ზმნისწინით „ზევითკენ, მაღლა“ (შეესაბამება ქართ. ამო).

ბ) მოძრაობის მეორე, ვიზუალურად მეტ-ნაკლებად მისანვდომი, ეტაპი იწყება ბუნებრივი სასტარტო (დედამინის, წყლის) ან შესაბამისი ფორმის ნებისმიერი პირობითი საორიენტაციო ზედაპირიდან (შენობის სახურავი, იატაკი, მაგიდა და მისთ., რომელიც შეიძლება ორიენტირის ფუნქციით მოგვევლინოს და მიმართული იქნება ეშე > // -იშე, ჟი „ზევითკენ“ ანუ მოძრაობის დასასრულისკენ კითხვაზე სო „საით?“ გამოიხატება ეშა- ზმნის-

ნინით, მაგრამ უკვე გარემოებით სიტყვათა მიმართულებითი ბრუნვის, ალატივის, ფორმით, ნიშანი -შა:

(201) მითინიში ცხენს ვე-ეშა-სხაპუ ჟი ჯიხურიშა. (ყიფ. 46.15)

„ვერავის ცხენი ვერ ა-ხტა ზევით კოშკზე.“

2.2 განსხვავებული სიტუაცია იქმნება ქვევიდან ზევით დახრილ ზედაპირზე გადაადგილების შემთხვევაში. მოძრაობის მიმართულება ეშე// ჟი ორივე ეტაპზე გამოხატულია ეკი „ზევით, აღმა“ ზმნისართითა და ეკო- „ზევით, აღმა“ ზმნისნინით. მაგრამ ეტაპები გრამატიკულად არ არის გარჩეული.

ა) მოძრაობის პირველ ეტაპზე მიმართულებითი ბრუნვის ფორმით (ნიშანი -შა) აღნიშნულია წყლიდან საორიენტაციო ზედაპირზე ანუ ნაპირზე ამოსვლა (შეესაბამება ქართ. ამო-): ეკონჩურუა „ნაპირზე გამოცურვა“, ეკო-ყოთამა „ნაპირზე ამოგდება (ზღვიდან, ტბიდან, მდინარიდან ...) ნაპირზე – საორიენტაციო ზედაპირზე ასვლა / ამოსვლა: ზღვაზე ეკულა „ზღვიდან ამოსვლა“; საიდან? ზმნის ფორმებით ჩანს, რომ იგულისხმება პირველი ეტაპის დასასრული პუნქტი (იხ. მაგალითები (24) (25))

ბ) მოძრაობის მეორე ეტაპზეც, რომელიც იწყება უკვე ხმელეთზე, როგორც საორიენტაციო ზედაპირზე, ეკი ზმნისართით და ეკო- ზმნისნინით აღნიშნულია ამ ზედაპირიდან ეშე, ჟი „ზევით“ აღმართზე, დახრილ ზედაპირზე ასვლა. გრამატიკულად ეს მოძრაობაც გამოხატულია მიმართულებითი ბრუნვის, ალატივის, ფორმით: ეკ-ულა- (< ეკო-ულა) „აღმართზე ასვლა“, ეკორულა „აღმართზე ამორბენა, არბენა“; ეკო-ლალა „აღმართზე ამოტანა/ატანა“;

(202) წყარ ეკი/ ეკე მეურსია- ქოთქუანსინი, გეთუუა. [საუბრ.]

„წყალი აღმა მიდისო – რომ იტყვის, მორჩაო.“

გ) რაც შეეხება სხეულთა ლოკალიზაციის ადგილს ქვევიდან ზევით დახრილ ზედაპირზე მოძრაობის დროს, იგი დაფიქ-

სირებულია მხოლოდ თუდო „ქვევით, დაბლა“, ქვედა სივრცეში – ბუნებრივ სასტარტო ზედაპირზე: ეკო-რინა „ნაპირთან დგო-მა, ეკო-ხუნა „ნაპირთან ჯდომა“, ეკო-ძვენა „ნაპირთან დება“.

რამდენადაც აღნიშნული სასტარტო ზედაპირი ამავე დროს არის ჰორიზონტალური სივრცის ნაწილიც, ეკო- ზმნისწინი გამოყენებულ იქნა ამ საზიარო სივრცეშიც, მაგრამ უკვე შეცვლილი მნიშვნელობით: აღნიშნავს უკან მიყოლას მიდევნებას, მის-ნრებას... (იხ. ზმნისწინებთან)

2.1.2 მოძრაობა ზევიდან ქვევით. აღნიშნული მიმართულებით მოძრაობა იმეორებს ქვევიდან ზევით მიმდინარე მოძრაობის მარშრუტს. მაგრამ მისგან განსხვავებით, მოძრაობის ეტაპები კოდირებულია როგორც ლექსიკურად – განსხვავებული ზმნისართებითა და ზმნისწინებით, ისე გრამატიკულადაც – განსხვავებული ბრუნვის ფორმებით. სახელდობრ, ეშე- ზმნისართით გამოხატული მოძრაობის საპირისპირო მიმართულება – გიშე // თუდო „ქვევით“ გამოხატულია შემდეგი სქემით :

ა) შვეული მოძრაობის შემთხვევაში პირველი ეტაპი – გიშე იწყება საორიენ-ტაციო ზედაპირთან მიმართებით სადმე ზევით და გრძელდება ქვევითკენ: ციდან, ღრუბლებიდან, მთიდან..., უმეტესწილად რაიმე ობიექტის ხის, სახურავის, ... გვერდითი ნაწილიდან და მთავრდება ამავე ზედაპირზე. გამოხატულია გილა- (< გილა > ილა) ზმნისწინითა და სახელთა აბლატივის ფორმით. მოძრაობა სრულდება ორ ეტაპად: პირველი ეტაპი აღნიშნავს მოძრაობის დასაწყისს ზედა პუნქტიდან საორიენტაციო ზედაპირამდე (რაც კოდირებულია -შე ბრუნვის ნიშნით).

(203) ჟიშე გეგლალუ დო თუდო ქუდოლუ. [საუბრ.]

„ზემოდან ჩამოვარდა და დაბლა დავარდა.“

ბ) მეორე ეტაპზე აღნიშნულია მოძრაობა, მიმართული ნებისმიერი საორიენტაციო ზედაპირიდან ქვევით, რაიმე შემოსაზღვრულ სიღრმეში. გამოყენებულია ზმნისართი დინი, თუდო.

ზმნისწინი დინო- (>ინო) „ქვევით, დაბლა მიმართულებითი ბრუნვის ფორმასთან ერთად, ნიშანი შა-.

(204) ტყვია ეფერი დიხას დინნოხვე, ნამუდა
იში ეშე ეშალალა ვანოცოფუე. (ხუბ.16.14-15)
„ტყვია ისეთ ადგილას ჩამჯდარა, რომ მისი იქიდან
ამოღება შეუძლებელი ყოფილა.“

(205) ქიდნავოთეს /ჭყონიში ქოქას/ დიდი ქუა დინი.
„ჩააგდეს /მუხის ფულუროში/ დიდი ქვა.“ (ხუბ. 3.8)

ლოკაციის პროცესი, სტატიკა, გამოხატულია როგორც მოძრაობის ზედა, დასაწყისი, ისე ქვედა, დასასრულ მონაკვეთებში: ზედა მონაკვეთებში ლოკალიზაციის ადგილი გამოხატულია გილა < გელა ზმნისწინით, რომელიც ამ კონკრეტულ სიტუაციებში აღნიშნავს რაიმე მაღალ ადგილზე, ხშირად, გვერდით ნაწილზე ყოფნას – დგომას, წოლას, ჯდომას, დებას (დეტალურად იხ. დინამიკა-სტატიკა).

2.3 ვერტიკალურ სივრცეში დასტურდება აგრეთვე მოძრაობის შეზღუდული ფორმები, რომლებიც მათი მიმართულებისა და სივრცეში დაკავებული პოზიციის მიხედვით შეიძლება განხილულ იქნან როგორც მოძრაობის დასაწყისი და დასასრული, მაგრამ ჰორიზონტალური სივრცის ანალოგიური მონაკვეთებისაგან განსხვავებით, ისინი არ მოიაზრებიან მოძრაობის სრული ციკლის შემადგენლებად: როგორც შვეული, ისე დახრილი ტრაექტორიით მოძრაობა მიმდინარეობს მხოლოდ თუდო „ძირს“, ქვედა ვიზუალურ სივრცეში, საორიენტაციო ზედაპირზე.

ა) შვეული მოძრაობის მიმართულება ქვევიდან ზევით საორიენტაციო ზედაპირამდე და ზედაპირიდან გამოჩენა გამოხატულია ზმნისართით -ეშე, საორიენტაციო ზედაპირიდან დამორება კი – აბლატივის ფორმით, ნიშანი -შე. მაგრამ ზმნისწინი ეშა- ჩანაცვლებულია სხვა ზმნისწინით, რაც გამონეულია მოძრაობის ფაზური სტრუქტურის შეცვლით: ქვევიდან ზევით მიმართული მოძრაობის აღსანიშნავად გამომოყენებულია ზმნის-

ნინი ე-, რომლითაც გამოხატულია მხოლოდ მოძრაობის დასაწყისი ეტაპი – ზედაპირზე გამოჩენა, ამოწვევა: ე-ფალუა „აღმოცენება“; ე-ულა „მცენარის (ბალახის, ბუჩქის, ხის) ამოსვლა, ნიადაგიდან ამოწვევა, გამოჩენა, მაგრამ არა შემდგომი ზრდა; გადატანით – თმის, წვერ-ულვაშის, კბილების ამოსვლა; ასევე გამოხატულია ზედაპირიდან მოცილება, ზევითკენ ორიენტირებული მოძრაობის დასაწყისი: ე-ლაფა „ავარდნა“, ე-ფურინუა „აფრენა“, ე-სხაპუა „ახტომა“, ე-ცონაფა „აყვანა“, ე-ჭოფუა „აღება“, ე-კინა „ანევა“. მაგალითი (56) .

რომ შევაჯამოთ, სივრცითი ზმნისართები, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულები, მეგრულში გამოხატავენ: 1. სივრცეში სხეულთა მოძრაობა/ გადაადგილების მიმართულებას (დინამიკა), 2. ობიექტთა ლოკალიზაციის ადგილს (სტატიკა). ფორმობრივად გარჩეულია სამი მოდელი: პირველადი (ფუძის სახით წარმოდგენილი), წარმოქმნილი – ბრუნვის ნიშნებით, ნაწილაკებით, მანარმოებელი აფიქსებით გაფორმებული, რთული – გაორმაგებული სტრუქტურით. ზმნისართთა ფორმობრივი სტრუქტურა ასახავს მათ სემანტიკურ სტრუქტურას და შეიცავს ინფორმაციას მოძრაობის მიმართულების, სხეულის ლოკალიზაციის, გამოსვლითი პუნქტის, სივრცეში საგანთა განლაგების, ორიენტაციის (დეიქტური, ანთროპომორფული, ანთროპოცენტრული, ინტრინსიკული), სივრცის გაფართოება-დავიწროების, ვიზუალიზაციის შესახებ; მათი ასახვა განპირობებული ჩანს იმ სტრატეგიით, რომელიც ემყარება გეოგრაფიულ, კულტურულ თუ სხვა ფაქტორებს, მათ გამოყენებას ცალკეულ ენებში მოძრაობის მიმართულებისა და ლოკალიზაციის ადგილის განსაზღვრისას ანუ სივრცეში ორიენტირების პრინციპების შერჩევისას. სივრცეში სხეულთა მოძრაობისა და უძრაობის ფიზიკური თავისებურებები და მათი ენობრივ ასახვაში წარმოჩენილი სპეციფიკა აუცილებელს ხდის ზმნისართთა სემანტიკურ-გრამატიკულ დახასიათებას ჰორი-

ზონტალურ და ვერტიკალურ სივრცეთა მიხედვით ორიენტირ-
თან მიმართებით ან მის გარეშე.

მეგრულის მასალის ანალიზი ავლენს ზმნისართსა და ზმნის-
ნისს შორის როგორც საერთოს, ისე განსხვავებულს. პირველ
ყოვლისა ეს ეხება ფუნქციას. ორივე ენობრივი ერთეული ფაქ-
ტობრივად ემსახურება ერთსა და იმავე მიზანს – სივრცულ მი-
მართებათა გამოხატვას. ფუნქციურ ერთობასთან ერთად
ვლინდება მათი მასალობრივი ერთიანობაც. ყოველივე ეს გახდა
საფუძველი დამდგარიყო მათი ურთიერთდამოკიდებულების
საკითხი, რაც სწრაფად გახდა საფუძველი საკითხის ცალსახა
გადაწყვეტისათვის: ზმნისართები ედება საფუძვლად ზმნისნი-
ნებს. ჩვენი კვლევის შესაბამისად ზმნისართები და ზმნისნი-
ნები სტრუქტურირებისას იყენებენ ერთი და იმავე ენობრივ
ინვენტარს თუმცა მათი კომინიბრების აბსოლუტურად გან-
სხვავებული წესებითა და მიდგომით.

დროის სემანტიკა მეგრულში

ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი

1.1. რა არის დრო? „თუ ვინმე მკითხავს, რა არის დრო, მე შემძლია ვილაპარაკო მასზე, მაგრამ თუ მომთხოვენ მის განსაზღვრას, პასუხს ვერ გავცემ“ – წმინდა ავგუსტინეს (354-430) ამ სიტყვებს დღეისთვისაც არ დაუკარგავთ აქტუალურობა. თანამედროვე მეცნიერებაში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული განმარტება, რომლის თანახმად დრო სივრცესთან ერთად არის „მატერიის არსებობის ფორმა“, მხოლოდ ზოგადად მიანიშნებს სივრცისა და დროის კავშირზე, მაგრამ ამავე დროს ავლენს საკითხებს სივრცისა და დროის შესახებ, რომელთა გარშემო კამათი არისტოტელედან დაწყებული თანამედროვეობის ჩათვლით არ შენელებულა. უფრო მეტიც, არსებობს დროის მიმართ საუკუნეთა განმავლობაში შეუწელებელი ინტერესი მეცნიერების განსხვავებული დარგების, მითოლოგიის, ხელოვნების და ა. შ. მხრიდან. შესაბამისად არსებობს კვლევის განსხვავებული მიზნები და მიდგომები, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება ლაპარაკი მითოლოგიურ, ფილოსოფიურ, მათემატიკურ, ფიზიკურ, კოსმოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სხვ. დროებზე, მათ შორის ლინგვისტურ დროებზეც. ეს დროები ხასიათდებიან როგორც საერთო, ისე სპეციფიკური ნიშნებით. ლინგვისტური დროისათვის სპეციფიკურად მიიჩნევა, პირველ ყოვლისა, მისი არსებობის ფორმა: თუ სხვა დროები ემყარებიან ანალიზისათვის მეტ-ნაკლებად მისაწვდომ მახასიათებლებს (მდრ. ბიოლოგიური დრო, რომელიც ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე დღე-ღამურ ცვლილებებს განსხვავებული სასიცოცხლო პროცესებით ასახავს), ლინგვისტური დრო აბსოლუტურად მოკლებულია ნებისმიერი სახის სუბსტანციურ თვისებებს (კლაინი 1994:62; 2009:28). როგორც ასეთი, იგი არსე-

ბობს მხოლოდ ადამიანის „მენტალურ თესაურუსში“ (კასევიჩი 2013:42). მაგრამ დროის მენტალური ხასიათი არ ქმნის დაბრკოლებას მისი, როგორც *ენობრივი რეალობის, ობიექტური ანალიზისათვის*: ცნობიერებაში კოგნიტიური პროცესების⁴⁴ გზით ჩამოყალიბებული მენტალური დროითი (ისევე როგორც სხვა ენობრივი) მოდელები განსხვავებულ ენებში (რესპ. განსხვავებულ კულტურებში) რეალიზდებიან როგორც საერთო, უნივერსალური თვისებების, ისე კონკრეტული მრავალფეროვნების გამომხატველი ენობრივი სისტემებით. სწორედ ეს რეალიზაციები წარმოადგენენ ლინგვისტური კვლევის საგანს, რომლის ამომწურავი, არანინააღმდეგობრივი ანალიზი უზრუნველყოფს შედეგების მიღწევას, რომელთა ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. ენობრივი მენტალური მოდელების არსებობას ემყარება აგრეთვე ლინგვისტური კვლევის ერთი თავისებურებაც, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დროითი მოვლენების ანალიზის პროცესში. იგულისხმება შემთხვევები, როდესაც „ობიექტური“ ლინგვისტური მეთოდებით შეუძლებელია შედეგის მიღწევა და ანალიზის პროცედურაში გადამწყვეტი ხდება ისეთი არალინგვისტური წმინდა ადამიანური ფაქტორი, როგორიცაა მოლაპარაკის *გ ა ნ ც დ ა*. სხვა სიტყვებით, გარკვეულ შემთხვევებში ანალიზური პროცედურა

⁴⁴ კოგნიცია გაგებულია როგორც ადამიანის შემეცნებითი მოღვაწეობის გზით მიღებული ინფორმაციის მენტალურ სტრუქტურებად გადამუშავების ფსიქიკური პროცესი. ამასთანავე, სპეციალისტები თვლიან, რომ კოგნიცია დამოუკიდებელი შუალედური ფენაა სინამდვილესა და ენას შორის (სკოროუ 1994:3; კასევიჩი 2013:57-67). ეს გაგება არსებითად ცვლის სამყაროს ასახვის ჰუმბოლდტისეულ, შემდეგში – სოსიურის, ნეო-ჰუმბოლდტიანელებისა და სხვათა სქემას, რომლის მიხედვით, სამყაროში ენობრივი წესრიგი შეაქვს უშუალოდ ენას, რომელიც მიჩნეული იყო შუალედურ ფენად გარესინამდვილესა და ცნობიერებას შორის.

ემყარება იმას, რაც მშობლიურ ენაზე მოლაპარაკემ არაცნობიერად იცის.⁴⁵

1.1.1. თუ როგორ უნდა მომხდარიყო დროის მენტალური, რესპ. კოგნიტიური მოდელების ჩამოყალიბება, ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანია: დინამიკური სამყაროს პირისპირ მდგომი ადამიანისათვის დროის „აღქმა“ შესაძლებელია მხოლოდ არაპირდაპირი გზით – სივრცეში მიმდინარე, განსაკუთრებით ვიზუალურად აღქმად, მოვლენებზე და კ ვ ი რ ვ ე ბ ი თ. ციურ სხეულთა ხილულ გადაადგილებაზე, მკაცრი პერიოდულობით განმეორებად ბუნების მოვლენებზე – დღისა და ღამის, ზამთრის ყინვებისა და ზაფხულის მცხუნვარების, მწვანე მცენარეული საფარის გამოჩენისა და შემდეგ მისი გაქრობის და ა. შ. ციკლურ მონაცვლეობაზე, ანუ დროში – რიტმულ ცვლილებებზე (კასევიჩი 2013:44)] დაკვირვებები და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ადამიანთა არსებობის პირობებთან მათი დაკავშირება გახდა დროითი მონაკვეთების იდენტიფიკაციისა და მათი სახელდების საფუძველი. ასე, ცაზე პლანეტა ვენერას გამოჩენა აღმოსავლეთის მხარეს ქართველურ (და არა მხოლოდ ქართველურ) ცნობიერებაში უკავშირდება გათენებას, რაც ენობრივად ასახულია მის სახელწოდებებშიც: ქართ. „ცისკრის ვარსკვლავი“, მეგრ. გუმოთანე მურიცხი „გამთენებელი ვარსკვლავი“, სვან. მგრჰილ „მნათობი, გამთენებელი.“ ცნობილია, რომ კაშკაშა ვარსკვლავის, სირიუსის, პერიოდული გამოჩენა ძველი ეგვიპტელებისათვის მოასწავებდა უმნიშვნელოვანესი

⁴⁵ ასეთი მიდგომა ენობრივი ანალიზის პრაქტიკაში უცხო არ არის (მაგ., ამას ემყარებოდა ფონეტიკური ერთეულების იდენტიფიკაცია, რომელიც წმინდა ფონეტიკური მეთოდებით ფაქტობრივად მიუღწეველია). ისეთი „ემპირიული ობიექტის ვერიფიკაციისათვის, როგორიც არის ენა, მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთა ლინგვისტური აღქმის მნიშვნელობაზე ენობრივ ერთეულთა იდენტიფიკაციისათვის და მისი ლინგვისტურ კვლევაში შემოტანის აუცილებლობაზე თავის დროზე ყურადღებას ამახვილებდა ლ. იელმსლევი (იელმსლევი 1954:170 და შემდ.).

სასიცოცხლო მოვლენის – ნილოსის ადიდების დასაწყისს, რაც მათ კალენდარშიაც არის ასახული: წლის სამი ოთხთვიანი პერიოდიდან პირველს სწორედ *წყალდიდობის* პერიოდი ეწოდება. მსგავსი მაგალითები მრავლად სახელდება, მაგრამ ყველა ასეთი შემთხვევა თანაბრად წარმოაჩენს სივრცულ მოვლენათა როლს დროის რიტმულად განმეორებადი მონაკვეთების იდენტიფიკაციაში.⁴⁶ და მაინც, საგანგებოდ აღნიშნულია ის მნიშვნელობა, რომელიც საერთოდ ენობრივ (და შემდგომ მეტრიკულ) ასახვაში ენიჭება *წელიწადის, თვისა და დღე-ღამის* მონაკვეთებს. მათი სასიცოცხლო მნიშვნელობისა და, ამასთანავე, პერიოდული მონაცვლეობის განსაკუთრებული თვალსაჩინოების გამო ისინი, ფაქტობრივად, უშუალო ასტრონომიული დაკვირვებების გზით ითვლებიან შემოსულად ადამიანის ცნობიერებაში და გვევლინებიან დროითი სტრუქტურების განმსაზღვრელ მომენტებად.

ამგვარად, დასკვნა, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს სივრცისა და დროის ურთიერთმიმართების ხასიათიდან, გულისხმობს, რომ დროითი კონტინუუმის ენობრივი დანაწევრება მეტ-ნაკლები ხანგრძლივობის მონაკვეთებად უკავშირდება სივრცეში მიმდინარე მოვლენების იდენტიფიკაციას. სხვა სიტყვებით, დროითი მონაკვეთები, გარკვეული აზრით, „მიბმულია“ სივრცულ მოვლენებზე და მხოლოდ ამდენად შეიძლება ლაპარაკი სივრცული ლოკალიზაციის კავშირზე ტემპორალურ

⁴⁶ რიტმი, როგორც გარკვეულ მოვლენათა პერიოდული მონაცვლეობა დროში, მრავალფუნქციურია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის სასიცოცხლო პროცესების მოწესრიგებაში. ბუნების მოვლენათა (წლის, თვის, დღის) რიტმული მონაცვლეობა არეგულირებს ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს პროცესებს, მათ „შინაგან საათს“; ბუნებრივი რიტმი ხელს უწყობს ადამიანის ფსიქიკის ფუნქციონირებას. ადამიანებზე მსგავსი ზემოქმედების ძალა, რომ არაფერი ვთქვათ მუსიკაზე, მიენერება „არაბუნებრივ“ რიტმულ მონაცვლეობასაც, რომელიც ვლინდება სახვითი ხელოვნების ნიმუშებსა და ლიტერატურაში (შნოლი, ზამიატინი 1974:189-194).

ლოკალიზაციასთან. მაგრამ სივრცისა და დროის კავშირში სივრცულ მოვლენათა თვალსაჩინოება არ შეიძლება ნიშნავდეს შემეცნების პროცესში მათი მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობით არსებობას – ჯერ სივრცე და მხოლოდ ამის შემდეგ დრო, როგორც ამის მტკიცებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დროის სპაციალიზაციას – „გასივრცებას“ [ტერმინისათვის იხ. (გურევიჩი 1984: 165)] ხშირად ვხვდებით სპეციალისტებთან. რომ არაფერი ვთქვათ თვით სივრცული მოვლენების იდენტიფიკაციის შეუძლებლობაზე დროითი (თუნდაც იმპლიციტური) კომპონენტის გარეშე, ენობრივი მონაცემებიც არ ადასტურებენ მათი სტრუქტურების იდენტურობას: დრო ენობრივ გამოხატულებაში, სივრცესთან კავშირის მიუხედავად, ავლენს მისგან განსხვავებულ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს, რაც ქმნის დროით მიმართებათა სპეციფიკურ სტრუქტურას. აღნიშნულის გათვალისწინებით ტემპორალული ლოკალიზაცია განიხილება როგორც მენტალური დროის დანაწევრება მეტნაკლები ხანგრძლივობის სეგმენტებად – ტემპორალურ მონაკვეთებად, რომლებშიც მიმდინარეობს რაიმე თვალსაზრისით ადამიანური აღქმისათვის (საზოგადოებისათვის) მნიშვნელოვანი მოვლენები. სხვაგვარად, სეგმენტირება ემყარება როგორც ციკლურ ბუნებრივ მონაცვლეობას – რიტმებს, ისე კულტურულ ფაქტორებს, რაც არ არის დამოკიდებული ბუნებრივ რიტმებზე და ენათა მიხედვით განსხვავებულია.

1.1.2. ენათა შედარებითი შესწავლა ცხადყოფს, რომ ტემპორალური ლოკალიზაციის შესაძლებლობა არსებობს უკლებლივ ყველა ენაში და გამოიხატება ლექსიკური და გრამატიკული საშუალებებით. ენებს შორის განსხვავებას, ჩვეულებრივ, ქმნის ის განსხვავებული მნიშვნელობა, რომელიც სხვადასხვა ენაში დროითი ლოკაციის დადგენისას ამ საშუალებებს ენიჭებათ (კომრი 1985:7). კერძოდ, ერთ შემთხვევაში დროის ლოკაცია ხდება ლექსიკური ერთეულებით, ძირითადად ზმნისართებით. ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელები, თანდებულები,

ნაწილაკები. გრამატიკული ლოკალიზაციის შემთხვევაში შესაბამისად გამოყენებულია გრამატიკული კატეგორიები. კლასიკურ ნიმუშად მიჩნეულია დროის ზმნური კატეგორია – Tense, რომლის დანიშნულებაცაა ზმნის ფორმებით გამოხატულ დინამიკურ და სტატიკურ პროცესთა მიმდინარეობის დროის გამოხატვა მე-ახლა დეიქტურ ცენტრთან მიმართებით.⁴⁷ სწორედ ეს მიმართება ედება საფუძვლად დროის კონტინუუმის დაყოფას სამ დროით სივრცედ ანუ სამ ძ ი რ ი თ ა დ პერიოდად: წარსული, აწმყო, მომავალი. სწორედ ეს ქმნის დროითი სტრუქტურის სპეციფიკას არა მხოლოდ სივრცითი სტრუქტურებისაგან განსხვავებით, არამედ სხვა დროებისაგან განსხვავებითაც და მთლიანად დამოკიდებულია ადამიანურ ფაქტორზე. დროის ლოკალიზაციისა და სტრუქტურირების პროცესები, რომლებიც ვლინდებიან კონკრეტულ ენობრივ გამოხატულებებში, უკვე ექვემდებარებიან ობიექტურ ლინგვისტურ აღწერას.

1.2. ზოგადად ლინგვისტური დროის დახასიათება რთული ამოცანაა. და ეს არა მარტო და არა იმდენად თვით დროის მენტალურობის, რამდენადაც კონკრეტულ ენობრივ სტრუქტურათა მრავალფეროვნების გამო. რეალურად ენებს შორის (იმავე მენტალური თვისებებით გამოწვეულ) მნიშვნელოვან მსგავსებასთან ერთად, წარმოდგენილია კულტურული ფაქტორებით განპირობებული განსხვავებული სტრუქტურული ვარიანტები.

⁴⁷ თუმცა აღნიშნულია ის მოსალოდნელი სირთულეებიც, რომლებიც ორივე შემთხვევაში თან ახლავს დროის კონტინუუმის დანაწევრებას. დროის გრამატიკალიზაციის დროს დგება ზოგადად დროისა (Time) და მისი მორფოლოგიური ვარიანტის (Tense) ურთიერთმიმართების საკითხი. მეორე შემთხვევაში სირთულეები დგება დეიქტურ ცენტრთან დაკავშირებით. კერძოდ, გარდა იმისა, რომ ამ ცნების ინტერპრეტაციას თან ახლავს მნიშვნელოვანი სემანტიკური სირთულეები (სათანადო ადგილები იხ. ქვემოთ), აღნიშნულია სხვა მოსალოდნელი სირთულეებიც, მაგ., ლაპარაკია იმაზე, რომ ზოგჯერ ენებში ძნელდება დროთა ადეკვატური ლექსიკური სუბსტიტუტების დაძებნა (კომრი 1985:11).

მაგრამ იმ შედეგებზე დამყარებით, რომლებიც მიღწეულია ლინგვისტური დროის ხანგრძლივი, მრავალმხრივი კვლევების შედეგად და არსებითად აღიარებულია თანამედროვე მეცნიერებაში, იკვეთება საერთო ნიშნები, რომელთა მიხედვით ადამიანურ განცდაში და ამდენად ენობრივ ასახვაში წარმოდგენილი დრო, სტატიკური სივრცისაგან განსხვავებით, მოძრავია.⁴⁸ შესაბამისად იგი შეიძლება დახასიათდეს როგორც ერთგანზომილებიანი, ცალმხრივ მიმართული (შეუქცევადი), უწყვეტი პროცესი. ეს ნიშნები ემყარება როგორც აღნიშნულ პერიოდთა შიდასეგმენტურ, ისე თვით ამ პერიოდებს შორის არსებულ მიმართებებს.

1.2.1. ერთგანზომილებიანობა. დრო, როგორც უწყვეტი კონტინუუმი, თავისთავად არ გულისხმობს რაიმე მონაკვეთებად დაშლა-დანაწევრებას, რაიმე პროცესის დასაწყისისა ან დასასრულის განსაზღვრას და ა. შ. მაგრამ ენობრივ ასახვაში იგი ექვემდებარება სხვადასხვა ხანგრძლივობის, ადამიანისათვის (რესპ. მოცემული კულტურისათვის) რელევანტურ სეგმენტებად ანუ ტემპორალურ მონაკვეთებად დანაწევრებას, მათ შორის, დასაწყისისა და დასასრულის აღნიშვნასაც. დროით სეგმენტებს შორის არსებული კავშირები შეიძლება განისაზღვროს სივრცული პროცესებისათვის დამახასიათებელი მიმართებებით – წინ, უკან, თან, მაგრამ დროითი პერიოდების მიხედვით განსხვავებული განაწილებითა და მნიშვნელობებით. კერძოდ, სივრცული მიმართება წინ/უკან დროში გამოიხატება მიმართებებით – უმოს

⁴⁸ დროის მოძრაობა-უძრაობის საკითხი სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაგვარად წყდებოდა. მაგ., ჩვენი აღქმისათვის დამახასიათებელი მოძრავი დრო მკვეთრად განსხვავდება მითოლოგიური დროისაგან. ეს უკანასკნელი „იყო არა იმდენად დრო, რამდენადაც დროის არარსებობა, რომელიც სწორედ ამ არარსებობით, ცვლილებების, მოძრაობის, განვითარების, საერთოდ აქტიდენციის გარეშე ახასიათებდა სინამდვილის უძრავ და ფასეულ მდგომარეობას“ (კნაბე 1991:279).

ადრე „უფრო ადრე“, როდესაც დროითი მონაკვეთების მიმდევრობაში რომელიმე ერთი მონაკვეთი წინ უსწრებს სხვა მონაკვეთს და უმოს გვიანო, როდესაც ერთი მონაკვეთი მოსდევს მეორეს; მიმართება „თანადროულად“ გულისხმობს გარკვეული მონაკვეთების (სრულ ან ნაწილობრივ) დამთხვევას. სწორედ აღნიშნული მიმართებები ქმნიან დროით სტრუქტურებს (ფილმორი 1997:45). მაგრამ აღნიშნული მიმართებები, ამასთანავე, დროის მოძრაობას წარმოგვიდგენენ მხოლოდ ერთ, ჰორიზონტალურ, განზომილებაში (დანვრ. ქვემოთ).

თანამედროვე ენებში გავრცელებულია დროის წრფივი მოდელი, მაგრამ ძველი კულტურის ხალხებში ამ თვალსაზრისით სიტუაცია არაერთგვაროვანია. მაგ., მესოპოტამიის კულტურაში [რომლის არაპირდაპირი გავლენა დასტურდება ქართველურ კოსმოლოგიურ აზროვნებაზეც (კეკელიძე 1956:101 და შემდ.)] მიღებული იყო თვალსაზრისი დროის სწორხაზოვან დინებაზე აშკარად გამოხატული ციკლურობის გარეშე (კლოჩკოვი 1983:21). მაგრამ მრავალ მაღალგანვითარებულ კულტურაში (ძვ. ეგვიპტეში, ჩინეთში, ინდოეთში, აცტეკების, მაიას ტომებში და სხვ.), სადაც, გაბატონებულ რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა თანახმად, სამყაროში ყველაფერი არსებული მეორდება, მათ კალენდარულ სისტემებში წარმოდგენილი დროც ციკლურია და გამოიხატება როგორც წრიული მოძრაობა (შდრ. მაგ., ინდუისტური სანსარას ბორბალი, რომელიც გამოხატავს სამყაროთა წარმოშობისა და დაღუპვის წრებრუნვას). დროის მიმდინარეობა მსგავს ციკლებში, ჩვენი აღქმისათვის მისანვდოში ბუნებრივი ციკლებისაგან დამოუკიდებლად, შინაგანი წინააღმდეგობების გამო, დროდადრო წყდება, ჩვეულებრივ, კაცობრიობისათვის გამანადგურებელი კატაკლიზმების თანხლებით.

მაგრამ ძველის ნაცვლად იქმნება განახლებული ციკლი, რომელშიც ყველაფერი თავიდან იწყება.⁴⁹

დროის წრფივ მოდელზე გადასვლა განპირობებული ჩანს რამდენიმე ფაქტორით, როგორიცაა: მეცნიერების განვითარება, კულტურათა მიგრაცია, ყოფითი პირობების შეცვლა, სხვა ენიდან სესხება და მისთ. მათ შორის უნდა აღინიშნოს დროისათვის უმნიშვნელოვანესი – ადამიანის განცდა, რომელიც ემყარება მოვლენათა შეცვლილ, ახლებურ აღქმას. ეს ცვლილებები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მეცნიერების განვითარებაზე. კერძოდ, მიჩნეულია, რომ დროის კლასიკური კონცეფციები საუკუნეთა განმავლობაში არა მხოლოდ *მუშაობდნენ*, არამედ *განსაზღვრავდნენ* ადამიანის შეგრძნებებს სამყაროზე. მაგრამ რეალობის სურათების შეცვლა იწვევს ცვლილებებს ადამიანის აღქმაში⁵⁰ (გრინი 2006. აღქმათა შესაძლო ცვლილებების შესახებ იხ. აგრეთვე გურევიჩი 1984:II თავი). თუმცა სახელდება შემთხვევებიც, როდესაც კლასიკური კონცეფციების რღვევას ენობრივ ასახვაში ცვლილებები არ მოჰყოლია: მზე ახლაც ისევე „ამოდის“ და „ჩადის“, როგორც მაშინ, როცა ასე ეგონათ (შდრ. ინგლ.

⁴⁹ მაგ., მაიას კულტურის „წმინდა კალენდარი“, ცოლკინი, სინქრონიზებული გალაქტიკური კოდით, რომელიც, ფაქტობრივად, აკონტროლებს სიცოცხლისათვის უმნიშვნელოვანეს ყველა სახის ენერგიისა და გამოსხივების რეზონანსულ სიხშირეებს, გრძელდებოდა 5000 წელზე მეტ ხანს – 3113 (ძვ.წ.) წლიდან 2012 წლამდე (ახ.წ.) და განწირული იყო დასრულებისთვის, რამდენადაც მასში კაცობრიობა ცხოვრობდა არასწორად – ერთიანი კანონის გარეშე (მაგრამ ციკლი დასრულდა მშვიდობიანი გადასვლით).

⁵⁰ ადამიანის აღქმაში მსგავსი ცვლილებები, როგორც თანამედროვე ფიზიოლოგიური კვლევებიდან ხდება ცხადი, განპირობებულია კოგნიტიური პერფორმანსის დეფიციტითაც (შიშით, შეშფოთებით და მისთ.), რაც იწვევს ყურადღების კონტროლის მოდუნებასა და შედეგად ზევით/ქვევით ან მაღლა/დაბლა↕ მიმართულებებს შორის განსხვავების შესუსტებასაც (ბარ-ჰაიმი.....2010:255 და შემდ.).

sunrise/ Sunset, რუს. Восход / Заход „ მზის ამოსვლა-ჩასვლა“ და მისთ).

1.2.2. ცალმხრივი მიმართულება. მოძრავი დროის წრფივი ხასიათი გულისხმობს მოძრაობის მიმართულებას ანუ დროის ისარს. თუ სივრცეში წრფივ გადაადგილებას შეიძლება ჰქონდეს ორმხრივი მიმართულება: უკან>წინ/წინ > უკან ($\leftrightarrow$), ან ზევით >ქვევით/ქვევით>ზევით, დროის ისარი გვიჩვენებს მხოლოდ ერთ, შეუქცევად მიმართულებას წარსულიდან მომავლისაკენ, ანუ როგორც პირობითად ითვლება – მარცხნიდან მარჯვნივ ($\rightarrow$).⁵¹

ცალმხრივად მიმართული წრფივი დროის გაგება გამართლებულია როგორც ინდივიდის ცხოვრებისეული, ისე საზოგადოების ისტორიული გამოცდილებით. ყოველივე ამის უკან დგას ჩვენი მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, დავაფიქსიროთ მოვლენათა თანმიმდევრობა, როგორც ანმყოში, ისე წარსულში და განეჭვრიტოთ იგი მომავალშიც. სახელ-

⁵¹ დროის ისრის მარჯვენა მიმართულების მიჩნევა მთლიანად პირობითად არ შეიძლება ჩაითვალოს ადეკვატურად. თუ გავითვალისწინებთ ტვინის ლატერალიზაციის შედეგად ადამიანის მარჯვენა ხელის გააქტიურებასა და ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობაში მის წამყვან როლს. ენობრივ ასახვაში ეს რეალობა ლექსიკურად გამოხატულია მარჯვენა და მარცხენა მხარეების მკვეთრად დაპირისპირებული თვისებებით: თუ მარჯვენა მხარესთან, გამოყენებული განსაზღვრებების მიხედვით, დაკავშირებულია ისეთი თვისებები, როგორიცაა სიკეთე, სამართლიანობა, ჭეშმარიტება, წესრიგი, გამარჯვება და მისთ., მარცხენა მხარე წარმოდგენილია როგორც ყოველგვარი უკეთურების სათავე, რომელიც ვლინდება თვისებებში: მარცხიანობა, უკუღმართობა და მისთ. შდრ. ქართ. მარჯვე, ხელმარჯვე, გამარჯვება, ... / მარცხი, ხელმარცხიანი, დამარცხება, ...; მეგრ. მორძგვი „მარჯვენა“, „წალმა, წალმაპირი“ / კვარჩხი „მარცხენა“, „უკუღმართი“ და მისთ.; რუს. Правый „მარჯვენა“, право „სამართალი“, работа „სამართლე“ / левый „მარცხენა“, „არაკანონიერი“, левак „არაკანონიერად მოშენელი“; ინგლ. Wright „მარჯვენა, სამართლიანი, სწორი“... / Left „მარცხენა: Left handed „მოუხერხებელი, პირფერი, საეჭვო“. მარჯვენა ხელის წამყვანი როლი იკვეთება დამწერლობის სისტემებშიც.

დობრ, ყურადღებას იქცევს ჩვენ გარშემო მუდმივად მიმდინარე და ალქმისთვის ადვილად მისაწვდომი ბუნებრივი თუ ანთროპოგენური პროცესები, რომლებიც იწვევენ შეუქცევად ცვლილებებს: ეს არის ხეებიდან ფოთოლთცვენა, ღრუბლებიდან ნალექების ჩამოსვლა, მთიდან ზეავის ჩამონოლა, სახლის დანგრევა, ჭურჭლის დამსხვრევა, ხანძარი, ორგანიზმებში სასიცოცხლო პროცესების – ზრდის, დაბერების და ა. შ. მიმდინარეობა. მაგრამ არ ხდება ჩამოსული ნალექების უკან დაბრუნება, ფერფლიდან სხეულის, საგნის აღდგენა, ზრდის პროცესის შემობრუნება ემბრიონის მდგომარეობისაკენ და ა. შ. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ადამიანის ენა, რომლის კოდირების სამივე სახე (სამეტყველო, წერიტი, ჟესტური) გვიჩვენებს ერთ უცვლელ თანმიმდევრობას – წინისკენ. ყოველივე ეს ერთმნიშვნელოვნად ქმნის განცდას მოვლენათა მიმდინარეობის დროის შეუქცევადობაზე. და ამდენად მხოლოდ ერთი დროითი ისრის არსებობაზე (კლაინი 2009:18).⁵²

1.2.3. უწყვეტობა. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ერთგანზომილებიანი და ცალმხრივად მიმართული დრო ექვემდებარება სეგმენტებად დანაწევრებას. ეს პრინციპი ეხება ნებისმიერ მეტნაკლები ხანგრძლივობის დროით ერთეულს, მათ შორის ყველაზე დიდ, ენობრივი თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს (და ლინგვისტური დროისათვის სპეციფიკურ) დროით პერიოდებს, როგორიცაა წარსული (ნამყო), ახლანდელი (ანამყო), მომავალი (მყოფადი). ისინი ხასიათდებიან როგორც საკუთარი ლექსიკით,

⁵² დროის სვლის ცალმხრივი მიმართულება (უახლესი მონაცემებით) ივარაუდება ფიზიკურ სამყაროშიც. შემოთავაზებულია სამი სახის შეუქცევადი მიმართულება, დროის ისრები: თერმოდინამიკური (ენტროპიის ზრდა), ფსიქოლოგიური (გვახსოვს წარსული და არა მომავალი), კოსმოლოგიური (მატერიის გაფართოება). მათ მიეწერებათ სხვადასხვა მახასიათებლები, მაგრამ საერთოა ის, რომ ასახავენ დროის ცალმხრივ მიმდინარეობას (ჰოკინგი 2001).

ისე გრამატიკული ნიშნებით, მაგრამ ეს ვითარება ხელს არ უშლის მათი უწყვეტობის განცდას. ეს გასაგებია, რამდენადაც სივრცის მსგავსად ენობრივი დროც დეიქტური კატეგორიაა, მაგრამ ორიენტაციის განსხვავებული პრინციპებითა⁵³ და შესაბამისად განსხვავებული სტრუქტურებით.

იგი წარმოგვიდგება მოლაპარაკე პირის სივრცესთან ერთად: აქ – ახლა – მე (ბიულერი 2000:94). სწორედ ა ხ ლ ა გვევლინება ათვლის წერტილად მის წინმსწრებ – ნამყო და მომდევნო – მყოფად დროთა იდენტიფიკაციისათვის. მაგრამ რა არის ახლა? ისევე როგორც სივრცისათვის მნიშვნელოვანი აქ – პირველი პირის სივრცე – განისაზღვრება მხოლოდ *მოლაპარაკე სუბიექტის* მიერ, მისი შეხედულებისამებრ, სპეციალისტები ერთსულოვანნი არიან იმის აღიარებაშიც, რომ ენობრივი საშუალებებით შეუძლებელია დადგინდეს, სად იწყება და სად მთავრდება ახლა და, მაშასადამე, სად გადის ზღვარი დროით პერიოდებს შორის. რამდენადაც დროულ ზღვარს აწესებს მხოლოდ *მოლაპარაკე სუბიექტი (resp. ენობრივი კოლექტივი)*, დროის უწყვეტ დინებაში ათვლის წერტილიც – ახლა შეიძლება იყოს დროის ნებისმიერი მონაკვეთი, წარმოთქმის მომენტიდან დაწყებული დღეების, თვეების, წლების და ა. შ. ჩათვლით, რომლებთან მიმართებით ყოველთვის იარსებებს შესაბამისი წარსულიცა და მომავალიც. ასე რომ, თუ აღნიშნულ სამ ენობრივ დროდ

⁵³ სივრცისა და დროის ლოკაციებს შორის ერთ-ერთი განსხვავება, ბ. კომრის მიხედვით, ვლინდება სწორედ დროსა და სივრცეში დეიქტურობასთან დაკავშირებით: 1. დეიქტური არა-აქ თუ სივრცეში მოიცავს ყველაფერს, რაც არ შედის მოლაპარაკის სიტუაციაში, ერთგანზომილებიანი დროის არა-ახლა შემოფარგლულია მხოლოდ ანმყოთი გათიშული წარსულითა და მომავლით; 2. განსხვავებულია I და II პირთა პოზიციებიც: თუ I და II პირი – მოლაპარაკე და მსმენელი (თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით) შეიძლება იყვნენ სხვადასხვა სივრცეში, მოლაპარაკე – მსმენელისათვის არსებობს მხოლოდ ერთი ტემპორალური დეიქტური ცენტრი (კომრი 1985:15-16).

დაყოფა ბუნებრივი ჩანს ენებისათვის (ყოველ შემთხვევაში, მათი უმრავლესობისათვის მაინც),⁵⁴ ახლა-ს ენობრივი საზღვრების დადგენა გარკვეულ, თითქმის გადაუღახავ, სირთულეებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული სირთულის ასაცილებლად ახლა-ს ჩვეულებრივ აკავშირებენ ლაპარაკის მომენტთან, რაც არსებითად ახალ სირთულეებს ქმნის. შდრ. მაგ., მეგრ. ასე ვაგინიო? „ახლა არ გითხარი“? ან ასე ქოგინინქ „ახლა გეტყვი“, სადაც ანმყოს აღმნიშვნელი ასე „ახლა“ გამოყენებულია როგორც წარსულ, ისე მომავლის აღმნიშვნელ ზმნებთან. ასევე არაადეკვატური ჩანს მეტი სიზუსტისათვის ახლა-ს დაკავშირება უშუალოდ წარმოთქმის მომენტთან, რასაც, ფაქტობრივად, მივყავართ საერთოდ ანმყოს „გაქრობამდე“. მაგრამ „ობიექტური“ ენობრივი კრიტერიუმების არარსებობის პირობებშიც კი მოლაპარაკემ (და მასთან კომუნიკაციის პროცესში ჩართულმა მსმენელმაც) ი ც ი ს, რა არის ანმყო. ეს ბუნებრივია: ადამიანი ცხოვრობს არა მხოლოდ წარმოთქმის მომენტში, არამედ მუდმივად ანმყოში, რომლის ნებისმიერი მომენტი შეიძლება იყოს „ახლა“. სხვა სიტყვებით, ადამიანს განუყრელად თან სდევს ანმყოს გ ა ნ ც დ ა. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დეიქტური *ორიგოს* (ლათ. *ორიგო* „წარმოშობა,“ „საწ-

⁵⁴ მაგ., კუნძულ ტრობრიანდის (წყნ. ოკეანე) მკვიდრთა ენაში არ არის ტემპორალური კავშირი მოვლენებს შორის: მოქმედება განიხილება არა დროული მიმდევრობის ტერმინებით – წარსული, ანმყო, მომავალი (რომელთა შორის ამ ენაში ენობრივი განსხვავება არ არსებობს), არამედ უფრო მოქმედების მიზეზის ან მოტივაციის ტერმინებით. ტრობრიანდელს შეუძლია აღნიშნოს, რომ მოქმედება შესრულდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს მოხდა წარსულში: ის შეიძლება დასრულდეს ანმყოში, ან აღინიშნოს უდროო ზმნებით. როდესაც ჩვენ ვამბობთ მოვლენაზე, რომ იგი მოხდა „მრავალი წლის წინ“ და შესაბამისად ვიყენებთ ნამყოს ფორმებს, ტრობრიანდელი ამბობს: „ჩემი მამის ბავშვობაში“. როდესაც ჩვენ ვხედავთ დროში განვითარების ხაზს, ტრობრიანდელისათვის ეს არის წერტილი, რომლის ღირებულება განისაზღვრება განმეორებადი მოდელების მსგავსებაში (ლი 1971:81-95).

ყისი“) ცნება (ბიულერი 2000:94; კლაინი 2009:28). კერძოდ, ტემპორალურ მიმართებათა დადგენისას მოლაპარაკისათვის (და მსმენელისთვისაც) ორიგო წარმოგვიდგება როგორც ერთადერთი საშუალება, „გამყოფი წერტილი“, მენტალური ორიენტირი წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის.⁵⁵ სახელდობრ, აწმყო, რომლის კონკრეტული წარმომადგენელიცაა „ახლა“, დროითი მიმართულების გამოხატვის თვალსაზრისით, ნულოვანია, მაგრამ მეხსიერება საშუალებას გვაძლევს, „დავინახოთ“ წარსული, რომელსაც „ახლასთან“ მიმართებით უკავია პოზიცია – უფრო ადრე, წინ. ჩვენ ვიცით ჩვენი წარსული, რომელთანაც ერთად მოვდივართ. მაგრამ ჩვენ ვიცით საერთოდ წარსული, რამდენადაც არსებობს ისტორიული მეხსიერება, საზოგადოების გამოცდილება⁵⁶ და ჩვენი ე ნ ა, რომლებიც ინახავენ წარსულს. ისინი შესაძლებლობას იძლევიან არა მხოლოდ „დავინახოთ“ წარსული, არამედ დავადგინოთ წარსულის მონაკვეთებიც. ეს ხდება როგორც კალენდარული საზომით (*ქრისტიანობა საქართველოში ოფიციალურ რელიგიად ითვლება V საუკუნი*

⁵⁵ ორიგო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ტემპორალურ მიმართებათა ენობრივ კოდირებაში. ამის ნიმუშია დროის გრამატიკული კატეგორია – Tense, რომელიც კლასიკური გაგებით ნებისმიერ დროით მოვლენას ათავსებს დეიქტურ ორიგოსთან (პირობითად – ლაპარაკის მომენტთან) მიმართებით. ასევე არსებობს დროის ორიგოსთან მჭიდროდ დაკავშირებული ზმნისარტები, თუმცა ამ უკანასკნელთა მნიშვნელობა ზუსტად არ ემთხვევა ორიგოს.

⁵⁶ წარსულისაკენ ხედვა დამახასიათებლად არის მიჩნეული ძველი და შუა საუკუნეების კულტურებისათვის. მაგ., ძველი ბერძნები ცნობდნენ დროის ცალმხრივად მიმართულ დინებას – ზურგსუკნიდან მომდინარე წარსულიდან წინ მომავლისაკენ ანუ ცნობილიდან უცნობი უსასრულობისაკენ. ასევე წარსულის მაღალი შეფასება დამახასიათებელი იყო მესოპოტამიის კულტურისათვის, სადაც წარსული მუდამ რჩებოდა მისაბამ მაგალითად. ამიტომაც „ფსიქოლოგიურად ბაბილონელები, ისევე როგორც შუმერები, ორიენტირებული იყვნენ წარსულ დროზე. თუ თანამედროვე ადამიანისათვის „მომავლისკენ ყურება“ ნიშნავს „წინ ყურებას“, შუმერი ან ბაბილონელი წინ ყურებისას ხედავდა წარსულს; მომავალი თავსდებოდა მის ზურგს უკან“ (კლოჩკოვი 1983:29).


დან; დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 1125 წელს), ისე ენობრივადაც. ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, გამოიხატება მორფოლოგიურად – გრამატიკული დროებით და ლექსიკურად – ზმნისართებით. ორივე შემთხვევაში წარსული დგინდება ფარდობითად, რამდენად ახლოს ან შორს თავსდება ის დეიქტურ ორიგოსთან მიმართებით (დანგრ. ქვემოთ).

ანალოგიური სურათია მომავლის შემთხვევაშიც, რომელსაც „ახლასთან“ მიმართებით უკავია პოზიცია – უფრო გვიან, შემდეგ – მეხსიერება, წარსულის გამოცდილება, კოგნიტიურ პროცესებთან ერთად, საფუძველს ქმნის მომავლის „ცოდნისათვის“, მისი პროგნოზირებისა და დაგეგმვისათვის.⁵⁷ დეიქსისა და დროის ზმნისართების საშუალებით შეგვიძლია გამოვხატოთ მომავალიც, განვსაზღვროთ მასში მიმდინარე მოვლენათა თანმიმდევრობაც.⁵⁸

⁵⁷ დროის წინასწარმეტყველებას აქვს მყარი ფიზიოლოგიური საფუძველი. დროითი წინასწარხედვა („იმპლიციტური ტაიმინგი“) დგება მაშინ, როდესაც სენსორული სტიმულებისა და მოტორული რეაქციების რეგულარული ტემპორალური მოდელი აუმჯობესებს, აჩქარებს არატემპორალური ამოცანების გადაწყვეტას (მაგ., გზის უსაფრთხო გადაჭრა ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პირობებში). მაგრამ აღნიშნული ტემპორალური მოდელი არა მხოლოდ ეფექტური სტრატეგიაა წინასწარ განჭვრეტადი შემთხვევებისათვის, არამედ გამოყენებულია ისეთი მოვლენისთვისაც, რომელიც ჯერ არ შემდგარა, მაგრამ იქნება. ეს ტემპორალური მოლოდინი ილუსტრაციაა „რისკის ფუნქციის“ ფენომენისა, ანუ მზარდი ალბათობისა, რომ მოვლენა, რომელიც ჯერ არ არსებულა, მომავალში იარსებებს. ობიექტურად მზარდი ალბათობა (და, მაშასადამე, სუბიექტურად მზარდი განცდა ტემპორალური მოლოდინისა) ემყარება დროის ცალმხრივ მიმართული დინების ანუ დროის ისრის წინასწარ განჭვრეტად ძალას. რამდენადაც დრო განუხრელად მიედინება წინ, მოსალოდნელი მოვლენა, რომელიც ჯერ არ შემდგარა, აუცილებლად შედგება მომავალში. ეს გამოწვეულია არა სენსორული სიგნალებით, არამედ თვით დროის მიმდინარეობით (კოული... 2011:4-5).

⁵⁸ ასეთ განცდას ხელს უწყობს აგრეთვე ადამიანის თვითიდენტიფიკაცია: ადამიანის იდენტურობა (როგორც ეს ერიქსონის ეგოფსიქოლოგიური გამოკვლევებიდან ხდება ცხადი), გარდა პირადი იგივეობისა სივრცეში, გულისხმობს აგრეთვე პიროვნების მიერ იდენტურობის განცდას დროშიც.

დროითი კონტინუუმის გამოსახატავად შეიძლება მივმართოთ ო. იესპერსენის (1958:300) კლასიკურ სქემას, რომელიც სხვადასხვა თვალსაზრისით კრიტიკის საგანი გახდა (კომრი 1985:100; ლაიონზი 1978:322), მაგრამ დროითი პერიოდების საილუსტრაციოდ სავსებით ადეკვატურია:



დროითი მიმართებების ენობრივი სტრუქტურა მეგრულში

2.1. დროის აღსანიშნავად მეგრულში გამოყენებული გრამატიკული და ლექსიკური საშუალებებიდან გრამატიკულთა წილი შედარებით შეზღუდულია. სახელდობრ, ასეთ საშუალებათა კლასიკურ ნიმუშად მიჩნეული Tense – „გრამატიკული დრო, ფაქტობრივად, წარმოდგენილია დეიქტური პრინციპით დადგენილი, გრამატიკულად განსხვავებული დროითი პერიოდებით – აწმყო, წამყო, მყოფადი. მაგრამ თითოეული ამ პერიოდის შემდგომი დაყოფა უფრო მცირე გრამატიკულ-სემანტიკურ მონაკვეთებად, ქართველურ ენათა შემთხვევაში, მწკრივებად (შანიძე 1973:215 და შემდ.) ემყარება არა დროის, არამედ სხვა კატეგორიებს: მოდალობას (სამივე დროით პერიოდში), უნახაობას [თურმეობითები აწმყოს ჯგუფში (როგავა 1953: 17-31)], მოქმედების წყვეტა/უწყვეტელობას (წამყო დროში, აორისტისა და ნ.უწყვეტლის ფორმებში). გამონაკლისს ქმნიან წამყო დროის ე. წ. I და II თურმეობითის ფორმები, რომლებიც, ერთი მხრივ, უპირისპირდებიან აორისტის, როგორც წამყო-წყვეტილის ფორმებს და, მეორე მხრივ, ერთმანეთს, როგორც წამყო დროის ფარგლებში თხრობითი კილოს განსხვავებული დროითი მონაკვეთები: წამყო სრული, პერფექტი და მისგან ნაწარმოები წინა-

რე წარსული, პლუსკვამპერფექტი. შდრ. აორისტი – მიდართუ „წავიდა“, ნამყო სრული, პერფექტი – მიდურთუმუ „წასულა“; წინარე წარსული, პლუსკვამპერფექტი – მიდურთუმუ-დუ „უფრო ადრე წასულა (საკითხის შესახებ იხ. ყიფშიძე 1914:086; მე-ლიქიშვილი 1998:127-142; ქობალავა 2001:127).

დროის აღმნიშვნელი ლექსიკური რეპერტუარი მეგრულში მოიცავს ენობრივ საშუალებათა ფართო სპექტრს: დროის აღმნიშვნელ არსებით და ზედსართავ სახელებს, ნაცვალსახელებს, ზმნებს; სიმრავლითა და სემანტიკური მრავალფეროვნებით განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ ზმნისართები: გვხვდება როგორც მარტივი (ლუმა „წუხელ“, წიი „წელს“...) და წარმოქმნილი (გოლა „გუშინ“, თიმწკუმა „იმ დროს, მაშინ“, ართიშახ „ერთხელ“...), ასევე რთული შედგენილობის ზმნისართული კონსტრუქციები (გოთანა პის „გათენების ჟამს“, აკოსერუა ბორჯის „სალამო ჟამს“ და მისთ.). ამასთანავე, დროის სეგმენტაციისათვის, საკუთრივ დროით ლექსიკასთან ერთად, გამოყენებულია (იდენტური ან შეცვლილი მნიშვნელობით) სივრცულ მიმართებათა გამომხატველი ლექსიკური და გრამატიკული საშუალებებიც (ჩიქობავა 1961:489; კიზირია 1982: 252-272; გაბუნია 1993: 138-129).

2.2. ზოგადად მოძრაობის ანუ, როგორც ის გამოხატულია ენობრივ ასახვაში, დ რ ო ს დ ი ნ ე ბ ი ს აღსანიშნავად გამოყენებული ეპითეტების მიხედვით, დრო ხასიათდება როგორც მუდმივი, უსასრულო და უწყვეტი, კარგი ან ცუდი, რომელიც მიედინება თავისთავად. იგი არ ექვემდებარება გაზომვას და საერთოდ არ გამოხატავს ლოკალიზაციასთან ანუ დროით სეგმენტაციასთან დაკავშირებულ რაიმე ნიშანს. ეს უფრო პოეტური ან ფილოსოფიური დახასიათებაა და ამიტომ კონკრეტული დროითი მონაკვეთებისათვის მიღებული კითხვები – მუჟანს „როდის, რა დროს“, მუსხანს „რა დროში, რამდენ ხანს“, სოიშახ „სანამდე“ და მისთ. მის მიმართ არაადეკვატურია.

ზემოაღნიშნული ზოგადი მნიშვნელობით დროის გამომხატველი სიტყვა წინადადებაში გამოიყენება სახელური ფუნქციით და გადმოსცემს სუბიექტს ან ობიექტს (შესაბამის ბრუნვებში) და არ მონაწილეობს ტემპორალურ მიმართებათა სტრუქტურების შექმნაში. ამ ფუნქციით გვხვდება ზოგადად დროის აღმნიშვნელი სიტყვები: ქართულიდან (ან ქართულის გზით) შედარებით გვიან შესული – დრო/დროება, ხანი/ხანობა, ჟამი და საკუთრივ მეგრულში გავრცელებული ბორჯი.⁵⁹ ისინი (გარდა ჟამისა) გვევლინებიან სინონიმებად და, როგორც ასეთები, ენაცვლებიან ერთმანეთს.⁶⁰ დროის დინების აღსანიშნავად ჩვეულებრივ გამოიყენებულია მოძრაობის აღმნიშვნელი ფინიტური ზმნები: ულა „სვლა, სიარული“, გიშულა „გამოსვლა, გასვლა“, მიკულა „გავლა, ჩავლა“, გეჟუნა „უკან მიყოლა“, გეთხოზინი „უკან მიდევნება“ და მისთ.:

ბორჯი, ირფელი სი გობარუ, ულირ რენ დო მუმალუ, მირსიოლუქ უმუხარცქო, ირო ართინერო მალუ

⁵⁹ ბორჯი „დრო, ჟამი, დროება, ვადა...“ მეგრულში დროის აღმნიშვნელ სიტყვათა შორის ყველაზე გავრცელებულია. ამავე ძირიდან არის ნაწარმოები ბორჯალი „დათქმული დრო, ვადა“ და ზმნა ‘ა’ბორჯება „აბნევა, მხრის ქცევა“. ბორჯალი „პაემნის ჟამი“ დადასტურებულია ძვ. ქართულში (ორბ. 4₁:115). ქართულის დიალექტებში – გურულსა და იმერულში დადასტურებული ბორჯი და ბორჯალი ამკარად მეგრული ნასესხობა ჩანს. რაც შეეხება სვანურში იმავე მნიშვნელობით დაფიქსირებულ ლექსემას – ბორჯ „ვადა“ (ნიჟ. 44), მისთვის უშუალოდ ქართულის გზა არის ნავარაუდები (მ. სალლიანი).

⁶⁰ დრო, ხანი და ჟამი სიტყვების მნიშვნელობები თვით ქართულშიც არ არის მკვეთრად გამიჯნული. ს.-ს. ორბელიანის განმარტებათა მიხედვით, დრო [„ჟამთა კეთილ-ავობისა სახელი... გინა: დრო არს ანუ უდროო და ესევეთარნი“ (ორბ. 4₁:229)] და ხანი („ჟამთ გამოვლანი“ *ibid.* 4₂:413) უპირისპირდებიან ჟამს იმ ნიშნით, რომ მათ არა აქვთ „საზომი“. მათგან განსხვავებით ჟამი თვლადია, იგი დროის ნაწილია („ერთი დღე და ღამე არს ოცდაოთხი ჟამი“ (*ibid.* 4₁:435). აღნიშნულ სიტყვათა სემანტიკისათვის ვრცლად იხ. აბულაძე 1988:154-164; მელიქიშვილი დ. 2009.

– „დროვ, ყველაფერი შენ გაბარია, წარსულია თუ მომავალი, მის-
რიალებ შეუწყვეტლად, მუდამ ერთნაირად მავალი.“ (ქსს I:157);
მიშეს ბორჯეფი, ბორჯეფც გეჟუნდეს – „მიდიოდნენ დროები,
დროებს მიყვებოდნენ“ (ქაჯ. I) დრო დო ხანქ გიშართუ – „დრო
და ხანი გავიდა.“ (ხუბ. 301.12);
მუკირთუ დრო დო ხანქ – „გავიდა დრო და ხანი.“ (ყიფშ. 56.15);
ჯგირი დრო დუუგორუ – „კარგი დრო მოუძებნა.“ (ქაჯ. I:506)...

2.3. განხილული დროითი მონაკვეთებისაგან განსხვავებით, კონკრეტულად ითვლება დრო, როდესაც შესაძლებელი ხდება ენაში მისი იდენტიფიკაცია როგორც *დროითი ერთეულისა*, ე. ი. განისაზღვრება ლინგვისტური დროისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.⁶¹

დროითი ერთეულებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნების დადგენა, ბუნებრივია, სირთულეებთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთ მათგანზე, კერძოდ, ადეკვატურად გაანალიზებული მასალის სიმცირეზე, ყურადღებას ამახვილებს ვ. კლაინი და გვთავაზობს მხოლოდ კარგად შესწავლილ ენათა (ბერძნულის, ლათინურის, ინგლისურის) ანალიზის საფუძველზე დადგენილ აუცილებელ ნიშნებს, როგორიცაა: A. სეგმენტურობა, B. ინკლუზია, C. მიმდევრობა, D. ხანგრძლივობა, E. ორიგო, F. პროქსიმალურობა, G. კვალიტატიური თვისებების არქონა (კლაინი 1994: 61-62; 2009:27-28). დასახელებული ნიშნები, მართალია, თვით ავტორისავე განცხადებით, არ შეიძლება ჩაითვალოს უნივერსალურად, მაგრამ ის სრული ინფორმაცია, რო-

⁶¹ დროის ამგვარი გაგება ახლოსაა ნიუტონის „რელატიურ, „ყოველდღიურ“ დროსთან, როდესაც ეს უკანასკნელი „აბსოლუტური, ქვემარტივი და მათემატიკური“ დროისაგან განსხვავებით განიხილება როგორც „რელატიური“ და „ყოველდღიური“, რომელიც არის „რამდენადმე სენსორული და გარეგანი (ზუსტი ან არამდგრადი) განსაზღვრა დიურაციისა მოძრაობის მეშვეობით და ის ჩვეულებრივ გამოიყენება ქვემარტივი დროის ნაცვლად; ასეთებია საათი, დღე, თვე, წელი“ (კლაინი 2009:9-10).

მელსაც იგი გვანჯდის აღნიშნულ ენათა მონაცემებზე დამყარებით, სერიოზული დასაყრდენია შედარებითი კვლევისათვის.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ სემანტიკურობას – დროითი კონტინუუმის დანაწევრების ანუ ტემპორალური ერთეულების დადგენის შესაძლებლობას, რომელიც უნივერსალური თვისებაა დროითი ერთეულებისათვის, მეგრულისათვის (*resp.* ქართველური ენებისათვის) ძირითად ნიშნებად შეიძლება ჩაითვალოს: მიმდევრობა (პოზიციურობა), ხანგრძლივობა, სიხშირე, დინების ტემპი. აღნიშნული თვისებები ენობრივად გამოხატულია ზმნისართებით.

2.3.1. იმ ფუნქციების მიხედვით, რომელსაც ზმნისართები ასრულებენ დროითი მონაკვეთების აღნიშვნაში, პირველ ყოვლისა, შეიძლება განვასხვაოთ ორი ჯგუფი:

1. ზმნისართები, რომლებიც საერთოა სამივე დროითი პერიოდისათვის;
2. ზმნისართები, რომლებიც სპეციფიკურია რომელიმე ერთი პერიოდისათვის.

კონკრეტული დროის გამოხატვის თვალსაზრისით, განსხვავებას ავლენენ დროითი მონაკვეთებიც. გარჩეულია აგრეთვე ორი ჯგუფი:

ა. პირველ ჯგუფში ერთიანდებიან დროის მონაკვეთები, რომლებიც კონკრეტულ დროს გამოხატავენ სხვა დროითი მონაკვეთებისაგან დამოუკიდებლად, მარტივი წინადადების ფარგლებში და, ამასთანავე, შეიძლება განისაზღვრონ მიმდინარეობის პროცესისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.

ბ. მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან დროითი მონაკვეთები, რომელთა დადგენა ხდება მხოლოდ სხვა დროით მონაკვეთებთან მიმართებით. აღნიშნული მიმართებები ქმნიან დროის ღერძს, აგებენ დროით სტრუქტურებს.

2.3.2. დამოუკიდებელი დროის აღსანიშნავად კითხვაზე მუჟანს? „როდის, რა დროს“ გამოყენებულია პირველ (არასპე-

ციფიკურ) ჯგუფში შემავალი ზმნისართები. აქ ერთიანდებიან საკუთრივ დროის ზმნისართები (ამდღა „დღეს“, ჭუმე „ხვალ“, ნიი „წელს“...) ან დროის გამომხატველი სიტყვები (ბორჯი, ზარ- ხული და მისთ.) ზმნისართული ფუნქციით. ამ უკანასკნელებს დროის განმსაზღვრელად ერთიან ჩვენებითი ნაცვალსახელები – ‘ა’თე „ამ“, ‘ე’თი, თიმ „იმ“.⁶² მათი საშუალებით გამოიხატება კონკრეტული დრო, რომელშიც ადგილი აქვს/ქონდა/ექნება ნე- ბისმიერ მოქმედებას: თე/თი/ თიმ დროს, ბორჯის, ხანობას, ჟამს „ამ/იმ დროს“, თე/თი მარას „ამ/იმ კვირას“, თე/თი/თიმ დღას „ამ/იმ დღეს... :

ნანა თე ბორჯის საბატონ დღას ... კარც გუვონჯანქ – „გაისად ამ დროს შაბათ დღეს ... კარს გავაღებ.“ (ყიფ. 76.31-32); მითი ლურაშა რინას ისხუნუანს, ათაქ იჟიი ნანა თე ჟამიშავა – „ვინც სიკ- ვდილს ამჯობინებს, აქ იქნება გაისად ამ დროისათვისო.“ (ყიფ- შიძე იქვე); ხათე ოკო ბზირათ თიმ დღაში დასაბაღ ფარა – „მა- შინვე უნდა შევაგროვოთ იმ დღის სამყოფი ფული.“ (ქხს. 11.185); ი ბორც თე როკითი სქვამი ჭყონი რდუ – „იმ დროს ეს გამხმარი ტოტიც ლამაზი მუხა იყო.“ (ქაჯ. I:254); ათე შვანს გერქ მოლარ- თუ – „ამ დროს მგელი ნამოვიდა.“ (ხუბ. 10.7).

...თი ზოთონს დიდი თირობა ცოფე – „იმ ზამთარს დიდი თოვლო- ბა ყოფილა.“ (საუბ.).

ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით მოქმედების დროის აღსანიშნავად გამოყენებულია აგრეთვე დროის რომელიმე კონ- კრეტული მონაკვეთის (დილა, საღამო...) ან დროსთან დაკავში- რებული რაიმე რეგულარული ხასიათის – სადილობა, ვახშმობა

⁶² აღნიშნული ნაცვალსახელები თანაბრად გამოიყენებიან როგორც სივრ- ცულ, ისე დროით კონსტრუქციებში, გარდა თიმ ფორმისა, რომელიც მხო- ლოდ დროის აღმნიშვნელ სახელებთან ჩნდება. ი. ყიფშიძის მიხედვით, თიმ ფუძე შეიძლება განვიხილოთ როგორც თი ნაცვალსახელის ირიბი ბრუნვის ფორმა (შდრ. ქართ. ის – იმ) (ყიფშიძე 1914:43).

და მისთ. (ან საერთოდ ქმედების) აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც საკუთრივ დროის გამომხატველ სიტყვებთან – ბორჯი, შედარებით იშვიათად – დრო, ჟამი, ხანი/ხანობა წარმოქმნიან არამეტრიკულ დროით მონაკვეთებს: გოთანა ბორჯი „გათენების დრო, გამთენია“, ონდლე ბორჯი „შუადლე“, ონჯუა ბორჯი „სალამო ხანი“, აკოსერუა ბორჯი „დაღამების დრო“, ოსორშობა ბორჯი „ვახშმობის დრო, წირუა ჟამი „წირვის დრო“ და ა.შ.:

...ონჯუა ბორჯის ართი ჯიმა ქუმოურსუ „სალამო ხანს ერთი ძმა მოდის.“ (ქხს. 11.170); ‘თექი’ ონჯუა დროც კაკურეზი დემი მოურც. „იქ სალამო ხანს გადაბერებული დევი მოდის.“ (ქხს. 11.172); გოტება ბორჯის ჭკვერი კოჩქ ბოში ქიმიიჭანუ დო ათაშ დოზოკულუ „გაშვების დროს ჭკვიანმა კაცმა ვაჟი დაიბარა და ასე დაარიგა.“ (ცაგ. 3); ‘ქოთომიშ სახე’ შქასერ ბორჯის ქიმუჯღონუ აჯიაქ თი ახალგაზრდას „ქათმის სახე’ შუაღამის დროს გაუგზავნა აჯიამ იმ ახალგაზრდას.“ (ხუბ. 220.2)...

კონკრეტული დროის დაზუსტებას ემსახურება აგრეთვე რიგობითი რიცხვითი სახელები: მაჟირა მარა „მეორე კვირა“, მასუმა თუთა „მესამე თვე, მაჩხორა დლა „მეცხრე დლე“ და ა.შ.:

მასუმა სერსით ქუმუჟონუ მასუმა ცხენი „მესამე ღამესაც მოუყვანა მესამე ცხენი.“ (ცაგ. 56); მაჟირა ოჭუმარეს ბოშიქ შვიდობა დუჩინუ ‘ოსურს’. „მეორე დილას ვაჟმა მშვიდობა დაუბარა ‘ქალს’.“ (ხუბ. 1.7-8); მაჩხორა დლას ქიმერთეს თუნთიშა – „მეცხრე დლეს მივიდნენ დათვთან.“ (ხუბ. 10.29).

აღნიშნული მონაკვეთები შეიძლება განისაზღვრონ აგრეთვე დროის დამახასიათებელი ნიშნებიდან (იხ. ზემოთ) – ხანგრძლივობით, შეხვედრის (გამეორების) სიხშირით, მიმდინარეობის ტემპით.

ა) დროითი მონაკვეთების ხანგრძლივობის გამოსახატავად დროის აღმნიშვნელ სიტყვებს – დრო, ხანი დაერთვის სიდი-

დე/სიმცირის აღმნიშვნელი ვითარებითი ზედსართავები ან განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები. შესაბამისად გვაქვს: დი-დი დრო//ხანი, ჭიჭე დრო//ხანი „მცირე დრო“, „ცოტა ხანი“, კუნტა ხანი „ცოტა (მოკლე) ხანი“, ბრელი ხანი „საკმაო ხანი“, ართი ხანი//ართ ხანობას „რალაც ხანი//რალაც დროს“ და ა. შ.:

ჭე ხანქ მუკიილუ. „ცოტა ხანმა გაიარა.“ (ყიფუ 57.1); ართი ორ-დოს ოზეს გინილუ. „ერთ დილას ეზოდან გავიდა.“ (ყიფ. 23); ბრელ ხანიშ გოლოფას დიდი ტაროზუბადობა მოჸუნსია. „დიდი ხნის გვალვას დიდი ავდარი მოჰყვებაო.“ (ხალხ. სიბრძნე I).

თვლადი (მეტრიკული) დროითი მონაკვეთები წანა „წელი“, მარა/მარუა „კვირა“, დლა „დღე“ განისაზღვრებიან რაოდენობითი რიცხვითი სახელებით: სუმი თუთა „სამი თვე“, ხუთი წანა „ხუთი წელი და ა.შ. :

გიშელუ ართი წანაქ „გავიდა ერთი წელი.“ (ხუბ. 219.17); იდუ სუმ წანას დო სუმ თუთას დო ქიმერთუ „იარა სამი წელი და სამი თვე და მივიდა.“ (ყიფ. 100).

ბ) დროის მონაკვეთების გამოჩენის სიხშირე აღინიშნება ზმნისართებით, რომლებიც გამოხატავენ გზისობის განსხვავებულ ინტენსივობას: ირო//ირიათო, დლამუშის, ოსოგ’ი’ თე//ოსოქთე//ოსოკოთე – „დღენიადაგ, მუდამ, სულ, ყოველთვის“:

ქიანა ირო მითინს ვეგესქილადუნია. „ქვეყანა მუდამ არავის შერჩენიაო.“ (ანდაზა); ჭურა ირო წყარს ვემილანს. „კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს.“ (ყიფ. 178); ანი ოსოკოთე რაგადუე, კოჩი ვადაიჯერს. „ანი სულ რომ ილაპარაკო, არავინ დაგიჯერებს.“ (საუბ.)...

რაც შეეხება ჯერობის ზუსტი რაოდენობის გამოხატვას თვლად დროით ერთეულებთან, გამოყენებულია რთული ბოლოსართი -შა’ხ’ (მიმართულებითი ბრ. შა+ხ თანდებული), რომელიც სივრცესა და დროში გამოიყენება ქართული -მდე თანდე-

ბულის მნიშვნელობით (კიზირია 1982:256; გაბუნია 1993:50): შდრ. *სუდეშა*-'ხ' *სახლამდე*“, მაგრამ *გოთანაშა*-'ხ' *„გათენებამდე“*, *აკოსერუშა*-'ხ' *„დაღამებამდე“*, *ჟაშხაშა*-'ხ' *კვირამდე* და ა.შ.

თვლად დროით მონაკვეთებთან იგივე მანარმოებელი გამოყენებულია ჯერობის გამოსახატავად: *აკაშა*-'ხ'//*ართიშა*-'ხ' *„ერთხელ“*, *ჟირშა*ხ *„ორჯერ“*, *ოშიშა*ხ *„ასჯერ“*, *ათას'იშა*ხ *„ათასჯერ“*...; *კალკალეშა*-'ხ' *„ზოგჯერ, ხანდახან; ბრელშა*-'ხ' *„ბევრჯერ, მრავალჯერ“*. სემანტიკურად ამავე ჯგუფში ერთიანდება აგრეთვე მოქმედების განმეორებადობის აღმნიშვნელი ზმნისართები კინი და ხოლო (ერთ-ერთი მნიშვნელობით) *„კიდევ, ისევ, კვლავ“*:

აკაშახ ვარა ქოგიკითხირუნო მუჭო რექიავა. „ერთხელ მაინც გიკითხავს როგორ ხარო?“. (საუბრ.); კოჩი ართშახ დებადებუ დო ართშახ ღურუნია. „კაცი ერთხელ დაიბადება და ერთხელ მოკვდებაო.“ (ხალხ. სიბრძნე 70); კალკალეშა ქოგამინუ პატო-ჭყორალაში ხანა. „ზოგჯერ ახსენდება ბატონყმობის დრო.“ (ქსს 1:36) ბრელშახ ვოპექ გაჭირებას, მარა მითინიშა ვეგემბრალებუ „ბევრჯერ ვყოფილვარ გასაჭირში, მაგრამ სხვისთვის არ დამიბრალებია.“ (საუბ.); ოდირთუ კონი სოდე დინორთუნი თექინეშის „ვაჟი“ ისევ დაბრუნდა იქ, სადაც ჩავიდა.“ (ხუბ. 3.26); გედირთუ ბოშიქ დო კინი ულა მინდომუ... „ადგა ვაჟი და კვლავ წასვლა მოინდომა“... (ყიფ. 30.22); ქიმერთუ ზღვაშა, მარა მიდართუ, ... კინი ქომორთუ თაქ, კინი მიდართუ, კინი ქომორთუ „მივიდა ზღვასთან, მაგრამ წავიდა, ... ისევ მივიდა, ისევ წავიდა, ისევ მოვიდა.“ (ხუბ. 108.4-5); მაჟირა დღას ოკოდუ ხოლო გამორსუკო დიდა „მეორე დღეს უნდოდა კვლავ გამოეცადა დედა.“ (ქსს. II.44).

დროში მოქმედების გზისობის საპირისპიროდ, აღინიშნება სიტუაციებიც, როდესაც გარკვეული ქმედება 1. *ჯერ* არ მომხდარა, მაგრამ მოლოდინი არის ან 2. *არასოდეს* მოხდება. პირველი შემთხვევა აღნიშნულია ზმნისართით დიო და დინამიკურ

ზმნებთან, ჩვეულებრივ, გამოხატულია უარყოფითი ფორმები.⁶³ უარყოფითი მნიშვნელობა „არასოდეს“ გამოხატულია ზმნისართით დღას „დღეს“ ზმნის უარყოფით და კითხვით ფორმებთან:

დიო დიდაში ბუა ვაგოსქირაფუნია „ჯერ დედის რძე არ შეშრობია.“ (ხალხ. სიბრძნე I:39); მორაგადე დოღურუ, ნარაგადუ დღას ვალურუ „მთქმელი მოკვდება, ნათქვამი არასოდეს მოკვდება.“ (ყიფ. 180.118); დღას მის გუგონებუ მარგალიმ (ყაზახიშ) სამართალი, კამბეშიშ კამანწყარი „აბა ვის გაუგონია მეგრელის (გლეხის) სამართალი და კამეჩის ხორცის წვენი.“ (ხალხ. სიბრძნე I:41).

გ) დროის მიმდინარეობის ტემპი შეიძლება იყოს ჩქარი ან ნელი. უმეტესად გამოყენებულია ზმნისარტები: ჩქარას „ჩქარა“, ნერას/ნერათ „ნელა, მდორედ“ (შდრ. ნერი „მდორე წყალი“), წყნარას//წყინარას „ნელა, წყნარად“, ვალიშ მამალას „ელვის სისწრაფით“.⁶⁴

2.4. მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან დროითი მონაკვეთები, რომელთა დადგენა ხდება მხოლოდ სხვა დროით მონაკვეთებთან მიმართებით. ეს უკანასკნელები გამოხატულია როგორც დროის ზმნისარტებით, ისე დეიქტური და არადეიქტური, ანაფორული მიმართებებით.⁶⁵

⁶³ ზმნისართი დიო „ჯერ“ კომბინაციაში დროის აღმნიშვნელ ზმნისართთან „უკული“ შემდეგ გამოხატავს მოქმედებათა თანმიმდევრობას: დიო სი ეშელი დო უკული მა გიშა მიცონია – „ჯერ შენ ადი და მერე მე ამიყვანეო“ (ხუბ. 13).

⁶⁴ მიმართებითი დროის გამოხატვასთან სემანტიკურად ახლოს დგას აგრეთვე ზმნისართი ხათე. იგი აღნიშნავს დროს, რომელშიც სრულდება რაიმე მოქმედების მომდევნო (მასზე დამოკიდებული) მყისიერი ქმედება: ენა ბოშიქ ქიგეგონუნი, ხათე ... ეშელუ – „ეს რომ ვაჟმა გაიგონა, მამინვე ავიდა“ (ყიფ. 38.14); ნდიქ მიკორააფა დო ვიშო ეკირთუ ხათე ხოლო – „დევი მიკარებისთანავე უმალ წაიქცა“ (ხუბ. 5.4). აღნიშნული მნიშვნელობით გამოიყენება ზმნისართი მალას: მუჭოთ ქეგეგუ, მალას მიდართუ – „როგორც კი გაიგო, მალე (უმალ) წავიდა“.

⁶⁵ ანაფორული რელატუმი ემყარება არა დეიქტურ ცენტრს, არამედ ანაფორულს. ანაფორულია რელატუმი, ანუ ნებისმიერი დროითი მონაკვეთი,

იმ მონაცემთა საფუძველზე, რომელსაც გვანჯდის კონკრეტული საანალიზო მასალა, დრო მეგრულში (*resp.* ქართველურ ენებში) შეიძლება დახასიათდეს საერთოდ ენობრივ ასახვაში მიღებული ნიშნების მიხედვით, როგორც *ერთგანზომილებიანი*,⁶⁶ *ცალმხრივად მიმართული*, *უწყვეტი თანმიმდევრობა*. მოცემული ანალიზი ამ ნიშანთა გათვალისწინებით არის წარმოდგენილი.

2.4.1. ერთგანზომილებიანობა. დროით მონაკვეთთა თანმიმდევრობაში დროითი მიმართება უმოს ადრე/უმოს გვიანო „უფრო ადრე/უფრო გვიან“ გვხვდება ნამყოსა და მყოფადში. რაც შეეხება თანადროულობას, იგი ვლინდება ყველა დროით პერიოდში, მაგრამ ანმყოში, მისი სემანტიკიდან გამომდინარე, ერთადერთია.

1) თანადროულობა, როგორც ტემპორალური მიმართების ფორმა, გამოსატყვის მოვლენათა მიმდინარეობას ერთსა და იმავე დროში, თუმცა ამ დროის საზღვრების ზუსტად დადგენა საკმაოდ რთულია: იგი მოიცავს განსხვავებულ სიტუაციებს, რომლებშიც ერთი და იმავე საშუალებებით აღინიშნება როგორც დროითი ინტერვალების სრული (I) ან ნაწილობრივი (II) დამთხვევა, ისე სიტუაციებს, როდესაც ინტერვალები, ფაქტობრივად, არ ემთხვევიან ერთმანეთს, თუმცა მოიაზრებიან ერთ დროით სივრცეში (III).⁶⁷

თანადროულობა მეგრულში გამოხატულია გრამატიკულად, ძირითადად სინტაქსურად. შეიძლება ვილაპარაკოთ მორფოლოგიურ გამოხატვაზეც.⁶⁸

რომელთან მიმართებითაც განისაზღვრება სხვა დროითი მონაკვეთები (კლაინი 2009:34-35).

⁶⁶ დროის ერთგანზომილებიანობისათვის მეგრულში იხ. აგრეთვე გაბუნია 1993:135.

⁶⁷ საკითხზე სპეციალური მსჯელობა ივარაუდება ცალკე. აქ მხოლოდ დასახელებულია რამდენიმე ტიპური შემთხვევა.

⁶⁸ იგულისხმება ანმყოსა და მყოფადში გამოყენებული აღწერითი ფორმები – ანმყოს კავშირებითი + იყუაფყ//იყიი „იქნება“ წარმოება, რომელსაც ყიფშიძე თვლიდა „ანმყო-მყოფადის“ ფორმებად (ყიფშიძე 1914:059). უფ-

სინტაქსურად თანადროულობა რეალიზდება რთულ ქვენყო-
ბილ წინადადებაში, სადაც მთავარ წინადადებაში გამომხატული
მოქმედების დრო, კითხვებზე მუჟანს, მუ დროს//მუდოს, მუ
ბორჯის „როდის?, სოიმა‘ხ’ „სანამდე“, მუჟანიშახ, სონდარო „რა
დრომდე“, მუჟან‘ი‘შე „რა დროიდან“ და ა.შ., ზუსტდება დაქვემ-
დებარებულ წინადადებაში შესაბამისი მიმართებითი ზმნისარ-
თებით: მუჟანსით „როდესაც“, თეიშახ „მანამდე“ და ა.შ. (დანვრ.
იხ. კიზირია 1982:252-272; ლომია 2005:66-89). დროის დაზუსტე-
ბის ფუნქციით გამოყენებულია აგრეთვე თე/- თი/თიმ ჩვენები-
თი ნაცვალსახელები, რომელთაც ერთვის სივრცეში თანაობის
აღმნიშვნელი თანდებული ნკუმა//წკელა//წკალა „თან“. ⁶⁹ წარ-
მოქმნილი ზმნისართები ‘ა’თე-ნკუმა, ‘ე’თი-ნკუმა, თიმ-ნკუ-
მა/კელა/წკალა წევრ-კავშირის ფუნქციით გვხვდებიან მთავარ
წინადადებებში და გამოხატავენ ფარდობით დროს, რომელიც
თანადროულია დაქვემდებარებულ წინადადებაში აღნიშნული
მოქმედების დროისა. ამგვარად გვაქვს:

- (I) მუჟანსითი ირი კოც რხინი ულუდუნი, ხენნიფექ ზოჯუ
მხიარულება – „როცა ყველას ლხინი ჰქონდა, ხელმნიფემ
მხიარულება ბრძანა.“ (ქსს. II, 308.31-32); მუ დროს სი ვა-
გორწყეკინი, მისხუნ რინაშა დინაფა მისხუნუ – „როდესაც
(რა დროსაც) შენ ვერ გხედავ, ყოფნას მირჩენია დაკარ-
გვა.“ (ხუბ. 329.10); სონდარო თენენს ჟირხოლოს ვაბძი-
რუნქუნი, სი შური გადგვენუნია დო მა მითინც ოსურო ვა-

რო გვიან აღნიშნული ფორმები მიჩნეულ იქნა მყოფადი უსრულის ფორმე-
ბად (მარგველაშვილი 1980:164, ჭუმბურიძე 1986:138). აღნიშნული წარმო-
ება ანმყოში გამოყენებულია მოქმედების თანადროულობის აღსანიშნა-
ვად: ასე თინა მიშას იცუაფუ – „ახლა ის მიდიოდეს იქნება“; თინეფი ასე
ოსორშოს მიკუხედან იცუაფუ – „ისინი ახლა ვახშამს უსხედან იქნება“
(შდრ. ქართ. ახლა ისინი შუა ვახშმობაში იქნებიან).

⁶⁹ აღნიშნული თანდებულებისათვის ამოსავლად მიჩნეულია კუმა/კე-
ლა/კალა ფორმები, რომლებმაც ნათესაობითი ბრუნვის შ ელემენტთან
კომბინაციით მოგვცა 6. (კიზირია 1982:242).

ვაჟუნუქია – „სანამ ამათ ორივეს არ ვნახავ, შენ ცოცხალი იქნები და მე არავის ცოლად არ გავყვებიო.“ (ქსს. II: 174.15); ათე კოჩი ლურელი დუნი, თინკუმა გიასიზმარუ მუდგაქირენი – „ეს კაცი მკვდარი რომ იყო, მაშინ დაესიზმრა რაღაც...“ (ხუბ. 169.28)...

(II) მა ჭვანას ფხაჩქუნდი, მუდოსით ოსურქ ქომმაკითხუ დო მი-
ნუ... – „მე ყანას ვთოხნიდი, როდესაც ცოლმა მომაკითხა
და მითხრა.“ (საუბ.);

(III) ოსურქ კითხუ, მუჟანსით კოჩქ გაათუ რაგადინი – „ქალმა
ჰკითხა, როცა კაცმა გაათავა ლაპარაკი.“ (ხუბ. 17.11);
ნამუ შეანს გვერშაპი დოჟვილე-ლესუნი, ე ძღაბიქ გეხარუ
– „როცა გველეშაპი მოკლეს, ამ გოგომ გაიხარა.“ (ქსს. II,
102. 33-34);

მუ ბორჯის ქუმნომსხაპანქიე, ეფერი-ეფერი მართახი ქე-
გიმაშქვია, ნამდა ართი შორტი ტყეები ართი ჟურე გემონ-
წყია – „როცა / დამახტებო, მათრახი ისე („ისეთ-ისეთი“)
დამარტყიო, რომ ერთი შოლტი ტყავი ერთ მხარეზე ამ-
ძვრესო.“ (ქსს:II, 54, 23);

შემოსავალს ქიმილანსინ, თინკუმა მაჩქვენუ მუ რე – „შე-
მოსავალს რომ მოიტანს, მაშინ მეცოდინება რა არის.“; კი-
ბოს მუჟამს დოჭუნანი, ფერი თინკუმა მალენია – „კიბოს
რომ შეწვავენ, ფერი მაშინ მოუვაო.“ (ხალხ. სიბრძ. 67)

აღნიშნული მიმართებები (ისევე როგორც მათი სივრცული
კორელატები) მოქმედებენ ენის ყველა დონეზე და ვლინდებიან
ნებისმიერ მიმდევრობებში, დაწყებული უმარტივესი ფონემური
კომბინაციებიდან, დამთავრებული გრამატიკულ დროთა მიხედ-
ვით განსხვავებული ხანგრძლივობის მონაკვეთებით. მაგრამ არ-
სებითია, რომ ყველა შემთხვევაში ისინი გამოხატავენ მხოლოდ
დროის ერთ ისარს – ჰორიზონტალურ მიმართულებას.

2.4.2. ცალმხრივი მიმართულება. ზემოთ (1.2.2.) აღნიშნული
იყო, რომ დროის მიმდინარეობა, როგორც პროცესი, გულის-
ხმობს დროის ისარს – მოძრაობის ცალმხრივ მიმართულებას,

რომელიც ენობრივ ასახვაში გამოიხატება მიმდევრობით ნოხო-
ლე/უკახალე „ნინ/უკან“. სივრცეში აღნიშნული მიმდევრობა
გულისხმობს პოზიციებს, რომლის მიხედვით ყოველი მონაკვე-
თი შეიძლება უკან მიჰყვებოდეს რომელიმე მონაკვეთს და იმავე-
დროულად წინ უსწრებდეს რომელიმე სხვა მონაკვეთს. აღნიშ-
ნული თანმიმდევრობა ენობრივად გამოხატულია ჰორიზონტა-
ლური მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნისწინებით – ენო წინსწრე-
ბა, ეკო უკან მიყოლა:⁷⁰

ენოღუნს/ეკოღუნს – „წინ მიუძღვის/უკან მიჰყვება (ანმყო)

ქენაღუნუ / ქ'ეკაღუნუ – „წინ გაუძღვა/უკან გაჰყვა (აორისტი)

ქენაღუნუუ/ქეკაღუნუუ – „წინ გაუძღვება/უკან გაჰყვება (მყო-
ფადი)

თუ ამ მოძრაობას განვიხილავთ დეიქტურ სივრცეში, მაშინ იგი
შეიძლება წარმოვადგინოთ ორ ეტაპად – 1. უკანა სივრციდან
აშო „აქეთ“ დეიქტური ცენტრისაკენ (მე-სკენ) და 2. ამ ცენტრი-
დან (მე-სგან) საპირირისპირო მიმართულებით – ‘ვ’იშო „იქით,
წინ, წინისკენ“.

პირველ მიმდევრობაში, მე-ს პოზიციიდან, ყოველი სეგმენ-
ტი, რომელიც სივრცეში მოსდევს სხვა სეგმენტს, ვიზუალურად
განისაზღვრება როგორც უკახალენი „უკანა“ და მისი ადგილიც
შესაბამისად აღინიშნება ზმნისართით – უკახალე „უკან“, ე. ი.
დეიქტური ორიგოდან „უფრო შორს“. პირიქით, სეგმენტი, რო-
მელიც წინ მოუძღვის მეორე სეგმენტს, განისაზღვრება რო-
გორც ნოხოლენი „წინა“ და მისი ადგილიც შესაბამისად აღინიშ-
ნება ზმნისართით ნოხოლე „წინ“, ე. ი. ცენტრთან „უფრო ახ-
ლოს“. მეორე შემთხვევაში (‘ვ’იშო) სივრცული მიმართება წინ-
უკან უცვლელად არის შენარჩუნებული, მაგრამ შეცვლილია
დამკვირვებლის პოზიციიდან სიშორე-სიახლოვის შეფასება: ის
მონაკვეთი, რომელიც არის უკან, ე.ი. უკახალენი „უკანა“ უფრო

⁷⁰ ეკო- ზმნისწინი ვერტიკალურ სივრცეში გამოხატავს მოძრაობას ქვევი-
დან ზევით დამრეც სიბრტყეზე, მაგ., აღმართზე (შდრ. ანტონიმი დიკო-).

ახლოსაა მასთან, ვიდრე წინა „ნოხოლენი“, რომელიც ცენტრიდან უფრო შორს თავსდება. (შდრ. მო-ურს აშო „მოდის აქეთ, დეიქტური ცენტრისაკენ“ / მე-ურს ‘ვ’იშო „მიდის იქით, ცენტრიდან“).

ეს ვითარება გამოსახულია წარმოდგენილი სქემით, სადაც ისრებით გამოხატულ მიმართულებაში ვიზუალურად განსხვავებული წინა (უფრო დიდი ფიგურები) და უკანა (უფრო პატარა ფიგურები) გამოხატავენ სივრცითი მონაკვეთის პოზიციას დეიქტური ორიგოს მიმართ:

(წარსული) > > > > > > აწმყო > > > > > (მომავალი)

შებრუნებული სურათია წარმოდგენილი დროით სივრცეში. აღნიშნული მიმართებები, ორიენტირებულები აწმყოზე, როგორც დეიქტურ ორიგოზე, შესაბამისად ემყარებიან კონცეპტებს უმოს ადრე „უფრო ადრე“ / უმოს გვიანო „უფრო გვიან“, „შემდეგ“. თანმიმდევრობის თვალსაზრისით, ეს არის პოზიცია ნოხოლე- /უკახალე „წინ/უკან“. მაგრამ დამკვირვებლისათვის აშო „აქეთ“ მიმართულების დროს პოზიცია უფრო ადრე, ე. ი. ნოხოლე „წინ“ მოთავსებულია მისგან უფრო შორს, ხოლო უფრო ახლოს მყოფი მოვლენების პოზიცია უმოს გვიანო განისაზღვრება როგორც უფრო ახლოს. ანალოგიური სიტუაციაა დამკვირვებლისაგან ვიშო „იქით“ მიმართულების შემთხვევაშიც, როდესაც დროითი მონაკვეთების პოზიცია უმოს ადრე ანუ ნოხოლე „წინ“ განისაზღვრება როგორც უფრო შორს, ხოლო უკახალე – როგორც უფრო ახლოს (შდრ. კვირა დღის პოზიციიდან განხილული პარასკევი, რომელიც დროით მიმდევრობაში უფრო ადრეა, ვიდრე შაბათი, მოთავსებულია უფრო შორს, ხოლო შაბათი, დროით მიმდევრობაში უფრო შორეული, უფრო ახლოს). შესაბამისად, სქემა ასეთ სახეს იღებს:

(წარსული) > > > > > აწმყო > > > > > (მომავალი)

2.5. უწყვეტობა. ზემოთ განხილული იყო დროითი მიმართებების ხასიათი ცალკეული პერიოდების მიხედვით. მაგრამ როცა ლაპარაკია დროის უწყვეტობაზე, პირველ ყოვლისა, ეს ეხება ძირითადი დროითი პერიოდების – წარსული, აწმყო, მომავალი – მთლიანობას, ანუ დროის დინების უწყვეტობას. ეს არის დეიქტური პრინციპით აგებული სივრცე დეიქტური ცენტრით ასე „ახლა“.⁷¹

აღნიშნულ მიმდევრობაში ათვლა იწყება მოლაპარაკე პირისათვის ანუ აწმყოს დროული ვითარებით, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება წარსული – დრო, რომელიც წინ უსწრებდა „ასე“-ს და მომავალი – დრო, რომელიც მოსდევს „ასე“-ს. ასე შე-

⁷¹ აღნიშნული დროითი თანმიმდევრობა მეტყველებაში ირღვევა, როდესაც აწმყოს ფორმა იცლება დროითი შინაარსისაგან და შეიძლება უდროო ფორმად მოგვევლინოს. იგულისხმება „ისტორიული აწმყოს“ (vivid narration) შემთხვევები. ა. შანიძე აწმყოს ჩარჩოებიდან გასვლის რამდენიმე გზას განიხილავს (1973:203-204), რომელთა მიხედვით მეგრულში ასეთი ვითარება წარმოგვიდგება:

ა) მეგრულში აღნიშნული „უდროობის“ გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა გილა- ზმნისწინი, რომელიც ჰორიზონტალურ სივრცეში აღნიშნავს უმისამართო სიარულს, აქეთ-იქეთ ხეტიანს, მაგრამ ამასთანავე გამოხატავს მუდმივად მიმდინარე, სისტემატური ხასიათის მოძრაობებს: ჩიტი ჰაერს გილა-ფურინუნს „ჩიტი ჰაერში დაფრინავს“ და მისთ.

ბ) აწმყოს ფორმები გამოყენებულია წამყო დროის ფორმათა გვერდით თხრობის დროს: ტყას მითოვხედი დო მიკიფვინი, ამარ ვამურსო თუნთი – „ტყეში ვიჯექი (ვიყავი) და მივიხედე, აგერ დათვი არ მოდის?!“;

გ) შანიძე ლაპარაკობს იმ შემთხვევებზედაც, როცა ზოგჯერ ფორმოვლივი ზღვარი იშლება მომავალთანაც, შდრ. ამდლა თაქ ვორექ, ჭუმე თექ ვორექ – „დღეს აქ ვარ, ხვალ იქ ვარ“;

დ) დროებს აერთიანებს აგრეთვე შესაბამისი სემანტიკის ზმნისართები. მეგრულში ასეთია ზმნისართი ირო „ყოველთვის“, „მუდამ“: რომელიც თავსდება აწმყოს ფორმებთან და ზოგადი აწმყოს მნიშვნელობით ქმნის უწყვეტობის განცდას: ირო ვმუშენქ, ვგილურქ, მლურს ... „ყოველთვის ვმუშაობ, დავდივარ, მძინავს“ ...

იძლება იყოს წარსულსა და მომავალს შორის ნებისმიერი დროითი მონაკვეთი, რომელიც მოლაპარაკე პირის თვალსაზრისით მიჩნეულია როგორც ახლანდელი: ასე „ახლა“, ამჟუანი „ამ დღით“, ამდღა „დღეს“, ამსერი „ამ საღამოს“, წიი „წელს“...

აღნიშნული სამწევრა ოპოზიციაც შეიძლება წარმოვადგინოთ ორი ურთიერთდაკავშირებული ბინარული ოპოზიციის სახით: 1. წარსული – აწმყო; 2. აწმყო – მყოფადი. ორივე შემთხვევაში დეიქტური მიმართება ვლინდება დღეებსა და წლებში, ყველაზე მცირე და ყველაზე დიდ ტემპორალურ მონაკვეთებში. დეიქტური მიმართების აღსანიშნავად გამოყენებულია დროის ზმნისართები: მარტივები (თუ ასეთები დადასტურებულია ენაში) აწ წარმოქმნილები, რომლებიც თავის მხრივ იწარმოებიან სივრცის აღმნიშვნელი გო- და გე- ზმნისწინებისგან; ორივე შემთხვევაში აღნიშნულია ათვლის წერტილიდან დაშორების, *პროქსიმაციის*, მხოლოდ ორ-ორი საფეხური, რომელთაგან პირველი დეიქტურია, მეორე კი – არადეიქტური, აწაფორული. ამგვარად გვაქვს:

წარსული – აწმყო. წარსული დროის ზმნისართების საწარმოებლად გამოყენებულია გო- ზმნისწინი, რომლითაც ჰორიზონტალურ სივრცეში გამოხატულია:

1) წრიული მოძრაობა, მოქმედება რაიმეს გარშემო (გოლუაფა „ირგვლივ შემოვლა, შემოვლება“); 2) სწრაფი, მყისიერი მოძრაობა რაიმე პუნქტიდან წინ, ადგილიდან გასვლა (გო-ლაფა „გავარდნა, ადგილიდან მოწყვეტა“). დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან გო- გამოყენებულია მეორე მნიშვნელობით – „ადგილიდან გასვლა“.

ა) პირველი საფეხური, უახლოესი პოზიცია, განისაზღვრება დეიქტურ ცენტრთან ასე „ახლა“ – მიმართებით. ასე განსაზღვრავს წარსული დროის აღმნიშვნელი ზმნისართების მნიშვნელობას როგორც უმოს ადრე „უფრო ადრე“, ე. ი. მიმდინარეობის პროცესში – წოხოლე „წინ“, აწუ ისინი გამოხატავენ დროს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა დეიქტურ „ახლას“: რაც დღევან-

დელთან მიმართებით გამოდის „გასული დღე“, „წინა დღე, გუშინ“. ამგვარად გვაქვს:

გოლა < გო- ლა (< დლა „დღე“), ე. ი. გასული დღე, ანუ დღე, რომელიც წინ უსწრებდა დეიქტურ „ახლა-ს“. , ე. ი. „გუშინ“.

ბ) მეორე საფეხურიც გამოხატავს გასულ დროს, მაგრამ ორიენტირებულია არა დეიქტურ ცენტრზე, არამედ უკვე სხვა ცენტრზე – გოლა „გუშინ“ და უკავია პოზიცია – გუშინდელზე წინ, გუშინდელზე უფრო ადრე, გუშინდელამდე. შესაბამისად, იგი გამოხატულია არა დეიქტური, არამედ ანაფორული ზმნისართით: გოლანოხ < გოლა + * შ (ნათ. ბრ.) + ნოხ < ნოხოლე „წინ“ – „გუშინ(ის) წინ“, ე. ი. დრო გუშინდელზე უფრო ადრე, მასზე წინ.

ანალოგიური სურათია წანა „წელი“ მონაკვეთის შემთხვევაშიც:

ა) პირველი საფეხური წი < *წუ (ჩიქობავა 1938:205)) „წელს“ განისაზღვრება როგორც დეიქტურ ცენტრთან უახლოესი პოზიცია:

გონოს < გო + ნო (< *წუ „წელს“) + ს (მიც. ბრ.) – წლევეან-დელთან მიმართებით „გასულ წელს“, „შარშან“.

ბ) მეორე საფეხური განისაზღვრება არა უშუალოდ წი „წელს“ პოზიციასთან მიმართებით, არამედ ანაფორულად, შარშანთან მიმართებით, როგორც შარშანდელზე უფრო ადრე, მასზე წინ:

გონოხ < გონო + ხ (=თანდ. -მდე – „შარშან(ის)წინ“, „შარშანდელამდე“.

წარსულის აღმნიშვნელ სხვა ზმნისართებიდან წარმოდგენილია როგორც დეიქტური ასეშახ < ასე „ახლა“ + შა (მიმართ. ბრ.) + ხ თანდ. -მდე – „აქამდე, ამ დრომდე“, ისე არადეიქტური, მაგრამ ამ პერიოდისათვის სპეციფიკური ზმნისართები – ადრე, კინოხ – ადრე, უწინ, წინათ; წიმოხ, წიმახ, ოწმახ – ადრე, წინათ,

პირველად, თავდაპირველად, წინასწარ, წინდანინ; ჯვეშო „ძველად“, მითაჟამს – ოდესღაც, ძველად, უხსოვარ დროს.

მუზარბიშ ლურაქ ახიოლუ იში ოსურცუ, თემენი ნამუდა ბრელი ხანი დუ კაჟანდემიშა გური აფუდუნი, მარა ასეშა მუთა აქიმიწედუ – „მუზარბის სიკვდილი გაუხარდა მის ცოლს, რადგან დიდი ხანი იყო რომ კაჟანდევნი მოსწონდა, მაგრამ აქამდე ვერაფერს იზამდა“ (ქხს II: 380);

ანმყო – მყოფადი. მიმართება უმოს ადრე / უმოს გვიანო ენობრივად გამოიხატება მომავლის აღმნიშვნელი ზმნისართებით, რომელთა ორიენტირებიც განსხვავებულია პროქსიმაციის საფეხურების მიხედვით, მაგრამ ზმნისართები ყველა შემთხვევაში გამოხატავენ უკული „შემდეგ, მერე“ მნიშვნელობას. პირველი საფეხური აღნიშნება სპეციალური ლექსემებით, მეორე საფეხურის ზმნისართთა საწარმოებლად გამოყენებულია გე-ზმნისწინი, რომელიც სივრცულ სტრუქტურებში აღნიშნავს:

1. ვერტიკალური მიმართულების აღმნიშვნელ ზმნებთან – მოძრაობის დასრულებას რაიმე (სწორ) ზედაპირზე: გედვალა „დადება რამეზე“. გე-ნთხაფა „დაცემა, დავარდნა რამე-ზე...“; 2. ჰორიზონტალური მიმართულების აღმნიშვნელ ზმნებთან – ვინმეს, რამის უკან მიყოლას, მიდევნებას: გე-თხოზინი „უკან მიდევნება. დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან იგი გამოყენებულია მეორე მნიშვნელობით. ამგვარად:

ა) პირველი საფეხურის დროითი მონაკვეთები – „შემდეგი დღე“ და „შემდეგი წელი“ ორიენტირებული არიან დეიქტურ ცენტრზე – ასე „ახლა“. შესაბამისად მათი მნიშვნელობა განისაზღვრება როგორც დრო, რომელიც უშუალოდ მოსდევს ასე-ს: ჭუმე/ჭუმან „ხვალ, „დღეის შემდეგი დღე“, „მომდევნო დღე“;

ბ) მეორე საფეხური გელან „ზეგ“ < გე + ლა (< დლა) + ნ (მანარმ. შდრ. ჭუმან) – ე. ი. ხვალის შემდეგი, ხვალის

მომდევნო.⁷² გამოხატულია არადიქტური, ანაფორული ზმნისართით.

2. ანალოგიურია ვითარება წანა „წელიწადი“ შემთხვევაშიც:
- ა) პირველი საფეხური წარმოდგენილია დიქტური ზმნისართით: წანას < წანა „წელი“ + ს (მიც. ბრ.) – „წლეწანდელის შემდეგ წელს“, „გაისად“;
- ბ) მეორე საფეხური გენწანას < გე + წანას „გაისის შემდეგ წელს“, წარმოდგენილია არადიქტური, ანაფორული ზმნისართით.

სპეციალურად მომავლის აღმნიშვნელია ზმნისართები: დიქტურები – აწი/აწწი „აწი, წინ“, „დღეის ამას იქით“, „ამიერიდან“, „მომავალში“; ქუმე „ხვალ“, წანას „გაისად“.

⁷² გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ქართულ ენაზე მოლაპარაკეთათვის დამახასიათებელი ჩანს აგრეთვე დროის ღერძის ვერტიკალური წარმოდგენაც“ (აბულაძე 1986:9). მაგრამ ენობრივი მასალა, რომელსაც ემყარება აღნიშნული დებულება, ამას არ ადასტურებს. სახელდობრ, ამ მიზნით განხილული ლაზური გენდლანი „ზეგ“, ისევე როგორც მნიშვნელობით და მორფემული შედგენილობით იდენტური მეგრული გელანი „ზეგ“ (მათ შორის განსხვავება მხოლოდ ფონეტიკურია), სრულიად აშკარად თავსდება დროის ჰორიზონტალური ღერძის გასწვრივ (იხ.ზევით). ანალოგიური სურათია ქართულშიც. ხვალზევით „ზეგ“ ფორმაში „ზევით“ იმავე სივრცით განზომილებაში მოიაზრება, რომელშიც თავსდება დღეს, ხვალ (იხ. შანიძე 1973:590). ამასვე ადასტურებს ზედ, ზედა ზმნისართთა მნიშვნელობა ძველ ქართულში. საბას განმარტებით, ზედ ნიშნავს „კიბეთა, ხეთა, ერდოთა ასვლასა და ესევითარსა, ანუ ფერხით რაზედაც შეჰხდეს, ანუ ზეიდამ რამე რას(ა)ც დაადვა, გინა თანამობმულსა რასმე ზედ ვიტყვით (ორბ. I:282). თანაბმა, თავის მხრივ, განმარტებულია როგორც „მიბმა“: „თანაჰყვეს ორნი ცხენნი: ერთსა ზედა თვით მჯდომარე იყო მჴნე მჴედარი ქრისტესი და ერთი თანაება“ (სარჯველაძე 1995:86). ზედა-ს აღნიშნული (მესამე) მნიშვნელობა იგულისხმება აგრეთვე ძველ ქართულ ლექსებში: ზედა-დართვა „შემატება, დამატება“, ზედა-მიდგომა „მისვლა“, ზედა-მიწენა „შეგნება, შეტყობინება“, ზედ-მიხდომა „თავდასხმა“ და მისთ. (აბულაძე 1973:164).

დროთი მონაკვეთების აღმნიშვნელი სხვა ზმნისართები: გე-
ლან „ზეგ“, „გენანას“, „გაისის შემდეგ წელს“; ნიმი „წინ“, შემ-
დგომ, „მომავალში“; უკული „შემდეგ“, „მერე“; გვიანო „მერე“,
„შემდეგ“.

მეტრიკული დრო

3.1. დროის ზემოგანხილული მონაკვეთებისაგან განსხვავე-
ბით, დროის მეტრიკული მონაკვეთები აღნიშნავენ არაფარდო-
ბით, თვლად ერთეულებს – წელი, არე, თვე, კვირა, დღე. ისინი
წარმოგვიდგებიან როგორც დროით ბუნებრივ მოვლენათა რიტ-
მულ ცვალებადობაზე დამყარებული დროითი ერთეულები, რო-
მელთა რიგი, ჩვეულებრივ, თავისუფალია და შეიძლება დამოკი-
დებული იყოს გარეგან, კონვენციურ, ფაქტორებზე (შდრ. წლის
დასაწყისი თვის ვარიანტები სხვადასხვა კულტურაში და მისთ.).
ქვემოთ წარმოდგენილია მიკროციკლური დროითი მონაკვეთები
შემადგენელი კომპონენტების იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს
მიღებულია მოცემულ კულტურულენობრივ საზოგადოებაში.

წანა „წელი“

3.2. კონკრეტულ დროთა შორის, რომლებიც მეგრულში გა-
მოხატულია როგორც დამოუკიდებელი დროითი ერთეული,
ყველაზე დიდია წანა „წელი“, ⁷³ რომელთან მიმართებითაც განი-
საზღვრება დროის სხვა მონაკვეთები – წლის დროები, თვეები,
დღეები.

⁷³ მეტყველებაში გვხვდება ქართული მეტრიკული ერთეულიც, საუკუნე =
100 წ., მაგრამ იგი მეგრული კალენდარული სისტემის ერთეული არ გამხ-
დარა. წელთა სიმრავლის აღსანიშნავად გვხვდება საკუთრივ მეგრული
არამეტრიკული ზმნისართი ირო „მუდამ, მარადის“ და მისგან ნაწარმოები
ფორმები – იროიანი „მუდმივი, მარადიული“ და იროიანობა „მუდმივობა,
მარადისობა“.

დროის წლებად დაყოფის ისტორია ათასწლეულებს ითვლის. მეტრიკულ დროით ერთეულად მისი გამოყოფა დაკავშირებულია ბუნებრივ მოვლენათა რიტმულ ცვალებადობასთან (მზის უმაღლესი და უდაბლესი მდებარეობა, მთვარის მიმოქცევა, წელიწადის დროთა მონაცვლეობა, ვარსკვლავების პერიოდული გაქრობა და გამოჩენა და მისთ.), რაც უძველესი დროიდანვე მათზე უშუალო დაკვირვების შესაძლებლობას იძლეოდა. წელიწადის ერთ-ერთი ადრინდელი სისტემა, რომელიც შემდეგში წინა აზიის ქვეყნებშიც გავრცელდა, შექმნილია მესოპოტამიურ კულტურაში. ეს იყო მთვარის წელიწადი – 360-დღიანი, თორმეტთვიანი, თითოეული თვე 30 დღით (კლოჩკოვი 1983:12).

ქართველურ ენებში წელიწადის სისტემამ თანამედროვე ვითარების დამკვიდრებამდე სერიოზული ცვლილებები განიცადა. ითვლება, რომ ქართველურ სამყაროშიც თავდაპირველად წელიწადი მთვარის (ქართველური მოდგმის ხალხთა უზენაესი ღვთაების (თუთა, თთუე) მიმოქცევაზე უნდა ყოფილიყო აგებული. მთვარის წელიწადს შემდეგში ჩაენაცვლა (სავარაუდოდ, ძვ. წელთაღიცხვის დამღევისათვის ან ახლის პირველ საუკუნეებში) 30-დღიანი 12 თვისაგან შედგენილი მზის მოძრავი წელიწადი, რომელიც (თვეთა სახელწოდებების მიხედვით) საქართველოში წინა აზიიდან (ირანულისა და სომხურის გზით) ჩანს შემოსული. უფრო გვიან (საფიქრებელია ქრისტიანობის დამკვიდრებამდე) არსებული კალენდარი შეცვალა რომაულმა (იულიუსის) 365-366-დღიანმა კალენდარმა (კეკელიძე 1956:101 და შემდ.), რომლის შემოღებასთან ერთად საქართველოში მკვიდრდება ამჟამად მოქმედი მზის უძრავი წელიწადის სისტემა, თვეთა თანმიმდევრობასა და სახელწოდებებში გარკვეული ცვლილებებით (იხ. თუთა „თვე“). მეგრული სახელწოდება წანა „წელი“ ქართულ-ზანურ ერთიანობის პერიოდს განეკუთვნება (კლიმ. 1964:212-213). წელთა სიმრავლე გამოიხატება რაოდენობითი და განუსაზღვრელობითი რიცხვითი სახელებით: ხუთი

ნანა „ხუთი წელი“, ვითი ნანა „ათი წელი“, ოში ნანა „ასი წელი“, ბრელი ნანა „მრავალი წელი“. მხოლოდ ერთი წლის მნიშვნელობით გვხვდება წამონანა, რომელიც რაოდენობის განმსაზღვრელ რიცხვით სახელს არ საჭიროებს: წამონანაჟ მიკიილუ „ერთი წელი გავიდა“.

წლის დროები

3.3. წლის შემადგენელი ე.წ. სეზონური დროითი მონაკვეთები – არეები მეგრულის თანამედროვე მეტრიკულ სისტემაში წარმოდგენილია ოთხარიანი სისტემით:⁷⁴

ზაფხული//ზარხული//ზარხული „ზაფხული“
ზოთონჯი „ზამთარი“


გაზაფხული // გაზარხული, აფუნი „გაზაფხული“
დამორჩილი, მუჟღირი „შემოდგომა“

როგორც დროთა სახელწოდებებიდან ჩანს, ძირითადი ოპოზიციური დროები, რომელთაც შესაბამისად მინიჭებული აქვთ დამოუკიდებელი სახელწოდებებიც, არის ზარხული vs ზოთონჯი – ზაფხული vs ზამთარი (მარი, ჯავახიშვილი). მათ შორის დაპირისპირება ემყარება მკვეთრად გამოხატულ კლიმატურ მახასიათებლებს – სიცხე vs სიცივე. ძირითად არეთა კავშირი კლიმატურ ფაქტორთან ჩანს მათ აღმნიშვნელად გამოყენებულ სახელწოდებებშიც (ჭუმბურიძე 1988: 91). რაც შეეხება გაზარხულსა და დამორჩილს, ისინი ზამთრიდან ზაფხულისაკენ და ზაფხულიდან ზამთრისაკენ გარდამავალი პერიოდის არეებია, რასაც გვაფიქრებინებს მათი კლიმატური თავისებურებები: გაზაფხულზე ზამთრის თვისებებიდან თანდათანობით ხდება გა-

⁷⁴ ძვ. ქართულში არე გვხვდება როგორც საკუთრივ გაზაფხულის, ისე საერთოდ წელიწადის დროთა აღსანიშნავად (ჭუმბურიძე 1988: 93-96). ამ უკანასკნელი მნიშვნელობით მას იყენებდა ივ. ჯავახიშვილი (1950: 151 და შემდ.).

დასვლა ზაფხულისკენ, ხოლო ამ უკანასკნელიდან მისი თვისებების შესუსტებასთან ერთად ძალას იკრებს ზამთარი.⁷⁵

ზემოთქმულის შესაბამისად არეთა მონაცვლეობის წლიური ციკლი შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სქემით:



ძირითად არეთა აღმნიშვნელ გარდამავალი პერიოდების სახელწოდებებიდან მეგრული გაზარხული//გაბზარხული „გაზაფხული“ ქართულიდან გვიან შესული სიტყვაა, რაც ნიშნავს ზაფხულის დაწყებას, გაზაფხულებას (აფრიდონიძე 1980: 88-89). ამ მნიშვნელობას უსვამს ხაზს ჯავახიშვილიც (1950: 153)). მეორე სახელწოდება აფუნი, რომელიც მხოლოდ სამურზაყანულშია გავრცელებული, გაზაფხულის მნიშვნელობით აფხაზურიდან არის შესული (ჭარ. 37; ყიფ. 228).

დამორჩილის „შემოდგომის“ აღმნიშვნელი საკუთრივ მეგრული სიტყვისათვის შემოთავაზებულია განსხვავებული ეტიმოლოგიები:

1. დამორჩილი < ქართ. და-მორჩვა „ფოთლებისაგან, ტოტებისაგან განმენდა.“ (ყიფშ. 1914:228).

⁷⁵ გამოთქმული მოსაზრება სავსებით ეხმიანება გრ. ნაზიანზელის თხზულების XII-XIII საუკუნეში გადანერგილი ხელნაწერის ქართველი მთარგმნელის კომენტარს „რომელობისამებრ ჟამთაისა და მოქცევისაებრ მზისა განჰყოფენ წელიწადსა, რამეთუ ორთა მათ კიდეთა მეტობისათვის, – ერთისა მის სიგრისა და მეორისა სიცხისა; ხოლო ამათა საშუალოთა მათ ორთა, რომელთა კიდენი ორთავე ზიარ იქმნებიან, – ერთისა მის სიცხისა და მეორისა სიცივისა, – თვისაგან დაანესებენ“ (ჭუმბურიძე 1988: 92).

2. დამორჩილი < მეგრ. დღა მორჩილი „დღე მოკლე“ (გ. როგავა). თუ გავითვალისწინებთ, რომ დამორჩილის სინონიმებად გამოყენებული სახელწოდებები ძირითადად დაკავშირებულია მოსავლის აღებასთან, ჭირნახულის დაბინავებასთან: ეჭოფუა – აღება; მოსავლის აღება (ქაჯ. 1.), მონია – მოსავლის მოწევა, მოსავალი; დონალაგენი – დანალაგები, გადატ. შემოდგომაზე ჭირნახულის მილაგება; დონოლაგენს – ჭირნახულის მილაგების შემდეგი დრო (ქაჯ. I:485), მაშინ მეტი საფუძველი არსებობს გავიზიაროთ პირველი ეტიმოლოგია.

რაც შეეხება შემოდგომის მეორე სახელწოდებას მუჟღირი. ო. ქაჯაიას მიხედვით, იგი მეგრული ფორმაა და მომდინარეობს სიტყვიდან ჟღირუა „ჭკნობა“ (ქაჯაია II,338); გ. მაჭავარიანის აზრით, მეგრ. მუჟღირი მომდინარეობს სვან. მუჟღუერ < * მ-ჟღუ -ერ < * მ-ჟღუ -არ (= ქართ. მ-ძღუ -არ „ნინამძღვარი, ნინამძღოლი“) ფორმისაგან (მაჭავარიანი 1985:128-130). მოსაზრება საფუძვლიანი ჩანს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სვან, მუჟღუ ერ აღნიშნავს შემოდგომას, ე. ი. დროს, „რომელიც ზამთარს (ან წელიწადს) წინ უძღვის“ (შდრ. გაზაფხული ანუ დრო, რომელიც აღნიშნავს ზაფხულის დასაწყისს, გაზაფხულებას).

თუთა „თვე“

3.4. თუთა, როგორც წლის შემადგენელი დამოუკიდებელი დროითი ერთეული, დაკავშირებულია მთვარის მოძრაობასთან და მომდინარეობს მთვარის კალენდრიდან (კეკელიძე 1956:100). მთვარის ერთი მოქცევა თავის ღერძის გარშემო – თუთაშ მორთა საშუალოდ შეადგენს 29 დღეს.

წლის შემადგენლობაში 12 თვის დადგენა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მესოპოტამიური კულტურიდან მომდინარე-

ობს. წლის დასაწყის თვედ იანვრის დაკანონება დაკავშირებულია რომაულ კალენდარულ სისტემასთან, რომელსაც მიჰყვება ქართული კალენდარი. მეგრულში თვეთა მიმდევრობა იმეორებს ამ სისტემას, მაგრამ ნაწილობრივ შეცვლილია თვეთა სახელწოდებები: I–V და VIII თვეები წარმოდგენილია რომაული კალენდარული სისტემის მიხედვით; ზაფხულის თვეებიდან ივნისი, ივლისი, შემოდგომის თვეები და ბოლო დეკემბერი კი – შეცვლილი სახელწოდებებით:

I იანვარი იანარი

II თებერვალი ფრევალი

III მარტი მარტი

IV აპრილი აპრილი

V მაისი მესი

VI ივნისი ივანობა – იოანე ნათლისმცემლის სახელობის (დაბადების) თვე

VII ივლისი კვირკვე – კვირიკობის თვე

VIII აგვისტო არგუსო // მარაშინა – მარიამობის თვე

IX სექტემბერი ეკენია (ბერძნ.) – ენკენის თვე // ღვარალა თუთა

წვიმიანი თვე

X ოქტომბერი გიმათუთა – ღომის მკის თვე (მეგრ. გიმუა „ცეხვა“, „ღომის გმერვა“ (ქობ. 152; ჭარ. 50), მწიფობის, ღვინობის თვე, მკის, ტეხის თვე (ქაჯ. 340)

XI ნოემბერი გერგება/გერგობათუთა – გიორგობის თვე. წმ. გიორგის

სახელობის თვე

XII დეკემბერი ქისეთუთა – ქრისტეშობის თვე

აღნიშნული სახელწოდებები მიცემითი ბრუნვის ფორმით გამოხატავენ დროის ზმნისართებს კითხვაზე მუჟანს „როდის“?

3.5. მარა / მარუა კვირეული, მსგეფსი; ნორული (ქობ. 700). კვირის შვიდდღიანი პერიოდი – საპატტუ ჯერ კიდევ შუმერულ და ბაბილონურ ტექსტებშია მოხსენიებული და მთვარის მოქცევის ფაზებს უკავშირდება. სპეციალისტების აზრით, იგი აღნიშნავდა შვიდდღიან პერიოდს მისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მეშვიდე დღით. ითვლება, რომ იუდეველებმა სწორედ ბაბილონელებისაგან გადმოიღეს Sapattu-ს ინსტიტუცია და ტერმინიც. შემდეგში შვიდდღიანი პერიოდი მთავარი დღით – შაბათით დაკანონდა უკვე ებრაული ბიბლიის გავლენით ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად სხვა ქვეყნებშიც. ქართულში იგი V საუკუნიდან ჩანს შემოსული, მაგრამ არა უშუალოდ ებრაულიდან, არამედ სირიულის გზით, რამდენადაც ქართული სახელწოდებები წარმოადგენს სირიულ სახელწოდებათა კალკირების შედეგს (ნედოსპასოვა 2008:512). მეგრულში კვირების გამოყოფა თვის შემადგენლობაში დაკავშირებულია მთვარის მოქცევის ფაზებთან: მთვარის თვე – სავსე მთვარიდან (ეფშა/გოფშა თუთა) სავსე მთვარემდე – შედგება ოთხი შვიდდღიანი მონაკვეთისაგან, ოთხი მარა-სგან, თუმცა ენობრივად ასახულია მხოლოდ ორი ფაზა:

1. მთვარის რკალის გამოჩენიდან სავსე მთვარემდე – მორთელი თუთა „მოქცეული მთვარე“, ახალი მთვარე.
2. სავსე მთვარეობიდან მთვარის მიღევამდე – თუთა-დალური „მიღევადი მთვარე“.

კვირის დღეები

3.6. საქართველოში კვირეულის ამჟამად მიღებული შვიდდღიანი სისტემისათვის, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამოსავლად ითვლება ებრაული (წარმოშობით შუმერულ-ბაბილონური) შაბათის სისტემა, უფრო ზუსტად, მისი სირიული ვარიან-

ტი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მკვიდრდება. კერძოდ, ქართულში მან შეცვალა ქრისტიანობამდე გავრცელებული ბერძნული პლანეტარული სისტემა. უცვლელი დარჩა მხოლოდ მზის დღე – კვირა. დასავლეთ საქართველოში – მეგრულში (ასევე სვანურში) შემონახულია ქრისტიანობამდე გავრცელებული ბერძნული პლანეტარული სისტემა, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებებით. სახელდობრ, უცვლელი დარჩა კვირის პირველი და მეორე დღეების სახელწოდებები: ჟამხა „მზის დღე“, კვირა და თუთაშხა „მთვარის დღე“, ორშაბათი. ეს გასაგებია, რამდენადაც მზისა და მთვარის კულტი ქართველური ტომებისათვის უკვე ცნობილი იყო. დანარჩენ დღეთა სახელწოდებები ჩანაცვლებულ იქნა არაბერძნული, მოცემული არეალისათვის უფრო ცნობილ და მისაღებ ღვთაებათა თუ მნიშვნელოვან საკულტო მოვლენათა სახელწოდებებით (ჯავახიშვილი 1950:187). რაც შეეხება კრონოსის დღეს, მას ჩაენაცვლა შაბათი. ბერძ. „საბატონი“ – „შაბათი“, ბიბლიური ტრადიციით მეშვიდე დღე ანუ „დღე განსუენებისა“, როგორც ქრისტიანობისათვის მნიშვნელოვანი დღე, უცვლელად შევიდა ქრისტიანული აღმსარებლობის ხალხთა, მათ შორის ქართველურ, ენებშიც.⁷⁶

ქვემოთ წარმოდგენილია კვირის დღეთა ბერძნული, ქართული და მეგრული სახელწოდებები (ორბ. (IV₁, 405; ჯავახიშვილი 1950:I, 187):

ბერძნული	ქართული	მეგრული
კვირიაკე უფლისა,	მზისა კვირა	ჟამხა მზის დღე
მთვარისა	ორშაბათი	თუთაშხა მთვარის დღე
არიასი (არესის)	სამშაბათი	თახაშხა თახას დღე

⁷⁶ თუ როდის და როგორ, რის საფუძველზე უნდა მომხდარიყო ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა შესახებ განსხვავებული მოსაზრებებიც არის გამოთქმული, სპეციალური მსჯელობის საგანია და მათზე აქ ვერ შევჩერდებით.

ერმისა (ჰერმესის)	ოთხშაბათი	ჯუმაშხა
აფროდიტისა	ხუთშაბათი	ცაშხა ცის დღე
დიოსისა	პარასკევი	ობიშხა
კრონოსისა	შაბათი	საბატონი (ბერძნ.)

აღნიშნულ სახელწოდებათა მიცემითი ბრუნვის ფორმები გამოიყენება დროის ზმნისართების მნიშვნელობით.

დღე – ღამე

3.7. მეტრიკული დროის უმცირესი მონაკვეთი⁷⁷ – დღე-ღამის ციკლი, რომელიც თანამედროვე ასტრონომიული სისტემით განისაზღვრება როგორც 24-საათიანი ინტერვალი დღისა და ღამის ზუსტი დროითი შეფარდებებით, ენობრივ ასახვაში წარმოდგენილია არამეტრიკული ერთეულებით – დღა“შ” დო სერი. დროის ეს მონაკვეთები (ადამიანთა, საერთოდ ბიოლოგიურ ორგანიზმთა) ცხოვრებაში განსაკუთრებული სასიცოცხლო მნიშვნელობის გამო, ენაში წარმოდგენილია ყველაზე მეტი სემანტიკური შემადგენლებით. დღე-ღამის, როგორც მთლიანი დროითი მონაკვეთის, აღსანიშნავად იხმარება დღა „დღე“ (იშვიათად – დღა დო სერი):

ხუთ დღაქ მიკილუ „ხუთმა დღემ გაიარა.“

მასუმა დღაქით გოთანდუ „მესამე დღეც გათენდა.“

მაგრამ როდესაც იგულისხმება კონკრეტულად დღე-ღამური ციკლის ნათელი მონაკვეთი, ჩვეულებრივ გამოყენებულია

⁷⁷ დღე-ღამეზე მცირე მეტრიკული ერთეულების აღსანიშნავად მეტყველებაში გამოყენებულია ქართ. საათი/სათი, წუთი, წამი, რუს. მიწუთი/წიწუტი; უმცირესი ერთეულებისათვის გამოიყენება არამეტრიკული დროითი მონაკვეთები: თოლიშ მერქას, თოლიშ დოვალაფას „თვალის დახამხამებაში“, ვალიშ მამალას „ელვის სისწრაფით“...

დღა სახელის ნათ. ბრ. ფორმა – დღაში „დღე“, ზმნიზ. დღაშით „დღისით“:

დღაშ დო სერით ქომუბჟენქ „დღე და ღამე ვჟუშაოზ.“ (ყიფ. 16);

დღაშის სერი მოსუნსია „დღეს ღამე მოჰყევაო.“ (ხალხ. სიბრძნე 41).


დღა – სერი „დღე – ღამის სფეროების გადანაწილება ხდება სინთე – უკუმელა „სინათლე – სიბნელე“ თვისებების მიხედვით, სადაც სინთე არის დღის, უკუმელა კი – ღამის თვისება და თუმცა არსებობს ნათელი ღამეებიც – თუთარჩელა „მთვარიანი, უღრუბლო ღამე“, ღამის ძირითად ატრიბუტად მაინც უკუმელა რჩება:

ინა წანამონანაში ოლუს სათის მეურს დღაში რდას ოკონდა სერი. უკუმელა, თუთარჩელა არძა ართი აფუ „ის წლის საგალს საათში გადის დღე იქნება თუნდ ღამე. ბნელი, მთვარიანი ყველა ერთია.“ (ხუბ. 6, 32, 19); დისერუ ამსერი დო თუთარჩელა ვარე, უკუმელა სერქ ოკო იყუას. „დაღამდა, ეს ღამე მთვარიანი არ არის. ბნელი ღამე უნდა იყოს.“ (ხუბ. 17, 75,3).

დღე-ღამის ციკლი აღნიშნული ორი მონაკვეთით არ ამოიწურება. დღისა და ღამის მონაცვლეობაში არსებობს გარდამავალი დროითი მონაკვეთები, ოჭ’უ’მარე „დილა“ და ონჯუა „საღამო“, რომლებიც აღნიშნავენ ასევე მნიშვნელოვან პერიოდებს – ღამიდან დღისკენ და დღიდან ღამისკენ გადასვლას. აღნიშნული ოთხივე პერიოდი ენობრივად კოდირებულია: მათ აქვთ „დღევანდელი დღის“ მონაკვეთების აღმნიშვნელი დამოუკიდებელი სახელწოდებები: დღა „დღე“ – ამდღა „დღეს“, შდრ. გოლა/ჭუმე „გუშინ/ხვალ“; სერი „ღამე“ ამსერი „ამაღამ“, შდრ. გოლა/ჭუმე სერი „გუშინ/ხვალ ღამე“; ოჭუმარე „დილა“ ამჭუანი „ამ დილას“, შდრ. გოლა/ჭუმე ოჭუმარეს „გუშინ/ხვალ დილას“; ონჯუა „საღამო“ ამნიჯი „ამ საღამოს“, შდრ. გოლა/ჭუმე ონჯუას „გუშინ/ხვალ დილას“. მაგრამ როგორც დამოუკიდებელი დროითი მონაკვეთები, მათთვის სპეციფიკური ლექსიკით ხასი-

ათდებიან მხოლოდ დღა და სერი. მაგ., ისინი შეიძლება დახასიათდნენ ხანგრძლივობის ნიშნით: კუნტა დღა „მოკლე დღე“, გინძე სერი „გრძელი ღამე“.

დღე-ღამის მონაცვლეობა შეიძლება გამოისახოს სქემით:



თავის მხრივ, აღნიშნული პერიოდებიც წარმოგვიდგებიან არა როგორც სტატიკური, არამედ როგორც გარდამავალი საფეხურებისაგან შედგენილი მონაკვეთები.

საერთოდ ღამიდან დღისკენ გარდამავალ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ დრო, რომელიც იწყება ნაშქასერი/უ „ნაშუაღამევის“ შემდეგ და გრძელდება დღის დადგომამდე. ამ პერიოდის დასაწყისის აღმნიშვნელ ზოგად სახელად შეიძლება მივიჩნიოთ გოთანა/გონთე/გონათუა „გათენება“, ღამიდან გამოსვლისა და სინათლის დადგომის პროცესი.

გოთანასთან დაკავშირებული დროითი მონაკვეთები განისაზღვრება ფიზიკურად აღქმადი ბუნებრივი მოვლენებით:

მუშულიშ ციონი – მამლის მეოთხე (გამთენიის) ყივილი (ქობ. 494)

გუმოთანე (<გომათანე) მურიცხი – ვენერა, გამთენებელი ვარსკვლავი, ცისკრის ვარსკვლავი – გათენების მაუწყებელი სიგნალი, რომელიც ჯერ კიდევ ბინდისას ჩნდება ცის აღმოსავლეთით; გათენების მაუწყებელია აგრეთვე დროის მონაკვეთები, აღნიშნული სპეციალური ლექსემებით, როგორიცაა: მურუჟი, რიჟუ-რაჟუ, მოლია/მორლია, ლიუ-ლაუ, რომლებიც გამოხატავენ დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდს: გარიჟრაჟს,

ოდნავ სინათლეს, ბინდ-ბუნდს, პირველ სხივს, განთიადს, ცის-კარს (ქაჯ. II, 500; III, 189; ქობ. 475, 500).

ადრეული დილის შემადგენელია აგრეთვე დრო, რომელიც აღინიშნება, როგორც გოთანაშა'ხ' „უთენია, გათენებამდე“, გოთანა პიჟი „გათენების პირი“ ანუ „გათენების დასაწყისი, გამთენია“, გოთანა ბორჯი „გათენების დრო“, ალონი, √იალონი – ალიონი, ადრეული დილა, ორდო დილა:

ართი ოჭუმარეს გეიოლუ ალონიშა.

„ერთ დილას წამოვარდა გათენებამდე.“ (ყიფ. 579);

მაჟირა დლას, მუჭო ალონქ ქუურაჟუნი, გეიოლუ ბოშიქ.

„მეორე დლეს, როგორც ირიჟრაჟა, წამოვარდა ბიჭი.“ (ყიფ. 58)

გოთანდუ ორდოქ. „გათენდა დილა.“ (ცაგ. 15).

ოჭუმარე – „დილა“, როგორც ზოგადი სახელი, უკვე დღის შემადგენელი ნაწილი, დღის დასაწყისი, უპირისპირდრება დღის დასასრულს – ონჯუა-ს სალამოს:

ოჭუმარეს ოთხი კუჩხით გილურც, ონდლეს – ჟირით, ონჯუას – სუმით. „დილას ოთხი ფეხით დადის, შუა დლეს ორით, სალამოს – სამით.“ (გამოცანა); იდურცუ ოჭუმარეს, ონჯუას ქუმურც ჟინითუ ხარგელი – წავა დილით, სალამოს მოვა ნანადირევით დატვირთული (ქხს II, 40).

დილის შემდეგ დგება დლა/დლაში „დლე“, რომლის მონაკვეთებია: ონდლეშა'ხ' „შუადლემდე“. გრძელდება მანამ, სანამ დლე თავის პიკს არ მიაღწევს, ე. ი. არ დადგება ონდლე „შუადლე“.

ონდლე, შკადლა ონდლე ბორჯი/დრო (ქობ. 540; ხუბ. 70), ონდლეშ გური (ქობ. 539), დლა-ონდლე, ონდლე კაპანია – შუადლე, დრო, როდესაც მზე ზენიტზეა:

ონდლე ჩხე თოლენს ორიჟინუანს – „შუადლე ცხელ (ანთებულ, გაცეცხლებულ) თვალებს აბრიალებს (ქაჯ. II, 437);

ართი დლა ონდლეშ გურც ჭიჭე ლალიშა ქიმერთუ – „ერთ დლეს, შუა დღის გულზე პატარა ლელესთან მივიდა (ხუბ. 181:24).

შუადღის შემდეგ როგორც ამას დროის სახელწოდებები
წარმოგვიდგენენ, დღე მიდის საღამოსაკენ:

ნაონდღუ/ნაონდღერი – ნაშუადღევი
ლორონთი ონდღეშა თაურე იჯინე, ნაონდღერს ვიშო
„ღმერთი შუადღემდე აქეთ იყურება, ნაშუადღევს იქით.“
(ხალხ. სიბრძ. 150).

გილართა – მზის ჩასვლის წინ. (ქართ. ზეპ. 52)

ა/იკო-ონჯუა//აკომანჯუა – მოსაღამოება, შებინდება, სა-
ღამოს პირი.

დღა დო სერიშ აკონთხაფა/მოონჯუე – დღე და ღამის შეყ-
რა/ მოსაღამოება. (ქსს II, 72);

ონჯუა საღამო, ვახშმობის დრო. (ქობ. 540);

აკოსერილი მოსაღამოებული;

ონჯუა ბორჯი/გეონჯუეთ საღამო ხანი;

სერიშ დუდი შეღამება, ღამის პირველი მეოთხედი, მამლის
პირველი ყივილის დრო. (ქობ. 591);

გური ნაშკასერუ შუაღამის გადასვლის შემდეგ;

თუთაშ გენჭაფა მთვარის ჩასვლის მოწევნა, გამთენია.
(ქობ. 320).

SPACE AND MOTION IN LANGUAGE REPRESENTATION

(Analysis of Megrelian Linguistic Data)

Summary

Space, as it occurs in its linguistic representation, is a *locus* from our dwelling environment, that is, from the third (the only inhabited) planet of our solar system – the Earth, to distant galaxies. It is a part of the unitary universe with its constituents: *land*, *earth* (Megr. *dixamangari*), *water* (Megr. *çqari*), *air* (Megr. *hava*), a conglomeration of inhabiting living organisms (humans, fauna, flora) and objects of inanimate nature (mountains, seas, lakes, rivers, etc.).

The physical existence of humans and living organisms, at large, is associated with space. This is natural as long as it is space that provides for the environment which is necessary for organisms' vital activities. This is *motion* (Megr. *gilula*) – a dynamic form of the existence of the matter. Its most common type – *movement* is represented as basic kinds of motion occurring in nature: on the land, these are: *to walk* (Megr. *gilula*), *to run* (Megr. *rula*), *to crawl* (Megr. *xoxua*), *to go up/down* (Megr. *eš-ul-a/gilu-l-a*), *to enter/leave* (Megr. *minula/ginula*), etc., in the water: *to swim* (Megr. *nčurua*), *to dive* (Megr. *‘vintua*); in the air: *to fly* (Megr. *purini*).

For a greater part of humans and animals, motion on the land considerably depends on earth terrain, that is, shapes of its surface, having been structured either in the entrails of the earth or on its surface influenced by geomorphological changes and/or atmospheric phenomena.

Walking, on its own, is a complex process. While, on the one hand, it depends on the aforementioned external factors, and, on the other, it seems to have been conditioned by a mobile subject's physical properties, being immediately reflected on the general character of his/her movement. I mean widespread instances of *synaesthesia*:

ჰვაჰვალი – a tout person's lumbering run

ცვაცვალი – traipsing

Meaningful words, making up multiple and semantically diverse groups in various languages, render in what situation an action, referred to by a verb, takes place or what features accompany it. Thus, they play a significant role both in the linguistic representation of spatial relations at large and in the processes of *lexicalization* and *conceptualization*. The role is salient in languages which, according to L. Talmy's *typological classification*, pertain to the Satellite-framed group. As different from Verb-framed languages, in which directions of movement and places of localization are referred to by verb roots proper, in Satellite-framed languages they are referred to outside the verb root, by means of auxiliary devices – *satellites* [Talmy, 1985: 85]; cf. Fr. *monter* – “to go up, to ascend” / *descendre* “to go down, to descend,” Rus. Приходит “s/he comes,” у-ходит “s/he leaves,” За-носит “s/he brings sth in,” cf. Geo. *čamo-svla* “to come down” / *a-svla* “to go up“...

With respect to the lexicalization type, Megrelian and Laz (resp. Kartvelian languages) belong to the Satellite-framed languages (Boeder 2004: 88-94); however, in it, as an agglutinating language, analysis of satellite components generates specific problems to be necessarily solved when establishing meanings of grammatical data.

In Megrelian and Laz, having the highest score of the index of agglutination among the Kartvelian languages (Melikishvili 2010), the number of various morphs (excluding obligatory and emphatic vowels) in a multi-componential stem frequently reaches 15 and possibly even more. A notional meaning is conveyed by a verb root. Notional roots encode the necessary features as *dynamicity* / *stativity* (motion / immobility), *a subject* of motion (animate / inanimate), *aspect* (perfective / imperfective), and *tense* (present, past, future). However, roots are essentially neutral with respect to their characteristics with locative features of motion/immobility. This kind of meaning is encoded beyond a root: in a stem – by means of *preverbs*, and beyond a stem – by means of independent

words: *spatial adverbs* and *case forms of adverbials*. These devices render spatial relations from various angles and provide a linguistic representation of the system of these relations.

Semantics of motion is primarily about identification of markers encoding characteristics of motion and occurring as *components of motion* without which a motion will not take place. Only after having established their linguistic, specifically, lexico-grammatical, correlations, they can be considered as *semantic components of motion*. In order to establish semantic and grammatical categories and their interrelationships, in the present study, a linguistic item is conceived of as a structural-semantic unity. Therefore, we apply the method of componential analysis; in this process, we also make use of data of the morpho-syntactic analyses of languages.

Dinamicity and Stativity in Linguistic Representation of Space

The opposition Dinamicity vs. Stativity, as a linguistic representation of the processes of action, as going on through time, and of immobility, as being in a single state, plays a significant role in the formation of grammatical and semantic structures of the Kartvelian languages. It is particularly important for Megrelian in which the opposition in question occurs as the only classification feature in specific instances.

My objective is a structural-semantic analysis of dynamic and stative verbs in terms of language representation of spatial relations. In this process, I will also make use of data from the morpho-syntactic analysis of dynamic and stative forms.

Besides, with respect to their peculiarities, dynamicity and stativity, as spatial processes, are discussed individually in horizontal and vertical areas. However, as long as Megrelian (resp. Kartvelian) verbal roots are essentially neutral in terms of their characterization with any kind of locative feature, this kind of information is encoded by derivation formants of adverbial meaning within a verb stem – preverbs, by adding of which onto verbal roots referring to motion/immobility (to any action, at large) new, semantically

different verb stems are derived. The circumstance in question has generated a need for a detailed discussion of the structure and use of preverbs.

The chapter discusses structurally simple and compound preverbs. Compound preverbs are derived by adding so called adverbial particles onto simple ones, rendering information about place and/or surface of motion. In terms of the aforementioned distinctions, distributional and functional properties of motion differ as well. Three phases are identified within a complete cycle of motion as a physical process: Beginning, Course, that is, motion per se, and End.

The study of spatial relations in Megrelian reveals occurrence of various types of orientation. Hence, I discuss deictic, anaphoric, subject orientations.

A direction (and orientation) encoded by preverbs, as well as a place of immobility, is only a general hint to spatial relations. Their specific linguistic (lexico-grammatical) meanings are specified at a morpho-syntactic level whereby grammatical categories are involved. This is equally true of the representation of both horizontal and vertical directions. Therefore, the chapter addresses the relevant categories; declination, aspect.

The Meaning of *ula* ('to go,' 'to walk') in Megrelian

The *-ul/ur-* (*l* in an intervocalic position and *r* before a consonant) "to go," "to walk" is the most widespread verbal root of motion as it denotes a most natural and important human activity. Moreover, it belongs to the earliest strata of the Kartvelian languages and bears their structural-semantic features. Like other motion roots, the *ul-* has neutral locative implications: it only denotes motion from one point to another. In this sense, the root appears in an unprefixed masdar, participle and imperfective verbal form.

Locative semantics (direction and orientation, locus, the point of departure and the point of destination) is conveyed by preverbs –

verbal prefixes that combine with the root in verbal stems. They function as stable stem elements and appear in masdar and conjugated forms either in the same or altered meaning. By combining with neutral roots, preverbs form an impressive number of dynamic and static verb forms with diverse semantics, in which the root carries the central lexical meaning.

The root *-ul-* has a very general lexical meaning in derivatives, limited to the basic semes of motion:

1. Dynamicity. 2. Subject, 3. Mode. 4. Time.

1. Dynamicity. Verbal stems with the root *ul-*, the smallest semantic unit denoting a dynamic process, imply three independent temporal phases of motion: course, i.e. motion per se, which encodes direction (with or without a point of orientation) by means of special preverbs, independently from the beginning and end phases. The latter can be described as the marginal phases of motion as, unlike course, they only encode entrance into or exit from a certain (geographically/topologically marked) space, which can be equated with the beginning or end of a motion. All of the three phases of motion are linguistically encoded. The qualification of beginning and end as independent phases is also supported by their semantics.

Along the horizontal axis, the phases are presented as a motion in a certain direction encoded by 1) preverbs with respective meanings; 2) special case markers supporting the directional semantics of the preverbs: *-še* of the ablative (the case of separation) for outbound motions and *-ša* of the illative (the directive case) for inbound motions.

Naturally, the phase of course is encoded by imperfective forms of the present group. The direction of motion is mainly expressed by simple preverbs *me-/mo-*, the meaning of which excludes even a general reference to space. These preverbs are only used as deictic elements to encode "here and there" from the speaker's perspective (i.e. the speaker's position being a point of orientation for a motion). Moreover, if only one person's (the speaker's)

